

ნოე აფხაზაძე



ადრეული ეპოქის
აფხაზეთის
ეთნიკური სიტუაცია

94.873
3

აფხაზეთის სერია

1

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

შალვა გლოველი

დიმიტრი ლეთოდიანი

ნინო მინიშვილი

თეა ქართველიშვილი

ბეჟან ხორავა

თემო ჯოჯუა

K 272.966
3

ISSN 1987-8702

ISBN 978-99940-55-89-0

© ნოე აფხაზავა

© გამომცემლობა „ერტანუში“, 2010.



**გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა
ევოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია**

წერილობითი და არქეოლოგიური
მასალების მიხედვით



სარჩევი

პრობლემის ისტორიოგრაფია (შესავალი).....	7
ნარატიულ წყაროთა მონაცემები აფსილთა შესახებ.....	15
ენობრივი ფაქტები აფსილთა (აფსილთა) შესახებ.....	37
„ნაბელდური კულტურის“ არსის შესახებ.....	42
დასკვნა.....	71
ტაბულების აღწერილობა.....	73
რეზიუმე.....	74
საძიებლები	
პირთა საძიებელი.....	76
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....	78
ეთნიკურ სახელთა საძიებელი.....	82

პრობლემის ისტორიოგრაფია

აფსილთა (აფშილთა) ეთნიკური ვინაობის საკითხი ერთ-ერთი ურთულესია ისტორიოგრაფიაში. ეთნონიმი აფსილი (=აფშილი) დღეს ისტორიის კუთვნილებაა. იგი შემორჩენილია ისტორიულ წყაროებში და ერთ ქართულ გვარსახელში – აფშილავა.¹ ისტორიულ წყაროებში ეს ეთნონიმი საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს I-VIII საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, აფხაზეთში. ქართულ და არა მარტო ქართულ (საერთოდ კავკასიოლოგიურ) ისტორიულ მეცნიერებაში მასზე საკმაოდ დიდი და სოლიდური ლიტერატურა დაგროვდა, რომლის უმთავრესი შედეგები აისახა ისეთ ზოგადსაცნობარო გამოცემაში, როგორცაა თუნდაც „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. ქართული „საბჭოთა ისტორიული მეცნიერების“ საბოლოოდ შემუშავებული აზრით, ამ ენციკლოპედიის მიხედვით: „აფსილების, აფშილების ერთ-ერთ უძველეს აფხაზურ ტომს პირველად იხსენიებს რომაელი მწერალი სეკუნდუს პლინიუსი (II ს.). აფშილების სახელი შემონახულია აფხაზეთის საკუთარ სახელწოდებაში „აფსუა“. II საუკუნეში მათ შექმნეს აფშილების სამთავრო². მეორე სტატია – „აფსილეთი, აფშილეთი – აფსილების ეთნიკურ-პოლიტიკური ერთეული ძვ. კოლხეთში“ ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. თავდაპირველად მოიცავდა ახლანდელი გალის რაიონს. I-II საუკუნეებში აფსილეთი სამთავროდ იქცა. IV საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. V-VII საუკუნეებში აფსილთა ჩრდილოეთით გადანაცვლების გამო აფსილეთი ახ-

¹ ილია მაისურაძე. ქართული გვარსახელები. თბ. 1981. გვ. 17. ასევე ისტორიის კუთვნილება ამავე რეგიონის ეთნონიმი სანიგი, რომელიც აგრეთვე ქართულ გვარსახელ სანიკიძე/სანიგიძეშია შემორჩენილი; იქვე, გვ. 143; დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი. 1987. გვ. 190-191.

² Анчабадзе З. В. История и культура древней Абхазии. М. 1964.

ლანდელი სოხუმისა და გულრიფშის რაიონებს მოიცავდა. იმხანად იგი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. VIII საუკუნეში ეგრისის დასუსტების შემდეგ აფსილეთი აბაზგიამ დაიმორჩილა. ამის შემდეგ სახელწოდება „აფსილეთი“ წყაროებში აღარ გვხვდება (ლიტ. Анчабадзе З. В. Из истории средневековой Абхазии VI-XVIII. Сух. 1959. მისივე. История и культура древней Абхазии. М. 1964 г.)¹ ორივე სტატიის ავტორია ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე, დასახელებული ლიტერატურაც მხოლოდ ამ ავტორისაა მითითებული. ე. ი. ეთნონიმი აფსილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, დღევანდელ აფხაზ-აფსუებს უკავშირდება. შესაბამისი დარგის (ისტორია, ენათმეცნიერება და სხვ.) მეცნიერთა უმეტესობა ციტირებული საენციკლოპედიო სტატიების პოზიციაზეა. ეს აზრია გამოთქმული საქართველოს ისტორიის ნარკვევების I ტომშიც; შესაბამისი სტატიის ავტორია აკად. გ. მელიქიშვილი:² „...აფშილების, ანტიკურ ხანაში აფხაზეთის მინა-წყალზე დამონმებული აფხაზურ-ადილეური წარმომავლობის (შდრ. „აფსუა“ – ასე ეძახიან აფხაზები თავისთავს) ტომის სახელს“. პატივცემული მეცნიერი ყოველთვის ამ აზრისა ბრძანდებოდა.³ იგი მან თავის წინამორბედთაგან ივ. ჯავახიშვილისა⁴ და ს. ჯანაშიასაგან⁵ მიიღო. ეთნონიმ აფსილის აფხაზ-აფსუებთან კავშირი ამ არცთუ დიდი ხნის წინ ცნობილმა ენათმეცნიერმა აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ აღიარა, თუმცა ამ კუთხის მეორე ეთნონიმი აბაზგი-აფხაზი მან ქართველურ ეთნიკურ სამყაროს დაუკავშირა, კერძოდ, „აფსა“ – ეთნონიმი თავს იჩენს უძველეს ეპოქაში „აფსილ“, „აფშილ“ და „აფსარ“ ფორმის სახით, რომლებიც, შესაბამისად, აფხა-

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2, სტატიები: აფსილი, აფსილეთი.

² გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970. გვ. 360.

³ Меликишвили Г. А. Наირи-Урарту. Тб. 1934. გვ. 75-76, 401; მისივე. К истории Древней Грузии. Тб. 1959. გვ. 90, 168.

⁴ „Absilae ტომაშეკის განსაზღვრით, კოდორის შესართავთან კოლხთა ჩრდილოეთით მობინადრე აბხაზთა ტომი იყო“ – ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ. 1950. გვ. 120.

⁵ Джанашия С. Н. Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Труды. II. 1952.

ზურ-ადილეურ ტომთა აღმნიშვნელ სახელებად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ „შავიზღვისპირეთის ეთნოკულტურული ვითარება ახ. წ. ცხელი წლები“¹ თალრიცხვის პირველ საუკუნეებში გვეკარნახობს შესაძლებლობას „აფხაზ-აბაზგ“-ებში საკუთრივ დასავლურ-ქართველური წარმომავლობის ტომები დავინახოთ, რომლებიც ძველ კოლხეთში მოხინაძრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომების ახლო მონათესავე უნდა ყოფილიყვნენ“.¹ ეს ტომები ქართველურ ტომებად მიაჩნია ანტიკურ წყაროთა ცნობილ მკვლევარს ბატონ სვიმონ ყაუხჩიშვილს.² აფსილები და აბაზგები ჩერქეზულ-ადილეურ (=აფხაზურ) ტომებად მიაჩნდათ ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს,³ დ. ლეთოდიანს.⁴ გ. გასვიანს,⁵ მ. ხოშტარია-ბროსეს.⁶ ამავე პოზიციაზე იდგა, ადრეულ ნაშრომთა მიხედვით, ქალბატონი მ. ინაძე – „ახ. წ. I-II საუკუნეებიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე (ისტ. აფხაზეთში – ნ. ა.) მოიხსენებიან აფსილები და აბაზგები (აფხაზური წარმომავლობის ტომები)“.⁷ ეგრისის სამეფოს ისტორიის ცნობილ მკვლევარს ნ. ლომოურს აფსილთა არააფხაზობის, ქართველობის მომხრედ თვლიდა „აფხაზურ პოზიციაზე“ მყოფ ავტორთა უმეტესობა.⁸ თუმცა მან თხუთმეტიოდე წლის წინ სრულიად გარკვევით „თითის ქნევით“ მიმართა ქართველურ პოზიციაზე მყოფ მკვლევრებს: „აფსილებისა

¹ თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან (აფხაზ-აბაზგ და აბაზგა-აფსუა ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის, კრებულში „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართველური ტერმინოლოგია“). თბ. 1993. გვ. 582, 587, 589.

² ს. ყაუხჩიშვილი. რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. თბ. 1964. გვ. 14, 44.

³ მარიამ ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ. 1990. გვ. 4, 5.

⁴ დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VII სს-ში. თბ. 1991. გვ. 53, 124, 128-129 – „ყოველივე ეს როდი ნიშნავს აფხაზურ-ადილეური მოდგმის ტომებს არ ეცხოვროს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე“. როგორც სტრაბონისა და პლინიუსის ცნობების ანალიზმა აჩვენა, დღევანდელი აფხაზეთის მთიან რაიონებში, აბაზგთა და აფშილთა სამთავროების წინახანებში (ძვ. წ. I ს.) ძირითადად ცხოვრობდა სარმატული ანუ ჩერქეზულ-ადილეური მოსახლეობა.

⁵ გ. გასვიანი. ვინ იყვნენ მისიმიანები? „ცისკარი“. 2. 1992. გვ. 157.

⁶ მ. ხოშტარია-ბროსე. შუა საუკუნეების აფხაზეთი. „მნათობი“. 4. 1992. გვ. 164.

⁷ მ. ინაძე. საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლა. „მაცნე“. 3. 1981. გვ. 43.

⁸ Анчабадзе З. В. История и культура древней Абхазии. М. 1964. გვ. 179.

და აბაზგების ქართული მოდგმის ტომებად გამოცხადება მე, ისევე როგორც იმ სპეციალიტა უმეტესობას, რომელთაც ხელეწიფებათ (ნ. ა.) ამ საკითხების კვლევა, მეცნიერულად დაუსაბუთებლად მიმაჩნია და ამგვარი მტკიცებით გამოსვლას საზიანოდ ვთვლი. აფხაზები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა შორის ერთადერთი ხალხია, ვინც ქართველებთან ერთად ამ მიწა-წყლის უძველესი მკვიდრნი არიან... სრულიად არაორაზროვნად ვამბობ, თანამედროვე აფხაზებიც „ჩერქეზულ-ადიღეური“ ტომებია და აფსილ-აბაზგებიც ასეთივე ჩერქეზულ-ადიღეური ტომები იყვნენ“.¹ ე. ი. „საზიანო“ აზრისაა ბატონი თამაზ გამყრელიძე, რომელსაც ეთნონიმი „აფხაზ-აბაზგი“ ქართველურ შინაარსად მიაჩნია.

აფსილთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ განსხვავებულ აზრი გამოთქვა და თავის დროისათვის კარგ მეცნიერულ დონეზე დაასაბუთა ბატონმა პავლე ინგოროყვამ.² პ. ინგოროყვას აზრს აფსილთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ იზიარებდა ნებელდური კერამიკის შემსწავლელი ქ. ბერძენიშვილი.³ ქართველურ ტომად მიიჩნევდა აფსილებს ფლავიუს არიანეს ცნობათა მთარგმნელი და შემსწავლელი ქალბატონი ნათელა კეჭაყმაძე: „ამრიგად, არიანეს მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სანაპირო მხარე დასახლებული ყოფილა მთლიანად ქართველური ტომებით“.⁴ აფსილთა ქართველურობის პოზიციაზე მყარად და საფუძვლიანად დგანან დღეს ისტორიკოსი ზურაბ რატიანი⁵ და ენათმეცნიერი თეიმურაზ გვანცელაძე.⁶ ადიღეურ პოზიციაზე მდგომ მკვლევართა საყურადღებოდ გვსურს თ. გვანცელაძის 1998 წელს გამოსული ნაშრომის ციტირება, რაც თეორიულ საფუძვლად გამოადგებოდა საკითხ-

¹ ნ. ლომოური. პასუხად პროფესორ შ. ინალ-იფას. „ლიტერატურული საქართველო“. 20 ოქტ. 1989. გვ. 4; იგივე რუსულად. „მაცნე“. 3. 1990. გვ. 158-172.

² პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ. 1954. გვ. 142, 145, 155-158.

³ ქ. ბერძენიშვილი. ნებელდის გვიანანტიკური ხანის კერამიკა. მსკა. II. თბ. 1959. გვ. 106.

⁴ ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაყმაძისა. თბ. 1961. გვ. 12.

⁵ ზურაბ რატიანი. წყაროთა ღალადი ანუ პირიქითა საქართველო. თბ. 1995.

⁶ თეიმურაზ გვანცელაძე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ. 1998.



ით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს, კერძოდ, „მართალია, „აფსილ//აფსელ“ და „აბასგ“ სახელები ფონეტიკურად ახლოს დგანან აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუა“-სთან და აბაზგთა თვითსახელწოდება „აბაზა“-სთან, მაგრამ სპეციალისტთა უმრავლესობისაგან განსხვავებით მიგვაჩნია, რომ საკითხი ამ ტერმინთა იდენტურობის და აფშილებისა და აბასგების აფხაზ-აბაზგთა წინაპრებად მიჩნევის შესახებ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გარკვეული სათანადო უტყუარი ცნობების უქონლობის გამო. ამ მიზეზის გამო, სანამ არ მიაკვლევენ უეჭველ ცნობას აფშილებისა და აბასგების მშობლიური ენის (ან ენათა) რაობის შესახებ, შეხედულება აფშილებისა და აბასგების აფხაზებისა და აბაზგების წინაპრად მიჩნევის შესახებ მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზად თუ დარჩება, ვინაიდან სიტყვათა გარეგნული მსგავსება არ არის საკმარისი ამ სიტყვათა სემანტიკის გასაიგივებლად.¹ თვით პატივცემული ავტორი მრავალმხრივი ისტორიულ-ენათმეცნიერული კვლევის შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ „რაკი ბერძნულსა და ლათინურში აფსუა სახელის ძირეული ელემენტი უშუალოდ აფხაზურიდან კი არ არის ნასესხები, არამედ ქართულიდან, ხოლო აბსილ-აფსილ-აფსელ – ფუძეები უკვე ახ. წ. I-II საუკუნეებიდან დასტურდება წერილობით წყაროებში, ქართული აფშელი, სატომო სახელი წარმოქმნილი უნდა იყოს ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე. გარდა ამისა, იგივე მონაცემები გვაგვარაუდებინებს, რომ შესაძლებელია ძველ წყაროთა აფსილ-აფშილები არც ყოფილან ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები“.²

აფხაზთა აფხაზურ-ადილეურობის მომხრე ბრძანდებიან აფხაზი დარუსი ავტორები ზ. ანჩაბაძე,³ მ. ტრაპაში,⁴ შ. ინალ-იფა,⁵ ი. ვორონოვი⁶ და სხვა. რა თქმა უნდა, სხვა „საბუთიანობასთან“ ერთად

¹ თეიმურაზ გვანცელაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 15.
² იქვე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა. გვ. 35.
³ Анчабадзе З. В. Очерки этнической истории абхазского народа. Сухуми. 1976. გვ. 36-48 და სხვ.
⁴ Трапш М. М. Культура цебельдинских некрополей. Труды т. 3. 1971. გვ. 11, 12.
⁵ Инал-ипа Ш. Д. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми. 1976. გვ. 216-220.
⁶ Воронов Ю. Н. Тайна Цебельдской долины. М. 1975. გვ. 134-140.

აქ მათი ამოსავალია ეთნონიმ აფს-ილ-ის სიახლოვე (?! — ნ. ა.)-ის
თანამედროვე აფხაზთა თვითწოდებასთან „აფსუა“. სხვა ტიპის
საბუთიანობაზე ქვემოთ შესაბამის მომენტებში ვისაუბრებთ.

დღეისათვის ზემოაღნიშნულ პოზიციათაგან (აფსილები — აფხ-
აზ-ადილეური ტომები, აფსილები — ქართველური ტომები), „სა-
შუალედო“ პოზიციებზეა ანტიკურ წყაროთა ცნობილი მკვლევარი
მ. ინაძე. იგიაფსილებს გაქართველებულ აფხაზურ-ადილეურ ტომად
მიიჩნევს: „სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრე-
ბა, რომ ლაზთა გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო აფსილთა
ტომის იმ ნაწილზე, რომელსაც ზღვისპირეთი ეჭირა (კოდორსა და
ლალიძგას შორის მდებარე სექტორში). ლაზ-აფსილთა შერწყმის
პროცესი, რაც გამოიხატა აფსილთა გალაზებაში, VI საუკუნისთვის
უკვე თვალსაჩინო იყო.¹ ამას უთუოდ ხელი შეუწყო ლაზთა მიერ
აფსილთა პოლტიკურმა დამორჩილებამ ახ. წ. IV-V საუკუნეებში
და უთუოდ ლაზებთან ერთად აფსილთა ადრე გაქრისტიანებამ
(ახ. წ. IV საუკუნეში).² სწორედ აქ გვსურს შევვხვთ ავტორის ერთ
უზუსტობას. ვფიქრობთ, ხაზგასასმელია ისიც, რომ ქართულ ეთ-
ნოლოგიურ მეცნიერებაში (ისტორია, ენათმეცნიერება და სხვ.)
ტოპონიმთა თუ ეთნონიმთა გამოყენება-გააზრებისას დაშვებულია
ზოგი, საკმაოდ მძიმე უზუსტობა, შეცდომა. კერძოდ, ქალბატონი
მ. ინაძე თავის საინტერესო და მნიშვნელოვან ნაშრომში „ძველი
აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები“ ბრძანებს:
„რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ აფხაზები მხოლოდ გვიანშუა-
საუკუნეებში იღებენ თავიანთ თვითსახელს, აფსუას, ზემოთ განხი-
ლული წყაროები უფრო მხარს უჭერენ მკვლევართა მიერ არაერთ-
გზის გამოთქმულ ვარაუდს, რომ თვითსახელი „აფსუა“ აფხაზებმა
მიიღეს მეზობელი მკვიდრი აფსილებისაგან, ამასთან დაკავშირე-
ბით უთუოდ ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ სადღეისოდ,
თუკი პირაქეთა აფხაზის თვითსახელი არის აფსუა, ჩრდილოეთ
კავკასიის აფხაზთაგან (?! — ნ. ა.) ძირითადად მხოლოდ მდინარე
ზელენჩუკის ველზე მობინადრე აშხარელთა სამი სოფელი უწოდებს

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990.
² მერი ინაძე. აფხაზეთის ძველი მოსახლეობა. მნათობი. 2. 1992. გვ. 171; მი-
სივე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. მაცნე.
2. 1992. გვ. 55, 56, 60.

თავის თავს აფსუას. ეს აშხარელებიც ამ ადგილებში XIX საუკუნეში დასახლებულან". ამასთან, მკვლევარი უთითებს ლინგვისტ ქ. ლომთათიძის ნაშრომს „Ашхарский диалект и его место среди других абхазско-абазинских диалектов. Тб. 1954. გვ. 339, 340“ და სხვ.¹ ჯერ ერთი, არსად ბერძნულ-ლათინურ წყაროებში აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელი „აფსუა“ ნახსენები არ არის, სახელი „აფსილ-ი“ კი ანტიკურმა ავტორებმა თავისი ქართველური წარმოებით (სუფიქსი -ილ, -ელ) უთუოდ მათთან უშუალო კონტაქტის შედეგად მიიღეს | საუკუნიდანვე; მეორე და მთავარი კი ის არის, რომ არავითარი პირიქითა „აფხაზები“ არ არსებობენ. ჩრდილო კავკასიაში ყარაჩაი-ჩერქეზეთში ცხოვრობს „აბაზას“ ტომის ხალხი, რომელიც აშხარუად და ტაპანთად იყოფიან, ამასთან მათი არც ერთი წარმომადგენელი თავის თავს აფსუას არ უწოდებს; რაც შეეხება სამი აშხარული სოფლის სახელს – „აფსუას“, იგი შემდეგი პროცესის ნაყოფია. აი, რას ბრძანებენ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეთნიკური პროცესების შემსწავლელები ნ. ვოლკოვა და ლ. ლავროვი „ ... в 30-х годах часть абазин из бассейна Кубани переселилась в Абхазию, где, по преданию, в давние времена будто бы жили их предки. Тогда же абазинское сел. Шахгиреевское (на территории нынешней Карачаево-Черкесской автономной области) было переименовано в Апсуа, т. е. «абхазы», хотя там не было ни одного абхаза“.² არსებობს მოსაზრება, რომ აბაზის ტომი თავის დროზე შავი ზღვის სანაპიროზე სოჭ-ადღერის მიდამოებში ბინადრობდა, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში ისინი გადასახლდნენ როგორც აბაზას ტომის ხალხი და არა აფხაზებად – „აფსუად“.³ ამ მხრივ ქართველ მკვლევართა საკმაოდ მძიმე შეცდომაზე თავის დროზე მიუთითეს რუსმა მეც-

¹ მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. მაცნე. 2. გვ. 65, სქოლიო 110.
² Волкова Н. Г., Лавров Л. И. Современные этнические процессы. Культура и быт народов Северного Кавказа. М. 1968. გვ. 332-33. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ ქალბატონმა ქ. ლომთათიძემ იცის, რომ ჩრდილოკავკასიელ აბაზელთა ნაწილი, კერძოდ, ტაპანთლების „ერთი ნაწილი ამ უკანასკნელ ხანებში გადმოსახლდა აფხაზეთში – ფსხუში“ – იხ. ქეთ. ლომთათიძე. აფხაზური ენის აშხარული დიალექტი. თბ. 1944. გვ. 4.
³ Алексеева Е. П. Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии. М. 1971. გვ. 19.



ნიერებმა: „Как справедливо отмечает Л. И. Лавров, утверждение К. В. Ломтатидзе о том, что «жившие на Северном Кавказе абхазские племена» (как она называет абазин) будто бы «себя называют апсуа», не соответствует действительности (Л. И. Лавров. Абaziны. стр. 6). Во избежание недорозумении укажем, что аул Апсуа, бывший Шахиреевский, был назван так только в советское время“¹.

ასეთია ქართველ მკვლევართა მიერ დაშვებული ზოგიერთი უზუსტობა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, რაც არც თუ უმნიშვნელო ხასიათისაა².

სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას იზიარებს ჩრდ. კავკასიის სიტუაციის კარგი მცოდნე ბატონი ზურაბ რატიანი³.

¹ იქვე. გვ. 215-216.

² თუმცა, აღსანიშნავია ქალბატონ ქ. ლომთათიძისათვის უცნობი არ ყოფილა, რომ ჩრდილოკავკასიელ აბაზელთა ნანილი, კერძოდ, ტაპანთლები გადმოსახლებულან აფხაზეთში – ფსხუში – იხ. ქ. ლომთათიძე აფხაზეთური ენის აშხარული დიალექტი. თბ. 1944. გვ. 4.

³ ზურაბ რატიანი. წყაროთა ლაღადი ანუ პირიქითა საქართველო. თბ. 1995. გვ. 73-75.

ნარატიულ წყაროთა მონაცემები აფსილთა შესახებ

მკვლევართა ნაწილს აფსილთა ეთნიკური ვინაობის შესახებ ეთნონიმთა ანალიზის და წერილობითი წყაროების მონაცემთა შეჯერების გარდა, საშუალება მიეცა ემსჯელა ნივთიერი კულტურის, კერძოდ, არქეოლოგიური ფაქტების ანალიზითაც. ამდენად, შესაბამის საკითხთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად ე. წ. „წებელდური კულტურა“ უმეტესად გაიგივებულია აფსილთა კულტურასთან, აფსილთა ნივთიერ დანატოვართან. ამდენად, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით განვიხილავთ ნარატიულ წყაროთა მონაცემებს, ლინგვისტურ ფაქტებს და როგორც აფხაზეთის, ისე მთელი დასავლეთ საქართველოს შესაბამისი პერიოდის არქეოლოგიურ მასალას. ჯერ გადავხედოთ წერილობით წყაროთა მონაცემებს.

ძვ. წ. VI-I საუკუნეების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ძვ. წ. VI საუკუნესა და შემდგომ ხანებში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მდებარეობდა კოლხეთის სახელმწიფო, რომლის ტერიტორია დაახლოებით სოხუმ-ბიჭვინთის სექტორიდან ჭოროხის შესართავის რაიონამდე ვრცელდება. ამ მონაკვეთზე ძველ წყაროებში (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი) მხოლოდ ერთ ტომს – კოლხებს და მათ ადგილსამყოფელს – კოლხიდას ასახელებენ¹. ზემოთ ციტირებულისაგან განსხვავებით, გ. მელიქიშვილი ჰეროდოტეს ცნობის თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა: „კოლხების ტერიტორიას ჰეროდოტე აქ არ გულისხმობს კავკასიის ქედამდე, რადგანაც სპეციალურად იხსენიებს მათ „მეზობელს კავკასიონის ქედამდე. ჰეროდოტეს მეორე ცნობა გვშველის კიდევ უფრო დავაზუსტოთ კოლხების გავრცელების ჩრდილოეთი საზღვარი. იგი ამბობს, რომ „მეოდიტის ტბიდან (ე. ი. აზოვის ზღვიდან) ვიდრე მდინარე ფაზისამდე (რიონი) და

¹ ნოდარ ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ. 1968. გვ. 5.



კოლხთა სამფლობელომდე ოცდაათი დღის სავალია კარგი, მსუბუქი უქად ჩაცმული ქვეითისათვის! (I, 104). აქედან ჩანს, რომ „კოლხების სამფლობელოთა ჩრდილოეთ საზღვარს ჰეროდოტე სადღაც მდ. ფაზისის (რიონის ქვედა დინების) რაიონში ხედავდა“. ¹ ვფიქრობ, ჰეროდოტეს ტექსტის ასეთი გაგება „მთლად ზუსტი“ არ უნდა იყოს. ის რომ ჰეროდოტე ეთნიკურ კოლხთა (=ზანურ მოსახლეობას – ნ. ა.) არ გულისხმობს კავკასიონის ქედამდე, ჩვენთვის სრულიად გასაგებია. კოლხთა ჩრდილოეთით ქედამდე ყოველთვის სვანები ცხოვრობდნენ.² რაც შეეხება მეორე ცნობას, მანძილს მეოტიდის ტბიდან მდინარე ფაზისამდე და კოლხთა სამფლობელოებამდე, აქ მდინარე ფაზისი არავითარ შემთხვევაში კოლხთა ჩრდილო საზღვრად არაა დასახლებული. იგი მხოლოდ ზოგადი ორიენტირია კოლხეთისა და საერთოდ კავკასიის გეოგრაფიის არცთუ ზუსტად მცოდნე ჰეროდოტესათვის.³ იმავე დროს აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ ქალბატონი მ. ინაძე ასკვნის: „ამრიგად, ზემოთმოტანილი წერილობითი ცნობების, აგრეთვე სხვა მონაცემების კვლევა-ძიება მოწმობს, რომ ძვ. წ. VI-I სს-ში დღევანდელი აფხაზეთის როგორც სანაპირო, ისე მთიანი ადგილების მოსახლეობაში ეთნოპოლიტიკური თვალსაზრისით წამყვანია ქართველური, უმთავრესად დასავლეთქართული (მეგრულ-ჭანური, სვანური) წარმომავლობის ტომები. სავარაუდოა მესხური ეთნიკური ჯგუფების არსებობაც“.⁴ აქვე აღსანიშნავია და მრავალმხრივ მნიშვნელოვანიც, რომ ახ. წ. II-III საუკუნეებში მცხოვრები ავტორები აპიანე და დიონ კასიოსი, რომლებიც მითრიდატეს ომებსა და შემდგომ ხანებს აღწერენ, კოლხეთის დაბლობის უმეტეს სივრცეზე ისხნებენ მხოლოდ ერთ ხალხს, კოლხებს.⁵ სტრაბონის მიხედვითაც, დღევანდელი დასავ-

¹ გ. მელიქიშვილი. კოლხეთი ძვ. წ. VI-I საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970. გვ. 400.
² რუსული გამოცემით ამ ადგილის კომენტარია. 70. Совр. Западная Грузия и Абхазия Геродот. История девяти книгах. Ленинград. 1972. გვ. 169, 517.
³ ჰეროდოტე. ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა თ. ყაუხჩიშვილმა. ტ. I. თბ. 1975. გვ. 75-76.
⁴ მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. მაცნე. I. 1992. გვ. 20.
⁵ აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1959. კოლხთა ქალაქი დიოსკურია. გვ. 140. დიონ კასიოსი კი ზოგადად ასახელებს „კოლხებს და მათ მეზობლებს“ – იხ. დიონ კასიოსის ცნობები



კ. ა. ა. ა. ა. ა.

ლეთი საქართველო (აფხაზეთიანად) კოლხიდაა: „როგორც უკვე ვთქვი, თავიდანვე ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს..... სრულდება პიტიუნტსა და დიოსკურიან სთან: კოლხიდის ეს ადგილები ხომ ესაზღვრებიან დასახლებულ სანაპიროს. დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდასა და მის მომდევნო ტრაპეზუნტამდე ჰქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას¹ მაშინ, როცა ახ. წ. I საუკუნის ავტორის, გაიუს პლინიუს სეკუნდუსის „Naturalis historia“-ში კოლხეთში ერთ ათეულზე მეტი ეთნიკური ერთეული ფიგურირებს, მოგვაქვს რუსული თარგმანი: „В 140 000 шагов от Трапезунта река Абсарр с соименной крепостью при устье: В этой местности за горами лежит Иберия, по берегу живут гениохи, ампревти, лазы, текут реки Акампеон, Исис, Магр, Батис (Глубокая), потом племена колхов, город Матии река Гераклея с мысом того же имени и славнейшая из понтийских рек – Фазис. Она берет начало в владениях мосхов, судоходна для самых больших судов: для переправы через нее устроено 120 мостов. На берегах её лежало несколько городов, из которых славнейшая Тиндариды, Киркей, Кинг (Судник) и при устье Фазис; но наибольшей известностью пользовалась Эя в 15000 шагов от моря на том месте, где в Фазис с разных сторон впадают большие реки Гини и Кчаней. Ныне существует только Сурии (Surium), названный по имени реки, впадающей в Фазис на том месте до которого он, как мы сказали, судоходен для больших кораблей; он принимает в себя и другие реки, замечательные по величине и многочисленности между ними Главк; в устье его безымянные острова. От Абсарра он отстоит на 70 000 шагов. Затем другая река Хариент народ салтии, у древнейших называвшиемся фтирофагами (вшеедами) и другой народ – санны; через область суанов с Кавказа течет река Хоб. Далее Роан, область Кегритика, реки Сигания Терс, Астелф, Хрисоррой, племя абсилы (ბსილაე), крепость Себастополь в 100 000 шагов от Фазиса, племя саников (შანიცომუ) город Кигнь (იხ. ზემოთაც – ნ. ა.) река и город Пени, наконец племена гениохов различающиеся многими названиями.

საქართველოს შესახებ. გამოსცა ნ. ლომოურმა. თბ. 1966.

¹ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957. გვ. 121.



15 კ-ნიმ прилигает понтийскя область Колика (Colica) в которой Кавказский хребет, как сказано, поворачивает к Рипейским горам одним концом опускаясь к Эвксину и Меотиде, а другим — к Каспийскому и Гирканскому морю. Остальные берега занимают дикие племена: меленхлены и кораксы с колхским городом Диоскуриадой у реки Антемунта; теперь он находится в запустении, но некогда был до того славен, что по словам Тимосфена, туда сходились 300 племен говорившие на разных языках...¹.

თუ პლინიუსი რაიმეში არ ცდებდა, კოლხეთის ტერიტორიაზე დასახლებულ ტომთა სია ასეთია: ჰენიოხები, ამპრევეტები, ლაზები, კოლხები, სალტიები ანუ ფთიროფაგები, სანები, აფსილები, სანიკები, ჰენიოხები, მელაანხლენები, კორაქსები, აგრეთვე მესხების, სვანების და კევრიტიკის „ოლქები“. პლინიუსის ცნობებიდან ჩვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ მას აფსილები ციხესიმაგრე სებასტოპოლისთან (=სოხუმი) და მდინარეებთან, ასტელოფოსთან (კოდორი) და ხრისოროასთან (კელასური) დაკავშირებით ჰყავს დასახლებული. ჩამოთვლილ ტომთაგან სიახლეა სანიგებისა და აფსილების დასახლება. სანიგები და ლაზები მემნონის ჰერაკლეს ისტორიაშია ნახსენები². აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლინიუსის ტექსტი ჩვენზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მასში ცნობათა რაღაც ორი ფენაა გაერთიანებული, რადგან იხსენიება ციხე-სიმაგრე სებასტოპოლისი და კოლხთა ქალაქი დიოსკურიადა; ორჯერაა დასახლებული ქალაქი კინგი, მდინარეები ფასისი და როანი (=რიონიდან).

ტომთა დაახლოებით მსგავს თანმიმდევრობას გვაძლევს ფლავიუს არიანეს (II საუკუნე) „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (Περὶ πλουσῶν εὐξεινος Ποντιοῦ, დანერილი 131 წელს). არიანეს მიხედვით, ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (=ნიკოფსიამდე) მოსახლეობდნენ: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები,

¹ Гай Плиний Секунд. Естественная история, книга VI. В. В. Латвинцев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. ВДИ. 1949. №2. გვ. 288-291.

² თ. ყაუხჩიშვილი. მემნონის ჰერაკლეს ისტორიის ცნობები საქართველოს შესახებ. მსკი 34. თბ. 1962 — „გაიქცნენ პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეებში (ამ ადგილებში ხომ სახლობდნენ სანიგები და ლაზები). ავტორი რატომღაც მიიჩნევს, რომ მემნონი სანიგებსა და ლაზებს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხრეთ ნაწილში ასახელებს“ (გვ. 146). ჩვენი ფიქრით, ტექსტი ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა.

აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები.¹ ჩამოთვლილ ტომთა სა-
ცხოვრისის ზუსტი განსაზღვრა ორიენტირთა სიმცირის გამო ადვი-
ლი არაა. ერთ მყარ ორიენტირად თითქმის მითითებულია სანიგთა
მინაზე სებასტოპოლისი.² ლაზთა და სანიგთა შორის კი ორი ეთნი-
კური ერთეული, აფსილები და აბაზგებია დასახელებული. ნ. კეჭაყ-
მაძის მიხედვით, აბაზგები მთიანეთში მოსახლეობენ.³ ამასვე უჩვენ-
ებს გვიანდელი წყაროები. შესაძლოა ამასვე მიუთითებს ზემოთ
ციტირებული პლინიუსის ცნობაც, რომლის მიხედვითაც აფსილები
და სანიგები სადღაც სებასტოპოლისთან ბინადრობენ. შესაძლოა
აბაზგები არ დაასახელა პლინიუსმა როგორც მთის მცხოვრებნი.⁴
აღსანიშნავია ისიც, რომ არიანეს თითქმის თანამედროვე კლავდიოს
პტოლემეაიოსმა კოლხეთში არ იცის აფსილები და აბასგები მაშინ,
როცა იცის ლაზები: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეო-
ბენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალეები და ეკრეტი-
კის ქვეყნის მცხოვრებნი“.⁵ პტოლემეაიოსი ახსენებს „დიოსკურიას
ანუ სებასტოპოლისს“, ქალაქ ფაზისს და სხვ.⁶ აღსანიშნავია ისიც,
რომ, როგორც ჩანს, პტოლემეაიოსმა კოლხეთის მთიანეთი (ისევე
როგორც იბერიის მთიანეთი) და მოსაზღვრე ტერიტორიები „აზიის
სარმატიას“ მიათვალა.⁷ მართლაც, აქ დასახელებულ ტომთა შორის
აღნიშნავს სუანოკოლხებს და სხვა ტომებსაც („ხოლო პონტოს
გასწვრივ ახაიელები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები“).⁸
ამიტომ არ გვეჩვენება დამაჯერებლად აზრი, რომ თითქოს „ლა-
ზებს ეჭირათ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონი
რიონის ორივე მხარეზე, მხოლოდ „დაახლოებით მდ. ხობამდე“

¹ ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო... გვ. 11.
² იქვე. გვ. 43, 79.
³ იქვე. გვ. 11, 79.
⁴ ასევე აზიის სარმატიასაა მითვლილი იბერიის მთიანეთი, რის გამოც
ტუსკები (თუმები) და სანარები (ნანარები) იბერიის გარეთ აღმოჩნდნენ –
ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანე-
ლო“. მსკი 32. თბ. 1955. გვ. 44.
⁵ ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანე-
ლო...“ გვ. 45.
⁶ იქვე. გვ. 45.
⁷ იქვე. გვ. 44.
⁸ დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთისა და სანიგეთის პოლიტიკური
დამოკიდებულება... გვ. 27, 28.

და როგორც ეს ს. ჯანაშიას აქვს „გარკვეული“...¹ სხვათა შორის არ ჩანს რას ეყრდნობა ასეთი ლოკალიზაციისას ს. ჯანაშიას ვერაქრობთ, გვიანრომულ ხანაში ლაზთა განსახლების გასარკვევად კარგ მასალას იძლევა V საუკუნის ანონიმი, რომელიც გარკვევით ამბობს: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად ნოდებული, ახლა ლაზებად სახეშეცვლილი“.² როგორც ჩანს, მართებულია ნ. კეჭაყმაძის დაკვირვება, რომ აბაზგებს მთებში უნდა ეცხოვრათ, ხოლო აფსილებს ზღვის პირას მაინცდამაინც დიდი ტერიტორია არ უნდა ჰქონოდათ. არადა ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრით, ვითარცა კოლხეთის მთის მეომარ მოსახლეობას, ზოგჯერ სულაც შემოჭრილად მიჩნეულთ, აფსილ-აბაზგებს თითქმის ცენტრალურ კოლხეთამდე უნდა მიეღწიათ და შემდგომში ნელ-ნელა ლაზთა სამეფო ახდენდა მათ შევიწროებას და მათ მიერ ანექსირებული კოლხური ტერიტორიის კვლავ შემომტკიცებას.³ როგორც ჩანს (პტოლემეაიოსის და სხვა ადრეული წყაროებიდანაც), ეს მთლად ასე არ უნდა ყოფილიყო. ჭეშმარიტად მართებული ბრძანდება მ. ინაძე, როცა პლინიუს დიდის, ფლავიუს არიანეს და სხვა წყაროთა ანალიზით ასკვნის, რომ „აფსილებს აღებულ ხანაში (ახ. წ. I-II საუკუნეები) უნდა სჭეროდათ მდ. კოდორის ხეობა (წებელდის მხარე). ჩრდილოდასავლეთით მათი მიწა-წყალი უთუოდ ციხე-ქალაქ სებასტოპოლისამდე (დღ. სოხუმამდე) აღწევდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი სვანთა ქვეყნამდე. თუ გავითვალისწინებთ ახ. წ. II საუკუნის გეოგრაფის კლავდიუს პტოლემეაიოსის ჩვენებას, რომლის შესაბამისად კოლხეთის სანაპირო ზოლს ამ დროს ლაზები ფლობდნენ, ასევე მემნონის ცნობას, რომელშიც ჩრდილოეთ კოლხეთის ზღვისპირეთის მოსახლეობად მხოლოდ ორი ეთნიკური ერთობა – ლაზები და სანიგებია დასახლებული, მაშინ აფსილებს ამ ხანაში ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნეებში სანაპირო ზოლის მონაკვეთი არ უნდა სჭეროდათ“.⁴ პ. ინგოროყვა წერილობით წყაროთა, ტოპონიმიკისა

¹ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია... გვ. 10. სქოლიოში უთითებს ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალ-ტიბარენი, იბერი. შრომები. ტ. III. 1959. გვ. 23.

² ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო... გვ. 88.

³ გ. მელიქიშვილი. ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. პირველ საუკუნეში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბ. 1970. გვ. 539, 545.

⁴ მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები...

და სხვა ისტორიული მასალის განხილვის შედეგად მიდის დასკვნებამდე, რომ აფსილები ცხოვრობდნენ მდ. კელასურის (ძველი კოლახის ხის, კორაქსის) ხეობის ზემონაწილში, გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე.¹

ამ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას იძლევა თეოდოს განგრელის (VII ს.) მონათხრობი ანასტასი ხუცეს-მონაზონზე: „როდესაც ის იყო თავის უკანასკნელ, ესე იგი მესამე ექსორიაში, იმ ციხეში, რომელსაც თუსუმესი ეწოდება და რომელიც მდებარეობს მოქვის ზემოთ აფსილის მხარის საზღვარზე... კავკასიის მთების ზედ ძირში ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანების ტომის მახლობლად, ხუთი სიმის მანძილზე სოფელ ჯიხახორადან, ესე იგი ამავე ლაზთა ქვეყნის ჭეშმარიტად პატრიკიოსისა და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლიდან.“² როგორც პ. ინგოროყვა უკეთებს კომენტარს ზემოთ მოტანილს, „თეოდოსი განგრელის ცნობების მიხედვითაც ეს კუთხე საკუთრივ ლაზიკის ნაწილია“. მისივე თქმით, ჯიხა-ხორა მეგრულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ციხე-სახლი“.³ ბატონ დ. მუსხელიშვილს კი ტექსტი გაგებულნი აქვს თითქოს რეზიდენცია „მოქვის მახლობლად ყოფილა, ე. ი. აფსილეთში“.⁴ იგივე აზრისაა დ. ლეთოდიანის.⁵ მოქვი კარგად ცნობილი პუნქტია დღესაც. იგი მდებარეობს ლალიძგის დასავლეთით, მდ. მოქვისწყალის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მახლობლადაა მის ჩრდილო-დასავლეთით აფსილის საზღვარი. ეს საზღვარი უნდა იყოს მდინარე კოდორი, რომელიც VII საუკუნის სომხური ანონიმური გეოგრაფიის მიხედვით დრაკონად იწოდება და იგი ყოფს აფხაზთა და ეგერთა ქვეყანას.⁶ ეს მონაცემები ემთხვევა V საუკუნის ანონიმის ცნობას, რომ ლაზებს უკავიათ ტერიტორია აფსაროსიდან დიოსკურიამდე. არავითარი საფუძველი არ გვაქვს, რომ ისტორიის რომელიმე პერიოდში აფსილთა და ლაზთა საზღვარი უფრო

მაცნე 2. 1992. გვ. 50.

¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 135, 136.

² თეოდოსი განგრელი. გეოგრაფიკა. ტ. IV. ნარკვ. I. თბ. 1991. გვ. 50.

³ პ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრომი. გვ. 132.

⁴ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ. 1980. გვ. 5.

⁵ დიმიტრი ლეთოდიანი. აფხაზეთის. აფსილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება... გვ. 182.

⁶ Армянская география. პატკანოვის გამოცემა. გვ. 37.

სამხრეთით ვიგულისხმობთ, ვიდრე ზემოთ მოტანილ ცნობებშია.
 ზ. ანჩაბაძის მტკიცებას, რომ აფსილები თავდაპირველად გსლის რაიონში სახლობდნენ, არა აქვს საფუძველი, ისევე როგორც მტკიცებას, რომ „В позднеантичную эпоху (по видимому не ранее II в. н. э.) в Южную Абхазию проникают племена менгрелского происхождения (лазы), которые оттесняют абхазов к северу“.¹ საერთოდ, ლაზთა მიერ აფსილ-აბაზგთა „შევიწროება“ ჩრდილოეთით ანარეკლი უნდა იყოს კისლინგ-მელიქიშვილის² თეორიისა, რომლის მიხედვით, ახ. წ. I საუკუნეში კოლხეთში იჭრებიან ნაკლებად განვითარებული ტომები ჩრდილოეთიდან აფსილ-აბაზგ-სანიგები, სამხრეთიდან კი ლაზები. ამ თეორიის გავლენით მკვლევართ ლაზთა პირველსაცხოვრისად წარმოუდგენიათ სამხრეთით „ლაზისტანი“, საიდანაც ისინი თითქოს შეიჭრნენ კოლხეთის დაბლობზე. მაგრამ ჯერ ერთი, „ძველი ლაზიკა“ (პალაია ლაზიკა) შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ფიქსირდება, მეორე მხრივ კი ნ. ლომოურს კარგად აქვს ნაჩვენები, რომ სახელი (ეთნონიმი) ლაზი თანამედროვე ლაზისტანზე გადავიდა „საეკლესიო გზით“³ გვიან. არიანეს მონათხრობიდან აფსილთა შესახებ ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ აფსილების მეფეს ჰქვია რომაული სახელი იულიანე, რომელსაც მეფობა იმპერატორ ტრაიანესაგან (98-117) მიუღია.⁴

მაშ ასე, ადრეული წერილობითი წყაროებით აფსილთა შესახებ ირკვევა ზოგადად მათი საცხოვრისი, სადღაც ისტორიული კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სებასტოპოლისის (დღ. სოხუმი) მახლობლად (ლაზ-მეგრელთა ჩრდილო-დასავლეთით); მეფის სახელი იულიანე, რაც რომაულია; თვით ეთნონიმი „აფსილი“, რომლის ძირი (ფუძე) თითქოს ენათესავება აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუას“, მაგრამ ნაწარმოებია აშკარად ქართული ფორმით. მოვუსმინოთ თვით აფხაზ მეცნიერს: „Что касается форм «абхазии» («апхазии») и «апсил» («апшил»), то они, как видно, грузинского

¹ Анчабадзе З. В. История и культура древней Абхазии. გვ. 183. მაშინ, როცა თავადვე აღიარებს, რომ „Однако Арриан не указывает точных границ отмеченных им племенных объединений“ (გვ. 177).

² Меликишвили А. К истории Грузии. გვ. 87-88, 307-308, 365.

³ Ломоури Н. Ю. Чаны. Вопросы истории. 8, 1979. გვ. 216-219.

⁴ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. გვ. 10-11; ფლავიუს არიანე... გვ. 43.

образования, во всяком случае грузинский облик первого термина не оставляет сомнения, а конечное «ил» второго этнонима восходит, как видно, грузинскому суффиксу этнических названий «ел» (типа мегр-ел-и, имер-ел-и и т. п.). на это указывает, в частности, армянская форма данных этнических терминов – «апхазк» и «апшелк» – которая, несомненно, была воспринята через грузинскую среду¹.

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ „ადილეური“ წარმოშობის აფხაზი (აბაზგი) და აფსილი ეთნიკური ერთეულების სახელები მათთან უშუალო კონტაქტში მყოფ რომაელებს (და ბერძნებსაც) „რატომლაც“ ქართული ფორმით მიუღიათ.² ზ. ანჩაბაძე ამის ახსნას ცდილობს იმით, რომ ბერძენ-რომაელებმა ისინი გაიცნეს „через грузинскую среду“, რაც ნაკლებად დამაჯერებელია, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ გვიანხეტურ ხანაში ეს სახელი იმავე ფორმით იხსენიება – აბემ-ლ-ა. სხვა საკითხია, თუ რა წარმოშობისაა ფუძე აფს (აფშ), თუმცა სადაურიც უნდა იყოს გენეტიკურად, უძველესი დროიდანვე უკავშირდება ქართველურ სამყაროს. მკვლევართა დიდ ნაწილს, მათ შორის მ. ინაძეს მსგავსფუძიანი ეთნონიმები წარმოშობით მაინც ჩერქეზ-ადილეური სამყაროს ნაწილად მიაჩნია: „ძვ. წ. IV – ახ. წ. I საუკუნეებით დათარიღებულ წერილობით წყაროებში დამონმებული „აფს“ ძირიანი სახელები: ერთი მხრივ; ლაზების ჩრდილოეთით მოსახლე ტომის ეთნონიმი – აფსილი, მეორე მხრივ, სამხრეთ კოლხეთის მდინარე ჭოროხის სახელწოდება აფსარი, უფლებას გვაძლევს ძვ. წ. IV საუკუნისთვის კოლხეთის ზოგიერთ რეგიონში ადილეური ეთნიკური ჯგუფების ბინადრობა ვივარაუდოთ. მაგრამ „აფს“ ძირიანი სახელების გაფორმება ქართულ-ზანური (ელ-ილ-არ) სუფიქსებით, იმის მაუწყებელიც არის, რომ ეს ადილეური ტომები იქ თანაარსებობდნენ ქართულ მოსახლეობასთან ერთად და გარკვეული ხანის განმავლობაში ქართული ეთნიკური სამყაროს გარემოცვაში იმყოფებოდნენ.³ პატივცემული მკვლევრის

¹ Анчабадзе З. В. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми. 1976. გვ. 39. ამავე დროს, საწყისი ფორმა იყო აფსილი, რაც ჩანს მათი ადრეული სახელიდან „აბემლი“. „აფხაზური“ ფორმა ანუ გასისინება ბერძნულ-რომაულ წყაროებში ხდება.

² დანვრილებით ამ ეთნონიმთა შესახებ იხ. თ. გვანცელაძე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა... გვ. 13.

³ მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები... გვ. 55.

მსჯელობაში ჩვენს შენიშვნას იწვევს ის, რომ, თუ სახელი აფსარის
ჰიდრონიმია და, როგორც ჩანს, ეს ასეა, როგორ შეიძლება იგი ეთ-
ნონიმადაც გავიაზროთ. ფსევდო სკილაქსთან დამონმებული მდი-
ნარის სახელი აფსარის დამთხვევა აფსილთან და ქართული წყაროს
აფსართა ენასთან შემთხვევითი უნდა იყოს.¹ აქ, ვფიქრობთ, მივადე-
ქით საკმაოდ მოზრდილ ისტორიულ-ენათმეცნიერულ პრობლემას,
რომელიც რამდენიმეგზის საფუძვლიანად იყო გაკრიტიკებული
სათანადო მკვლევართა, განსაკუთრებით კი ენათმეცნიერთა მიერ.
ჩვენ მხოლოდ ციტირებას მოვახდენთ ბატონ პავლე ინგოროყვას
და ბატონ გივი ნებიერიძის საფუძვლიანი დასკვნებისას: „საერთოდ
უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება გამოტანა ასეთი უდიდესი მნიშ-
ვნელოვანი დასკვნებისა, რომლებიც ხალხის ისტორიის ძირითად
საკვანძო საკითხებს ეხება, – ასეთის საბუთიანობით, სულ რამდენ-
იმე სიტყვის (არსებითად სამი სიტყვის) საექვო ეტიმოლოგიზაციის
საფუძველზე“ (პ. ინგოროყვა). „ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ აფხ-
აზურ-ადიღური ტომები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე
წინ უსწრებდნენ ქართულ ტომებს, ემყარება სულ ოთხი სიტყვის
(სხვები მათი ანალოგიურია) საექვო ეტიმოლოგიას. ესენია სუფსა,
აჭყვა, მალთაყვა, აკამფსისი“ (გ. ნებიერიძე).² ასევე საფუძვლიანად
გაარკვია პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები ენათმეცნი-
ერმა ა. ლლონტმა, კერძოდ: „ფს“ „ფსა“ ისევე ყოფილა ქართველურ
ენათა ფუძეების კუთვნილება, როგორც აფხაზურ-ადიღურ ენათა
ფუძეებისა, ხოლო ეს ენობრივი სისტემები კი გენეტიკურად და
ტიპოლოგიურად მაშინ უფრო ახლოს უნდა მდგარიყვნენ ერთმან-

¹ ჰიპოთეზის სახით ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, ჰიდრონიმი აფსარი დაკავ-
შირებული იყოს ძვ. ინდო-ირანული წყლის ქალღვთაებათა აფსართა
სახელთან – *Апсары, апсарас* (др. инд. арса возможно вышедшая из выда),
в вединской и индиинской мифологии полубественные женские существа,
обитающие... в реках, на горах... В качестве женских духов вод. Мифы народов
мира. М. 1980. I. დღეს არსებობს ჰიდრონიმი აფსარის და მისი მეორე უძვე-
ლესი ფორმის აკამფსისის ახსნის მრავალი ვარიანტი, რომელთაც ხშირად
თითქოს ბერძნული ეტიმოლოგია ეძებნებათ – იხ. გივი ნებიერიძე. იბერ-
იულ-კავკასიური ჰიპოთეზა და აფხაზური ენის ქართულთან ნათესაობის
საკითხი. „სახალხო განათლება“. 26 აპრილი. 1990. გვ. 13, 15.

² გ. ნებიერიძე. იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზა და აფხაზური ენის ქართულ-
თან ნათესაობის საკითხი... გვ. 13.



ნეთთან, ვიდრე დღეს დგანან".¹ ჩვენი მხრივ, გვსურს გამოვთქვათ „ისტორიულ-გეოგრაფიული“ დაკვირვება ყბადალებულ „ფსა“ და „ყვა“ ელემენტებით შედგენილ ტოპონიმთა არეალის შესახებ; იგი რატომღაც მოიცავს ტერიტორიას მხოლოდ რიონის ქვედა წელიდან მდ. ჭოროხის შესართავამდე, ე. ი. ფაქტობრივად, ისტორიული გურიის ტერიტორიას და არა მთელ დასავლეთ საქართველოს. მხოლოდ გურიის ტერიტორიაზე იყო უძველეს დროში განსახლებული „აფსუათა“ და „ჩარვასთა“ საერთო წინაპრები? საერთოდ ისიც უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის ენათმეცნიერებასა და ისტორიულ მეცნიერებაში განსაკუთრებით პოპულარული სუბსტრატისა და მიგრაციის თეორიების ელემენტთა არც თუ თვითკრიტიკულმა დანერგვამ წამყვან ქართველ მეცნიერთა მიერ, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. მარი და სხვა, არც თუ დადებითი როლი ითამაშა დღევანდელი საქართველოს თუნდაც პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თუ დავუბრუნდებით კვლავ აფსილთა (აფშილთა) ეთნიკური ვინაობის საკითხს, არის თუ არა „აბსილთან“ კავშირში დღევანდელ აფხაზთა თვითსახელი აფსუა, გარდა იმისა, რომ სახელი აფსილი ქართული ფორმითაა წყაროებში დაფიქსირებული, ხაზგასმულია ისიც, რომ პლინიუს უფროსთან, როგორც აღვნიშნეთ, აფსილთა ტომი იხსენიება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, ამავე დროს მის „Naturalis historia“-ს მეორე ტომში კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირთან იხსენიება „აბსოას“ ხალხი, „სკვითური ტომი“.² ვფიქრობ, სრულიად მართალი ბრძანდებიან ის ავტორები, ნ. ფოფხაძე, გ. მჭედლიძე, რომლებიც „სკვითურ“ ტომ აბსოაში თანამედროვე აფსუათა წინაპრებს ხედავენ. მართლაც, ნაკლებ დასაჯერებელია, რომ ერთსა და იმავე ავტორთან, ერთი და იგივე ეთნოსი სხვადასხვა სახელით კავკასიის ორ უკიდურესად განსხვავებულ კუთხეში იხსენიება, ერთი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მეორე კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. ვფიქრობ, „აბ-ზოას“ არსებობის ფაქტი „აფშილთა“ სახელის ქართულ ფორმასთან

¹ ალ. ლლონტი. ტოპონიმიკური ძიებანი. ლაგოეთის ტოპონიმი. III. თბ. 1981. გვ. 20-23.

² ნათელა ლლონტი. სინამდვილე კი ასეთია. „საქართველოს რესპუბლიკა“. 4 აპრილი. 1994; გიორგი მჭედლიძე. გიორგი V-ისდროინდელი საქართველო. ქუთაისი. 1996. გვ. 62-63.

ერთად შექველი პასუხია იმაზე, რომ აფშილები და თვით ეთნიკური „აფშილიც“ ქართული წარმოშობისაა.

რაც შეეხება აბზოას სკვითურ ტომად გამოცხადებას, სკვითი, განსაკუთრებით ძველ ბერძენ ავტორებში, ერთგვარი ეპითეტია, რითაც განსაზღვრავენ, ახასიათებენ მომთაბარე არამინათმოქმედ, არაკულტურულ, არაბერძენ ხალხებს. მათთვის ჩრდილოეთის ბარბაროსი სკვითია, სამხრეთელი ბარბაროსი კი ეთიოპი.¹

ისიც უნდა ითქვას, რომ აფშილები (და აბაზგებიც) წარმოშობით რომც იყვნენ არაქართული ეთნიკურობისა, უძველესი დროიდან ქართველურ ტომთა გარემოცვაში გვიანანტიკური ხანისათვის გაქართველდებოდნენ. აფსილთა გამოჩენამდე სებასტოპოლისი სანიგთა მიწაზე იყო, მათი საცხოვრისი ჩრდილო-დასავლეთით შორს ვრცელდებოდა მდინარე აქეუნტამდე.² მაგრამ შემდგომში გავრცელდა აბაზგების სახელი მდ. აბასკოსიდან (მძიმთა ანუ ფსოუ) ვიდრე მდ. აქეუნტამდე (შახე), ჯიქების მისაზღვრებამდე ბიზანტიის ხელისუფლების უშუალო ჩარევითა და ძალისხმევით. თუმცა ეთნიკურად არ მომხდარა რაიმე ძირეული ცვლილება აღნიშნულ რეგიონში, გარდა დღევანდელი რაიონისა.³ აქ მოსახლე სანიგები რომ ქართველური ტომი უნდა იყოს, თითქოს საკამათო არაა. გვიანრომაელი ავტორები, იპოლიტე რომაელი (ახ. წ. IV ს.) და ვესევი კესარიელი (ახ. წ. III ს.) სანებსა და სანიგებს აიგივებენ.⁴ სანიგების სვანებთან გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს იპოლიტე რომაელის ცნობის ერთ-ერთი ვარიანტი, სადაც ვკითხულობთ „სვანები (Σαυνοι) ე. წ. „სანიგები“. მ. ინაძის მიხედვით, „სანიგთა სამთავრო, ისევე როგორც ჰენიოხთა სატომო კავშირები, შერეულტომიანი უნდა ყოფილიყო. სანიგთა სამთავროს აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობა, ვფიქრობთ, ახლოს დგას სვანურ ეთნიკურ სამყაროსთან

¹ Границкая Л. И. География Страбона. Проблемы и источниковедение. Древнейшие государства на территории СССР. М. 1988. გვ. 115, 128; ნოე აფხაზავა. კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. „ოსთა საკითხი“. თბილისი. 1996. გვ. 69-77.

² ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. რუკა.

³ დ. ლეთოდანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში... გვ. 42-43.

⁴ „სანები – რომელთაც სანიგები ეწოდებათ“ – გეორგიკა. I. 1961. გვ. 20, 32.

და ახლო ენათესავებოდა კიდეც სვანთა მრავალრიცხოვან ტომებს, რომელნიც დიოსკურიის მთიან ადგილებში ბინადრობდნენ (თავრთ ქალაქი სანიგთა სამთავროში მდებარეობდა). სამთავროს დასავლეთ ნაწილში, რომელიც მდ. შახამდე ვრცელდებოდა, უმთავრესად განსახლებული უნდა ყოფილიყვნენ მეგრულ-ზანური ტომები“.¹

დავუბრუნდეთ აფსილთა ისტორიის საკითხს. I-II საუკუნეების შემდგომ ვიდრე V საუკუნემდე აფსილთა შესახებ ცნობები არ გვაქვს. „შემდგომი წყარო, სადაც საუბარია აფსილების შესახებ, არის V საუკუნის ანონიმის „პერიპლუსი“, რომელიც თითქოს ფლავიუს არიანეს გადმოცემას იმეორებს ძირითადად“.²

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი არის პირველი და ერთადერთი მწერალი, რომელიც გარკვევით მიუთითებს აფსილეთის (აფსილეთის) მდებარეობას, გვამცნობს აფსილეთის ძველთაგანვე ლაზიკისადმი ქვეშევრდომობას, ქრისტიანობის აქ გავრცელებას ძველთაგანვე; აფსილეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, მისი ადმინისტრაციული ცენტრის წიბილეში (წებელდაში) არსებობას.³ აფსილეთის ლოკალიზაციისათვის განსაკუთრებით საინტერესოა პროკოპი კესარიელის მიერ მათი ციხე წიბილეს დასახელება: „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბილეს უწოდებენ“.⁴ მკვლევართა საერთო აღიარებით, ეს უნდა იყოს დღევანდელი წებელდა კოდორის ხეობაში. ეს ჩანს სახელის მსგავსებით და დასტურდება არქეოლოგიური კვლევითაც. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მითითებაა აფსილეთის ლოკალიზაციისა. როგორც ჩანს, ამის მიხედვით, აფსილეთის ერთ-ერთი ცენტრი მდებარეობდა მდინარე კოდორის ხეობის შუა წელზე და მის ჩრდილოეთით ან ჩრდილო-დასავლეთით, ამასთანავე VI საუკუნის II ნახევრის ავტორის, აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ზუსტდება, რომ წებელდა, ანუ მის მიხედვით, „ეგრეთ წოდებული ტიბელეოსის ციხე“ „მისიმიელთა და აფსილელთა საზღვარ-

¹ მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. მაცნე. 2. გვ. 46.

² დ. ლეთოდანი. დასახ. ნაშრომი. გვ. 168; გეორგიკა. II. ანონიმი V საუკუნისა. გვ. 8.

³ დ. ლეთოდანი. იქვე, გვ. 168.

⁴ პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II. თბ. 1965. გვ. 162.

ზეა და მათ ჰყოფს“.¹ როგორც ჩანს, მისიმიელებს კოდორის ხეობის უმეტესი ნაწილი ეკავათ, ნებელდიდან დაწყებული ჩრდილო-აღმოსავლეთით („ისინი ამ აფსილთა ტომებზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ“).² პროკოპი კესარიელი იძლევა აგრეთვე აფსილეთის სამხრეთით საზღვრის მინიშნებასაც, რომელიც სხვა წყაროთა მოშველიებით შეიძლება დაზუსტდეს: „ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიის არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირისპირ, მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა. აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ“.³ ეს დახასიათება, ალბათ, ემთხვევა სებასტოპოლისის და მდინარე კოდორის რკალის სანაპირო ხაზს და თუ გავიხსენებთ ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“ პასაჟს „ქალაქი აფსილეთისა ცხუმი“,⁴ აგრეთვე, სომხური გეოგრაფიის მონაცემს, რომლითაც მდ. დრაკონი (=კოდორი) აფხაზთა და ეგერთა ქვეყანას ყოფს, ლაზებისა და აფსილების საზღვარი ზღვისპირა ზოლში და მის მახლობლად მართლაც მდინარე კოდორის ქვედა წელი უნდა ყოფილიყო. ამის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცნობა თეოდოს განგრელის მოგონებებიდან, რომლის მიხედვითაც, მოქვი და ჯიხახორა, რომელიც „აფსილის მხარის საზღვარზეა“, ლაზეთის (და არა აფსილის) ტერიტორიაზე მდებარეობს.⁵ საინტერესოა პროფ. ნ. ლომოურის დასკვნა თუნდაც აფხაზთა ისტორიის გარკვეული პერიოდისათვის: „Следовательно у меня в данном случае было основание объявить, что с определенного времени абхазские племена не проживали и на территории Очамчирского района и их южная граница проходила по р. Кодори“.⁶ მაშ აფსილეთ-ლაზეთის საზღვარი ძირითადად მდინარე კოდორის ქვემო წელს მიუყვებოდა. სად უნდა იყოს აფსილთა და აბაზთა საზღვარი (ანუ აფსილეთის ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი)? პროკოპი კესარიე-

¹ აგათია სქოლასტიკოსი. გეორგია. III. თბ. 1965. გვ. 160.

² იქვე. გვ. 86.

³ პროკოპი კესარიელი. გეორგია. II. თბ. 1965. გვ. 128.

⁴ ჯუანშერი. ცხოვრება გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955. გვ. 235.

⁵ თეოდოსი განგრელი. გეორგია. IV. ნარკვ. I. თბ. 1941. გვ. 50.

⁶ Некоторые вопросы ранней истории Абхазии. მაცნე 3. 1990. გვ. 162.

ლი მოგვითხრობს, რომ „აფსილეთის საზღვრების შემდეგ აბაზგებს შესავალში ასეთი ადგილებია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება როგორც კიბე და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი ციხე ღირსშესანიშნავი სიდიდისა... თვით ადგილიც ამ ნაპრალის სახელწოდებას ატარებს, იქაური მცხოვრებლები ელინურად მას „ტრაქეას“ უწოდებენ.¹ ეს ადგილი უნდა იყოს დღევანდელ ახალ ათონთან გათხრილ-შესწავლილი ანაკოფიის კომპლექსი.² ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ანაკოფიის დასავლეთით მდებარეობდა აფხაზეთი („ხოლო ანაკოფიის დასავლეთით არს აფხაზეთი“, ალბათ ბერძნული აბაზგია – ნ. ა.).³

დაახლოებით V-VI საუკუნეებისათვის აფსილეთის საზღვარი ზღვისპირეთის გასწვრივ ახალი ათონიდან კოდორის შესართავამდე ვრცელდებოდა, შემდეგ მდ. კოდორის ქვედა წელს მიუყვებოდა დაახლოებით დღევანდელ ამზარამდე, რომელიც ნებელდის მახლობლად, ოდნავ აღმოსავლეთითაა. აქ აფსილები ესაზღვრებოდნენ მისიმიელებს. ჩრდილო საზღვარი კი სავარაუდოა მდ. გუმისთის და ამტყელის წყალგამყოფებს მიუყვებოდა და გამოყოფდა აფსილეთს ბზიფისა და ჩხალთის ხეობებიდან. აი, ასე წარმოგვიდგენია აფსილეთის (აფშილეთის) ტერიტორია ნარატიული წყაროების მიხედვით (V საუკუნის ანონიმი, პროკოპი კესარიელი, თეოდოსი განგრელი, აგათია სქოლასტიკოსი და სხვ.).

ახლა განვიხილოთ დამატებითი მასალა და გავარკვიოთ მაინც, რა ეთნიკური ფიზიონომია ჰქონდათ აფსილებს ნარატიულ წყაროთა და ტოპონიმების მიხედვით. პ. ინგოროყვა, აანალიზებს რა აფსილთა უმთავრესი ციხის სახელს ნიბილიოსს, დღევანდელ ნებელდას, სრულიად მართებულად ასკვნის, რომ „ნიბელი ანუ ნიბელთა

¹ პროკოპი კესარიელი. გეორგია. II. ტფ. 1934. გვ. 128.

² გ. ლომთათიძე. საქართველს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII საუკუნეებში. თბ. 1977. გვ. 70; М. М. Трапш. Археологические раскопки в Анакопии. ТАИЯЛИ, XXX. გვ. 157.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV. თბ. 1973. გვ. 783: „საზღვარი აფშილთა და აფხაზთა შორის ანაკოფიასთან გადის“; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. I. გვ. 98.



(=ნიფელთა) დაკავშირებულია ნიფლის სახელთან¹. დღევანდელი აფხაზეთის ამ ნაწილის, კოდორის ხეობის და მოსაზღვრე რეგიონების როგორც წერილობით წყაროებში დაფიქსირებული, ისე დღეს არსებული ტოპონიმთა შესწავლილი აქვთ პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილს,² დ. მუსხელიშვილს,³ თ. მიბჩუანს,⁴ გ. გასვიანს⁵ და სხვ. ისინი მხოლოდ ქართველური, სვანურ-მეგრული ენების საფუძველზე იხსნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აფსილთა და მათ მეზობელ მისიმიანთა ენობრივი კუთვნილების შესახებ გარკვეული მითითებაა წერილობით წყაროებში, კერძოდ, აგათია სქოლასტიკოსი მისიმიელთა შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი „კოლხთა მეფის ქვეშევრდომები არიან, აფსილების მსგავსად, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ. ისინი ამ აფსილთა ტომის უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ“⁶. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს თითქოს საკამათოს არ წარმოადგენს მისიმიელთა ეთნიკური ვინაობის საკითხი, რაც თავის დროზე ს. ყაუხჩიშვილმა დაასაბუთა.⁷ მისი დასაბუთებით, ეთნონიმი „მისიმიანი“ სვანთა თვითსახელ – „მუშუანის“ – სახეცვლილი ფორმაა და ის სვანს ნიშნავს. ამრიგად, აფსილები და მისიმიელები განსხვავებულ ენაზე მეტყველებენ. ე. ი. აფსილთა

¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე... გვ. 160.
² ს. ყაუხჩიშვილი. რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. თბ. 1964. გვ. 15-73.
³ დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 118-123.
⁴ თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორიიდან... გვ. 259-264; მისივე. აფხაზეთის ტოპონიმთა. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ. 1998. გვ. 154.
⁵ გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან... გვ. 201-209.
⁶ აგათია სქოლასტიკოსი. გეორგიკა. III. გვ. 86.
⁷ ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი. თსუ შრომები. I. თბ. 1929. ამ აზრს იზიარებენ ქართველი მეცნიერები დ. მუსხელიშვილი, გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, დ. ლეთოდიანი და სხვ. იზიარებდა ზ. ანჩაბაძეც: „Не исключено, что горные районы нынешней Юго-Восточной Абхазии занимали сванские этнические элементы, к которым возможно относились и проживавшие здесь мисимияне“ – Анчабадзе З. В. История и культура... გვ. 183. შემდგომში ანჩაბაძემ შექმნა საშუალებო თეორია „მისიმიათა ელემენტების ინდივიდუალური მისიმიანთა ტომისა და სვანთა ტომისა“ ეთნოლინგვისტური მისიმიანთა ტომისა და სვანთა ტომისა“ მისივე, Очерки этнической истории абхазского народа. Сухуми. 1976. გვ. 45.

სვანურენოვნება გამორიცხულია. საინტერესოა თვით კონტექსტი, სადაც ნათქვამია: „მისიმიანთა ქვეყანა, რომლებიც კოლხთა მეფის ქვეშევრდომები არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ“, ვფიქრობთ, რადგან ავტორი უპირისპირებს მისიმიანთა ენას აფსილურს, ხომ არ ნიშნავს, რომ კოლხური (=ლაზური=მეგრული) და აფსილური მსგავსი ენებია?¹

პავლე ინგოროყვას დასკვნით, „აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მიხედვით, საფიქრებელი ხდება, რომ საშუალო საუკუნეებში (ახ. წ. მე-6 საუკუნეში) სალაპარაკო ენა აბსილებისა (ე. ი. შერეულ კორახ-აბსილთა ტომისა) – ლაზური ყოფილა... აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მიხედვით, საფიქრებელია, არ განსხვავდებოდნენ კოლხებისაგან (მეგრულ-ლაზებისაგან), ხოლო, რაც შეეხება მისიმიანებს (ე. ი. მისიმიანეთის მხარეში მოსახლე სვან-კოლხთა ნარევე ტომს), მათი ენა, როგორც პირდაპირ აღნიშნავს აგათია, არ იყო კოლხური (მეგრულ-ლაზური). ამის მიხედვით, მისიმიანების მხარის მოსახლეობის ენა ყოფილა ან სვანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დიალექტი, რომელიც სვანური და მეგრული ენების შერევის ნიადაგზე წარმოშობილა“.²

აქ უნდა შევეხოთ ერთ საჭოჭმანო საკითხს, რომლის გაურკვეველობა უხერხულობას ქმნიდა ზემოაღნიშნულ პრობლემებზე საუბრისას. საქმე ეხება აგათია სქოლასტიკოსის ნაწარმოებს, რომლის ქართული თარგმანის მომდევნო ნაწილში, იქ, სადაც საუბარია მისიმიელებთან ელჩად გაგზავნილ წარჩინებულ აფსილთა მკვლევობაზე ნათქვამია: „სრულიად უკუაგდეს საერთაშორისო კანონები და მაშინვე მოკლეს ეს მოციქულები, თუმცა ისინი მათ მონათესავე და მეზობელ აფსილელთა ტომს ეკუთვნოდნენ“.³ მაშ აქ აფსილები და მისიმიელები მონათესავედ არიან დასახელებული; ზემოთ, პირველად ციტირებულ ფრაგმენტში კი საუბარი იყო ენობრივ სხვაობაზე. მივმართეთ შესაბამის წყაროს, შესაბამისი ადგილის ჯერ რუსულ თარგმანს, მასში არ აღმოჩნდა ასეთი დაპირისპირება. აი, ისიც: „Отбросив и нарушив общечеловеческие законы (მისიმიელებმა – ნ. ა.) немедленно убили послов, хотя они были оп-

¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე... გვ. 142, 145.
² იქვე... გვ. 142, 145.
³ აგათია სქოლასტიკოსი. გეორგიკა. ტ. III, გვ. 161-162.



სილინცამი, იხ სოსედამი ი ბლიკიმი პო ბრბაჟი ჯიჟნი“.¹ ე. ი. აჟ აფსილთა და მისიმიელთა არავითარ ნათესაობაზე საუბარი არაა ნათქვამია, რომ ეს ტომები იყვნენ მეზობლები და ცხოვრების სტილით, წესით ერთნაირნი და მახლობელნი. ბუნებრივია, ჩვენ ეჭვი შეგვეპარა ქართული ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ნაწილის თარგმანის სიზუსტეში. მივმართეთ შესაბამის პროფესიონალს და ამ რუსული თარგმანის განსახილველ ადგილს სრულად დაემთხვა ჩვენი თხოვნით შესრულებული თარგმანი „თსუ ხმელთაშუა ზღვის კულტურათა კვლევის ლაბორატორიის“ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, ირინა გარაყანიძის მიერ.² კერძოდ: „ხოლო მისიმიელებმა უგულუბელყვეს და (აბუჩად) აიგდეს ყველა ადამიანისათვის საერთო კანონები, მოკლეს მაშინვე ელჩები და აფსილები კი იყვნენ მსგავსი (საერთო) ცხოვრების წესის მიმდევრები და მეზობლები (=საზღვრით მახლობლები)“. ეს თარგმანი სრულ შესატყვისობაშია რუსულ თარგმანთან. ე. ი. ახლა ცხადია საბოლოოდ, რომ აგათიას ტექსტის მისიმიელები და აფსილები სხვადასხვა ენებზე მეტყველი ტომებია (მხოლოდ ცხოვრების წესით მსგავსნი). ე. ი. აფსილები სვანურენოვანები არ არიან. მაშ ვინ იყვნენ ისინი ენობრივად? თავის დროზე ისტორიული მასალისა და ტოპონიმიკის მონაცემთა შეჯერებით, რისი ციტირებაც ზემოთ მოვახდინეთ, პავლე ინგოროყვამ დაასკვნა, რომ აფსილები მეგრულენოვანი ტომია.

უცხოური ნარატიული წყაროები აფსილთა ეთნიკური ვინაობის შესახებ სხვა ინფორმაციას არ იძლევა. მათში დასახელებულია რამდენიმე ანთროპონიმი, მაგალითად, „მარინე აფსილთა შორის უპირველესი კაცი“.³ ეს სახელი ქრისტიანულ-რომაული ჩანს.⁴ რომაული იყო II საუკუნეში აფსილთა მეფის სახელიც – იულიანე. აგა-

¹ Агафий. О царствовании Юстиниана. перевод М. В. Левченко, М. Л. 1953. გვ. 119.
² ფასდაუდებელი დახმარებისათვის დიდი მადლობა მსურს მოვახსენო ქალბატონ ირინა გარაყანიძეს.
³ Чичуров И. С. Византийские исторические сочинения. «Хронография». М. 1980. გვ. 67.
⁴ მარინე – ზღვისა. ხსენება მარტ. 17 ივლ. 7 დეკ. 16-სახელი მამათანი. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ. 1980. გვ. 406. Марин – имя нескольких мужиков. М. в 1990 г. в томах пам. 7 июля да სხვ. Польный Православный Богословский энциклопедический словарь. т. I. М. 1992.

თია სქოლასტიკოსთან დაფიქსირებულია ორი მისიმიელი წარჩინებული სახელი „ხადე და თიანე“. ¹ დღევანდელი სვანური სახელებიდან, რომლებიც შეიძლება როგორღაც მათ ეხმაურება, პირადად ჩემთვის ცნობილია „ხადუგა-რ“ და „თიარბ“. ² ასეთ მოსაზრებას აღძრავს ზოგ წყაროში შემორჩენილი აფსილურ თუ მისიმიანურ ანთროპონიმთა გაცნობა.

სხვა მხრივ ნიშანდობლივია ის, რომ გარკვეული ხნის შემდეგ (VIII ს.) ეთნონიმი „აფსილი“ ქრება (ქრება სხვათა შორის მისიმიელთა ხსენებაც). რა იყო ამის მიზეზი? მოხდა მათი „ასიმილაცია“ ლაზ-ეგრისელთა მიერ, თუ ნაწილობრივ აბაზგთა მიერაც. პროცესი ორთავე მხრივ განვითარდა, მაგრამ, ვფიქრობთ, უპირატესი მაინც მეგრულენოვან აფსილთა ლაზ-ეგრისელებთან შერწყმა იყო. ეს რომ მართლაც ასე იყო, ქვემოთ წარმოგიდგენთ. რა ბედი ეწია მისიმიანეთს? წყაროთა მიხედვით ვიცით, რომ იგი მდებარეობდა აფსილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ე. ი. მდ. კოდორის ზემო წელზე. ³ მაგრამ საინტერესოა, რომ უკვე VII საუკუნეში სომხური გეოგრაფია აღნიშნავს „... ავაზოვ ქვეყანისა, რომელიც არის აფშილეთი და აფხაზეთი, ვიდრე მათ ზღვისპირა სევასტოპოლამდე, ხოლო იქიდან აგრეთვე ვიდრე მდინარემდე, რომელსაც ეწოდება დრაკონი ანუ ვეშაპი (ეს აშკარად კოდორი უნდა იყოს – ნ. ა.), რომელიც მოედინება ალანიდან (ტექსტში აშკარად შეცდომით – ალვანეთიდან – ნ. ა.) და განჰყოფს აფხაზეთს და ეგრის ქვეყანას“. ⁴ თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ტექსტში ალანის ნაცვლად იქნებოდა მისიმიელთა ქვეყანა, აკი კოდორის ზემო წელზე სწორედ ისინი ცხოვრობდნენ VI საუკუნეში (და ალბათ უფრო ადრეც), მაგრამ წყაროთა მონაცემების ანალიზით, დ. მუსხელიშვილი მიდის სრულიად უეჭველ დასკვნამდე, რომ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის ქვეყანას ალანად „ვახუშტი იმ მხარეს თვლის, რომელსაც გაივლის ზემოხსენებული მდინარე სვანეთის შემდეგ ბზიფამდე, ე. ი. სწორედ ზემო წელის ტერიტორიას (ჩხალთის, კლიჩის, გვანდრის და საკენის

¹ გეორგიკა. III. გვ. 87.
² აღ. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. თბ. 1986. გვ. 131, 241.
³ გეორგიკა. III. გვ. 86.
⁴ Армянская география VII века по р. Х. Патканов К. П. Тб. 1877. გვ. 25-26.

ხეობები), ანუ ბიზანტიური წყაროების მისიმიანეთს¹. აქამდე კი მეცნიერი მიიყვანა შემდეგმა ანალიზმა: „ანასტასი აპოკრიფიკის წერილიდან კიდე ერთი ადგილია ჩვენთვის საინტერესო: კერძოდ, წერილის ლათინურ თარგმანში, იქ, სადაც ლაპარაკია ბუკულუსის ციხესიმაგრის შესახებ, ჩართულია გლოსა, რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ 666 წელს (ე. ი. წერილის დაწერის დროს) ზემოხსენებული ციხე ალანებს უჭირავთ.² ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ასიოდე წლის წინ (551 წ.) ალანები ცდილობდნენ მისიმიელთა ეს პუნქტი ხელში ჩაეგდოთ. როგორც ჩანს, VII საუკუნის 60-იანი წლებისთვის მათ ეს მოუხერხებიათ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ქართული თარგმანი მას უწოდებს „ციხესა სახელით ბოკულეს საზღვრისვე ოვსეთისათა“.³ ბუკულესის ციხესიმაგრე, როგორც დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, უნდა იყოს დღემდე შემონახული ნანგრევები ადრეფეოდალურ ციხესიმაგრისა კოდორის სათავეში, მდ. კლიჩის მარცხენა ნაპირზე, ქლუხორის გადასასვლელისაკენ მიმავალი გზის პირას. რამდენადაც ეს ციხესიმაგრე იცავდა სწორედ ალანებთან ეგრისის დამაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალს, ამდენად, ბუნებრივია, ალანთა სურვილი ბუკულესის ხელში ჩაგდებისა სამხრეთისაკენ მათი ექსპანსიის უზრუნველსაყოფად, ალან-ოსთა ექსპანსიას ოდესღაც კოდორის სათავეებში რომ ჰქონია ადგილი, ამას თეოდოს განგრელის გარდა სრულიად სხვა წყაროებიც მოწმობს, კერძოდ, ამის მოწმობა უნდა იყოს კოდორის სათავეებში მდ. კლიჩის და მდინარე საკენის შესართავთან ძველად არსებული სოფელი „ალანდა“, სწორედ ჩვენთვის საინტერესო მხარეში მუქლოოს // ბუკულუსის ციხესიმაგრის ნანგრევების მახლობლად“.⁴ ახლა ძნელია მტკიცება, თუ რა მოჰყვა ამ პროცესს, მისიმიან-სვანთა ტომის აქედან განდევნა-ამოწყვეტა, თუ ალანთაგან ასიმილაცია; შესაძლოა ორივე ერთად. რაც შეეხება ალანებს, ისინი როგორც წერილობითი წყაროებით, ისე სხვა საინტერესო მასალით ჩანს, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში (IV-V საუკუნეებიდან მაინც) სახლობდ-

¹ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები... გვ. 56.

² გეორგიკა. IV. გვ. 40.

³ იქვე. IV. გვ. 44.

⁴ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. გვ. 54, 55.

ნენ მდ. ყუბანსა და მისი შენაკადების სათავეებში.¹ ამაზე თითქოს მიუთითებს როგორც ბიზანტიური, ისე ქართული წყაროებიც, მან თეოდოსი განგრელი გვაუწყებს, რომ სოფელი მოქვი მდებარეობდა „კავკასიის ზედ ძირში, ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანთა ტომის მახლობლად“.² ან ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ცნობა, რომ „სიმონი და ანდრია ნავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში“.³ თეოდოსი განგრელის მიხედვით კი, ფუსტა აფსილთა და მისიმიანების მხარეებში იყო.⁴ ლაზიკის ციხე სქიომარი „... მდებარეობს მახლობლად ალანებად ნოდებულის ხალხისა“.⁵ VI საუკუნეზე ადრინდელი ავტორი, პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ „კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობდნენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა“.⁶ დაახლოებით ამასვე მიუთითებს ქართული წყაროც.⁷

ალანთა ისტორიის ცნობილ მკვლევართა – ვ. კუზნეცოვის და ე. ალექსეევას მიხედვით, ადრეულ შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში ალანთა ორი დიდი ტომთა გაერთიანება იყო: დასავლეთ ალანები, რომელთა სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში ალანებთან ერთად შედიოდნენ ადიღეური ტომები და იგი ძირითადად ყუბანის აუზს მოიცავდა, და აღმოსავლეთ ალანეთის გაერთიანება, რომელსაც უმთავრესად ჩრდილო კავკასიის ველი და მთისწინეთი ეკავა.⁸ დასავლეთ ალანთა გაერთიანება ამ დროს უფრო აქტიური უნდა იყოს. მათ შეუღწევიათ კოდორის ხეობაში; მისიმიანეთის ნაცვლად აქ შექმნილა „ქვეყანა ალანი“. როგორც ჩანს, მისი სახელი ფიგურირებს განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში; ამაზე მეტყველებს თამარის ისტორიკოსის

¹ Алексеева Е. П. Древняя и средневековая история Корачаево-Черкесии. М. 1971. “... в эпоху раннего средневековья Кубани населяли аланы”. გვ. 103.
² გეორგიკა. IV. გვ. 50.
³ იქვე. გვ. 58 (ეპიფანე VII საუკუნის II ნახევრის ავტორია).
⁴ აქ ასახულია VII საუკუნის შუა წლების სიტუაცია, როცა ეს მხარე ალანებს ჯერ არ ეკავათ – გეორგიკა. IV. გვ. 44.
⁵ გეორგიკა. IV. გვ. 42.
⁶ გეორგიკა. II. გვ. 135.
⁷ ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955. გვ. 235.
⁸ Кузнецов В. А. Аланские племена Северного Кавказа. МИЛ №106. გვ. 131; Алексеева Е. П. Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии. გვ. 78, 80, 103 და სხვ.



ცნობა, რომელიც გიორგი მეფეს ეხება: „... ოდესმე, უამსა ზამთრის
 სასა გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუნის ზღუად პონტოსა,
 მოინის და მოინადირნის ალანთა ქვეყანა რომელ არს აფხაზეთი.“¹
 და ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ალანი არს სვანეთს დასავლით
 და ბედიის ჩრდილოეთით. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი
 სვანთა; სამხრით კავკასი ბედია – ოდიში და ამას შორის; დასა-
 ვლით კავკასი, ჩრდილოეთცა კავკასი“.² ალბათ, ყოველივე ზემოთ
 მოტანილის შედეგი უნდა იყოს, რომ ქართული ტომის მეგრელთა
 ისტორიულ მეხსიერებაში ეს მომენტი შემდეგნაირად დაფიქსი-
 რებულა: მეგრელები ყარაჩაელებს, რომლებიც მდინარე ყუბანის
 სათავეებში ბინადრობდნენ, კოდორის ხეობის მოსაზღვრედ, დღე-
 საც ალანებს უწოდებენ.³ ფაქტობრივად ეს უნდა იყოს ადრეულ
 შუა საუკუნეებში ოსთა ნინაპარი ტომის, ალანთა საქართველოს
 ტერიტორიაზე (აფხაზეთში), ერთადერთი შემოღწევა. განვითარე-
 ბული შუა საუკუნეებიდან გვიან შუასაუკუნეებამდე ალანთა და
 კავკასიელ ტომთა შერწყმის შედეგად წარმოშობილი ოსები მკვი-
 დრდებიან ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, საიდანაც
 XVII-XVIII საუკუნეებში იჭრებიან შიდა ქართლში.⁴

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. II. თბ. 1959. გვ. 15.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV თბ. 1977. გვ. 788-789. საინტერესოა, რომ ვახუშტიმ იცის ალანიცა და ოსეთიც, მაგრამ მათ შორის ვერავითარ საერთოს ვერ ხედავს; სხვათა შორის, აღნიშნავს „არამედ სუანეთი და ალანი იყო კავკასისავე წილნი“ (გვ. 789). ამის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასე მოხდა კოდორის ზემო წელზე მცხოვრებ ალანთა „კვლავ სვანიზაცია“.

³ მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბ. 1966. გვ. 14.

⁴ იხ. კრებული „ოსთა საკითხი“. გორი-თბილისი. 1996. გვ. 14-15, 88, 95-98, 192 და სხვ.

ენობრივი ფაქტები აფსილთა (აფხილთა) შესახებ

რა ფორმით აისახა ალანთა შემოჭრა კოდორის ხეობაში სხვა ტიპის საისტორიო მასალაში? იგი შეიძლება აისახა 80-იან წლებში წებელდური ტიპის ნამოსახლარებისა და სამარხებში ალანური ტიპის კერამიკის აღმოჩენითაც.⁵ შეიძლება მას მხარს უჭერდეს თვით სვანეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ალანური ტიპის ნივთებიც.⁶ მაგრამ, ვფიქრობთ, კოდორის ხეობის უძველესი მოსახლეობის და განსაკუთრებით აფსილთა ეთნიკური ვინაობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზოგ ენობრივ ფაქტს, წყაროს, რაც, ჩვენი აზრით, ზემოგანხილულ მოვლენებს უკავშირდება.

ამჯერად გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ერთი ტიპის ენობრივ მასალაზე, კერძოდ, ლექსიკურ ნასესხობებზე, რომელიც, როგორც ჩანს, მიუთითებს შესასწავლ ხანაში ქართველურ ენათა – სვანურის და მეგრულის ძლიერ, აქტიურ კონტაქტებზე ალანოსურთან და რამაც, შესაძლოა, მიგვიყვანოს დასმული საკითხის ფაქტობრივ გადამწყვეტამდე. კერძოდ, ცნობილმა, ეროვნებით ოსმა, ენათმეცნიერმა, ვ. აბაევმა ოსურ ენაში (ლექსიკაში და სხვ.) დააფიქსირა „მეგრელიზმები“ და „სვანიზმები“. მათგან ოსურში მეგრულიდან შესული ლექსიკური ელემენტები ერთ ათეულს არ აჭარბებს, მაგრამ ვ. აბაევი მათ სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, კერძოდ: „Осетинские слова, которые мы рассматриваем как мегрелизмы, своим характером, и значением употреблением говорят об интимности и глубине связей существовавших между двумя народами. Речь идет не о каких нибудь второстепенных малоупотребли-

¹ Ю. Н. Воронов, О. Х. Бгажба, Н. К. Шенков, В. А. Логинов. Исследования в селе Цебельда. ПАИ 1983. Тб. 1986. Тб. С III-19. გვ. 55.

² ამგვარია თითქოს ლენჯერის სამაროვანზე აღმოჩენილი კერამიკის ნაწილი – იხ. შ. ჩართოლანი. ახალმშენებლობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში. ძეგლის მეგობარი. 1. 1990. გვ. 28.

თელნი სოვახ, ა სომაქ ნასუშნიქ ობიხოძნიქ ონიათი: ოგონი, კამენი, ჯერდი, სოლბი, სკამია, შერსტი, სერნა, ნოს. კ ნეკოტორიმ ივანთიქ სოვ სოვ ტრუძნი ორმინიმი დამე ნაინეოვანიე «ჯაიმსოვანიე», მი ვოვრასეაქ ნასოქივი კ დრუგოუ ლინგვისტიქსეოკოუ მი კულტურნი-ისტორიქსეოკოუ ონიათი: «სუბსტრატ».¹ მოტანილი ციტატის ავტორი მიახლოებით კიდეც განსაზღვრავს მეგრელთა და ოსთა შესაძლო კონტაქტის ხანას და არეალსაც, გამომდინარე იქიდან, რომ ოსურში საკმაოდ ძლიერი ჩანს სვანური და აფხაზური ნასესხობანიც. აბაევის აზრით, არც ერთი „მეგრელიზმი“ არ შეიძლება მოხვედრილიყო ოსურში XIV საუკუნეზე გვიან, ე. ი. იმ ხანაზე უფრო გვიან, ვიდრე ოსები განსახლებული იყვნენ მდინარე ყუბანის სათავეებში, საიდანაც შეეძლოთ უშუალო შეხება ჰქონოდათ როგორც მეგრელებთან და სვანებთან, ისე აფხაზებთან.² ვ. აბაევი აზუსტებს კიდეც, ს. ჯანაშიაზე დაყრდნობით, მეგრელთა და ოსთა შესაძლო კონტაქტის არეალს და ამ სივრცედ მას, ჩვენდა სასიამოვნოდ, კოდორის ხეობა მიაჩნია: „По любезному осведомлению С. Н. Джанашиа, мегрелский элемент был распространен в прошлом по кодорскому ущелью нынешней Абхазии факт особой важности, если иметь в виду многовековое соседство осетин-алань с Абхазией“.³ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვ. აბაევისვე დაკვირვებით, კიდეც უფრო მრავალრიცხოვანია სვანური (და აფხაზური) ლექსიკური ელემენტები ოსურში, იგი 40-ზე მეტია და მოიცავს ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა სფეროს: „Снежная лавина, сланец, малина, мушмула, земляника, клен, овес, бобы, канопля, рож, солод, муравей, кози в возрасте от 6 мес. до 1 года, бык крупного и мощного сложения, круглый камень для толчения зерен или соли, кладовая амбар, крепкая веревка из конопли и щетини, склен надземный, хлеб спеченный в золе, тряпка, губа, ресница...“⁴ და სხვ. რაც მთავარია, სვანურ ფოლკლორში გვხვდება „ნართული“ სიუჟეტების მთელი სერია.⁵ თავის მხრივ, რიგი ენობრივი ელემენტები ალან-ოსურიდან სვანურსა და

¹ Абаев В. Л. Осетинский язык и фольклор. т. I. М-Л. 1949. გვ. 291, 308, 323-333.

² იქვე. გვ. 309-322.

³ Абаев В. Л. დასახელებული ნაშრომი. გვ. 329.

⁴ იქვე. გვ. 294-300.

⁵ იქვე. გვ. 309-306.

მეგრულშია შესული.¹ როგორც აღვნიშნეთ, ვ. აბაევი ათარიღებს კიდეც დაახლოებით მეგრულ-სვანური ენობრივი ელემენტების მდებარეობის ხანას ოსურში: „... ни одно из рассмотренных слов не имело память в осетинской позднее XIV века, т. е. позднее того времени, когда осетины были расселены еще до верховьев и могли непосредственно общаться с мегрелами, абхазами и сванами“.² მართლაც, როგორც ზემოთ განვიხილეთ, სრულიად რეალურად ჩანს ალან-ოსთა არა მარტო ყუბანის სათავეებში ყოფნა და იქიდან კონტაქტი სვანებთან და მეგრელებთან, არამედ, სავარაუდოა, ისინი იჭრებიან კიდეც კოდორის ხეობაში, რის შედეგადაც იქ ქრება მისიმიანთა სვანური ტომი და ჩნდება „აფხაზეთის ქვეყანა ალანი“, რომლის სახელი XVIII საუკუნემდე შემორჩა და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომშიც დაფიქსირდა. მისიმიანეთის დაკავების შემდეგ აქ დაფუძნებულ ალანებს, ბუნებრივია, მრავალმხრივ-მრავალგვარი, ალბათ, აგრესიულიც (თავიდან), შემდგომ უმეტესად მშვიდობიანი თანაარსებობა ექნებოდათ აქაურ აფსილებთან და სწორედ მათგან შეითვისეს უთუოდ ოსურში დაფიქსირებული „სუბსტრატული მეგრელიზმი“. აკი ბატონმა ს. ჯანაშიამ ჯერ კიდეც როდის მიუთითა ასეთ კონტაქტთა შესაძლებლობაზე. რაც შეეხება ენობრივი მასალის „სუბსტრატულობას“, იგი ასეთი ელფერის იმიტომაა, რომ მომთაბარე ალანებმა კულტურულ-მინათმოქმედი ხალხისაგან (აფსილებისაგან) მიიღეს შესაბამისი ტიპის, მათთვის უცნობი სამეურნეო ლექსიკა. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ აფსილები (=აფშილები) მეგრულენოვანი ტომი უნდა იყოს. ამით ნათელი ხდება ისიც, თუ რატომაა მათი სახელი, ეთნონიმი ქართველური წარმოების, ქართველური ფორმის და რატომაა აფსილეთის ტოპონიმიცა ქართველური.³ სხვათა შორის, ამავე პროცესთა შედეგია, რომ ალან-ოსურში „მეგრელიზმებზე“ გაცილებით მეტი „სვანიზმებია“ შესული. ეს გასაგებია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალანებმა სვანური მისიმიანეთი დაიპყრეს და, შესაძლოა,

¹ მზია ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბ. 1966. გვ. 54-44.
² Абаев В. И. დასახელებული ნაშრომი. გვ. 329.
³ პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. 155-159; ნოე აფხაზავა. აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ. 1998. გვ. 9-11.

მათი ნაწილობრივი ასიმილაცია მოახდინეს კიდეც. მეგრულენოვან ეთნოსთან ალან-ოსთა მეზობლობა და მჭიდრო კონტაქტი სხვადასხვა თველოს ჩრდილო კავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში გამოიქცხვლია. „ისტორიული ოსეთ-ალანიის“ უმეტესი ნაწილი სვანეთის მოსაზღვრეა, ხოლო დღევანდელი ნამდვილი ოსეთის, „ჩრდილო ოსეთის“ მოსაზღვრე ქართულ ისტორიულ პროვინცია რაჭაში მეგრულენოვან მოსახლეობას არასოდეს უნდა ეცხოვრა, რაჭის ტოპონიმოკასა და რაჭულ დიალექტში მეგრულიზმები (=ზანიზმები) არ გვხვდება. დღეს აქ გაბატონებულ ქართულ ეთნო-ლინგვისტურ სიტუაციას წინ უსწრებდა მხოლოდ სვანური, რომელიც მკვლევართა ნაწილის მიხედვით, თითქმის გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისამდე არსებობდა აქ.¹ მეორე მხრივ კი, თვით ოსეთის (=ჩრდილო ოსეთის) ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა ცხადყოფს, რომ მისი მთიანი ნაწილი, ე. ი. საქართველოსთან დამაკავშირებელი სასაზღვრო ზოლი ალან-ოსებს საკმაოდ გვიან აუთვისებიათ: „... данные археологических источников говорят о том, что первым из осетинских обществ сложилось Дигорское, куда аланские элементы проникли рано и наиболее глубоко. Другие общества сформировались несколько позже преимущественно в XIII-XIV вв. в результате сильной миграции алано-осского населения с равнины в горы“.² რაჭის (და შიდა ქართლის) მოსაზღვრე ქართული პროვინცია დვალეთის, ანუ როგორც ოსი ავტორები უწოდებენ „ტულგომის“ ასიმილაცია ალან-ოსთაგან, მათი აზრით, XIV-XV საუკუნეებში მომხდარა.³ ამ თარიღისაგან, ჩვენი აზრით, გამოსარიცხია XIV საუკუნე, რადგან, როგორც „ნიკოლოზ დვალის წამებიდან“ ჩანს, ამ დროს დვალეთი ჯერ კიდევ ქრისტიანულ-ქართული ქვეყანაა.⁴ რომ ალან-ოსებს მეგრულენოვან, დასავლეთ-ქართულ (=ზანურ) ეთნიკურ მასივთან

¹ ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ. 1987. გვ. 15, 24, 25; თ. ბერაძე. რაჭა. თბ. 1983. გვ. 73; გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. გვ. 194-198.
² История Северо-Осетинской АССР. т. I. глава IX. Северная Осетия в XIV-XV вв. (авт. Тмснов В. Х., Кузнецов В. А., Гутнов Ф. Х., Тоттов Ф. В.). Орджоникидзе. 1987. გვ. 139.
³ იქვე. გვ. 142.
⁴ უცნობი ავტორი. ნიკოლოზ დვალის წამება. ქართული მწერლობა. ტ. 5. თბ. 1988. გვ. 326-327.

კავკასიონის ცენტრალურ რეგიონში, რაჭა, დვალეთი და სხვა, კონტაქტი, შეხება ვერ ექნებოდა. ასეთი შეხვედრა, კავშირ-ურთიერთობათა ერთადერთი შესაძლებლობა რჩება, რომელსაც კვლავ კოდორის ხეობისაკენ მივყავართ.

ყოველივე ზემოთქმულის საბოლოო და უმთავრესი დასკვნა ისაა, რომ ალან-ოსებმა სუბსტრატული ტიპის მეგრულიზმები (=ზანიზმები) აფსილებთან (=აფშილებთან) კონტაქტის შედეგად მიიღეს კოდორის ხეობაში მათი შეღწევის შედეგად VII-VIII საუკუნეებში. ამის მიხედვით ვასკვნით, რომ აფსილები (=აფშილები) ქართველური, მეგრულენოვანი ეთნოსია, რაზეც მიგვითითებს აგრეთვე თვით ეთნონიმის წარმოების ქართული ფორმა აფსილ-ი (=აფშ-ილ-ი), რომლის ქართველურობას საქართველოსა და ქართველურის მიმართ ყველაზე არაობიექტურად (მტრულადაც) განწყობილი მკვლევრებიც კი აღიარებენ.¹ როგორც ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმი ამ ფორმით, ასეთი წარმოებით გაფორმებული ჩანს უკვე ძველი ნელთალრიცხვის XII საუკუნეებში, რაც დასტურდება ტიგლათფილესარ I-ის წარწერებში ნახსენებ სატომო სახელ აბეშ-ლ-ა-ს სახით.² ამგვარად, საფიქრებელია, რომ ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმი უძველესი დროიდანვე ქართველურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული.³

¹ Воронов Ю. Н. Тайна Цебельдинской долины. М. 1973. გვ. 140. З. В. Анчабадзе. Очерки этнической истории абхазского народа. Сухуми. 1976. გვ. 39.

² გრიგოლ გიორგაძე. ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (ხელნაწერი). თბ. 1997. გვ. 9.

³ ყოველივე ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ აფხაზეთ-აფშილეთის ტოპონიმის და აგათია სქოლასტიკოსის ცნობის, მისიმიანთა და აფსილთა ენობრივი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ დასკვნათა გამოტანით, შესანიშნავი მეცნიერი ბატონი პავლე ინგოროყვა ჭეშმარიტებას ბრძანებდა.

„ნებელდური კულტურის“ არსის შესახებ

რა მდგომარეობაა ჩვენთვის საინტერესო ხანის (I-VII საუკუნეების) დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ნივთიერ კულტურაში; რომელი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს მისგან რეკონსტრუირებული ისტორიული მასალა. ამ მხრივ უპირატესად აღსანიშნავია დღესდღეობით აფხაზეთის ტერიტორიასა და დანარჩენი დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილში გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსი, რომელიც ისტორიულ-არქეოლოგიურ მეცნიერებაში ფიგურირებს „ნებელდის კულტურის“ სახელით. ამ არქეოლოგიურ კომპლექსთა ასეთი ატრიბუცია ეკუთვნის აფხაზ არქეოლოგ მ. ტრაპშის. მან შემოიტანა არქეოლოგიურ მეცნიერებაში სახელი „ნებელდის კულტურა“, მანვე დაუკავშირა იგი „ძველათხაზურ ტომებს“, აფსილებსა და აბაზგებს.¹

ჯერ კიდევ 1886 წელს გრაფინია უვაროვა აღნიშნავდა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ მაჭარის ხეობაში აღმოუჩენიათ სამარხები კრემაციის ნიშნით. არქეოლოგმა მილერმა კი 1907 წელს ნიბილიუმის ციხე გათხარა.² გარკვეული ნივთიერი მასალა ამ რეგიონში შეაგროვა ბოტანიკოსმა ი. ნ. ვორონოვმა 1915 წელს (მასალა შევიდა კავკასიის მუზეუმში), რომელიც შემდეგ ბ. კუფტინმა გამოაქვეყნა.³ 1945 წელს გეოლოგმა ი. გრძელიშვილმა⁴ რამდენიმე სამარხი გათხარა ნებელდაში (მაშინდ. ოლგინსკოე). განათხარი მასალა ნაწილობრივ გამოაქვეყნეს ი. გრძელიშვილმა და ქ. ბერძენიშვილმა.⁵

¹ Трапш М. М. Культура цебельдинских некрополей. Труды. т. III. Тб. 1971. გვ. 212.

² Воронов Ю. Н. Тайна Цебельдинской долины. М. 1975. გვ. 12-17.

³ Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. I. Тб. გვ. 93-95, ტაბ. VII.

⁴ Грдзелишвили И. А. Остатки кремации в глиняных сосудах в Абхазии. Сбщ. АНГССР. т. VII. №1-2. Тб. 1947. გვ. 93-99.

⁵ ქ. ბერძენიშვილი. ნებელდის გვიანანტიკური ხანის კერამიკა. მსკა. II. თბ. 1959.



აფხაზეთის კვლევითმა ინსტიტუტმა 1960-1963 წლებში სოფელ მრამბაში, ნებელდასთან გათხარა სამაროვანი. მ. ტრაპშიმა შეისწავლა ძეგლები აბგიძრახუ, ახაცარახუ, ალრახუ და სხვ. ისინი მან II-V საუკუნეებით დაათარილა და აფსილებსა და აბაზგებს დაუკავშირა.¹ მ. შამბამ და ვორონოვმა აფსილებს მიაკუთვნეს იგი.² ზ. ანჩაბაძემ ეს აზრი 1976 წელს გამოცემულ ნაშრომში გაიზიარა.³ ი. ვორონოვის ნაშრომს გამოცემულს მოსკოვში 1975 წელს ა. კ. ამბროზის რედაქციით „ნებელდის კულტურის“ და საერთოდ, აფხაზეთის ისტორიის ხშირად ახლებურად და „ფუნდამენტურად“ გააზრების პრეტენზია აქვს.⁴ ეს ყველაფერი გაკეთებულია უკიდურესი ტენდენციურობის, არაობიექტურობის და ფალსიფიკაციის „მეთოდებით“, რაც ამხილა დასავლეთ საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის შესაბამისი პერიოდის მკვლევარმა ვ. ჯაფარიძემ⁵ და ნაწილობრივ ამ სტრიქონთა ავტორმაც.⁶

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, მ. გუნბამ 1978 წელს გამოაქვეყნა „Новые памятники цебельдинской культуры“, 1985 წელს კი ვ. ი. ვორონოვმა და ო. ბლაჟბამ „Материалы по археологии Цебельды...“⁷

ნებელდური არქეოლოგიის, კერძოდ კი მისი ქრონოლოგიის საკითხებს შეეხო ა. კ. ამბროზი, თუმცა მკვლევართა ნაწილი მთლიანად არ იზიარებს მის შედეგებს.⁸ ნებელდურ მონაცემებს ჩვენც აქტიურად ვიყენებდით ჩვენს ნაშრომში, რომელიც გვიანანტიკური და ადრემშუასაუკუნეთა საქართველოს არქეოლოგიურ ქრონოლოგიას ეძღვნებოდა.⁹

¹ Трапш М. М. დასახელებული ნაშრომი. გვ. 216.
² Воронов Ю. В. დასახელებული ნაშრომი. М. 1975, გვ. 134, 140.
³ Анчабадзе З. В. Очерки этнической истории абхазского народа... გვ. 39.
⁴ Ю. Н. Воронов. დასახ. ნაშრომი. გვ. 2-6.
⁵ ვ. ჯაფარიძე. ნებელდური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. თბ. 1979. გვ. 87, 88.
⁶ ნ. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ. 1979. გვ. 91, სქოლიო 6.
⁷ Амброз А. К. Проблемы раннесредневековой хронологии Восточной Европы. СА. №2-3. 1971. გვ. 110.
⁸ „Проведенная А. К. Амброзом передатировка далеко не во всех случаях кажется достаточно обоснованной“. Абрамова М. И. Ранние аланы Северного Кавказа III-IV вв. н. э. 1997. М. გვ. 40.
⁹ ნ. აფხაზავა. დასახ. ნაშრომი. გვ. 12-15, 18-25, 29, 31 და სხვ.

ე. ნ. „ნებელდური კულტურის“ უმთავრესი კომპონენტია სოფლის სამაროვნები მრავალფეროვანი დაკრძალვის წესით დაკრძალვის წესი, განსაკუთრებით კი მათი პოზა, აქ მრავალგვარია: უმთავრესად გავრცელებულია ორმოსამარხებში დაკრძალვა, ინჰუმაცია. სამარხი ორმოები წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისაა. მიცვალებულთა უმეტესი ნაწილი სამარხში იწვა ზურგზე გამოტილი, ხელები მუცლის ან წელის არეში (ან გაჭიმული). სამარხის დამხრობა უმთავრესად ჩრდილო-დასავლეთის ან სამხრეთ-დასავლეთისაკენაა. არის ჩრდილო დამხრობაც, რომელიც IV საუკუნეზე ადრეულია. მ. ტრაპშის მიხედვით, თავით დასავლეთისკენ ორიენტაცია V საუკუნიდან იწყებს გავრცელებას. უფრო ადრეულ ხანაში გვხვდებოდა კრემაციული სამარხებიც – დაახლოებით 20%. მ. ტრაპშმა მის მიერ შესწავლილი სამარხები II-IV საუკუნეებით დაათარილა. ქრისტიანობის ფართოდ გავრცელება კი V საუკუნეში მიიჩნია.¹ ქრისტიანობის ნებელდაში ადრეული გავრცელების აზრს ემხრობიან ზ. ანჩაბაძე, გ. შამბა, მ. ინაძე.² ა. ამბროზმა, როგორც აღვნიშნეთ, შეიმუშავა „ნებელდური კულტურის“ ახალი თარიღი – II-VII საუკუნეები, რაც დღეს მკვლევართა უმეტესობამ გაიზიარა (ი. ვორონოვმა და სხვ.). ქრისტიანობის თარიღად ვ. იუშინმა VI საუკუნის II ნახევარი და VII საუკუნე ჩათვალა.³ საინტერესოა მ. ტრაპშის დაკვირვება, რომ „Люди которые погребали своих умерших и по обряду трупоположения и по обряду трупосожжения в одно и то же время жили в одних и тех же поселениях, вели один и тот же образ жизни, пользовались одними и теми же предметами материальной культуры“.⁴

მთავარი კი ის არის, რომ ე. ნ. „ნებელდური კულტურის“ კომპლექსები ძირითადად გარკვეული ტიპის ნივთიერი მასალისაგან შედგება. მათგან განსაკუთრებით ტიპური და თავისთავადია ძაბრისებრპირიანი დოქები (ტაბ. 1), ორყურა ქოთნები, რომლებიც

¹ Трапш М. М. Культура Цебельдинских некрополей... გვ. 122.

² Воронов Ю. Н. Тайна Цебельдинской долины. გვ. 17.

³ იქვე. გვ. 17.

⁴ Трапш М. М. დასახ. ნაშრომი. გვ. 119.



ხშირად შემკულია ტალღოვანი ორნამენტით.¹ ასევე ამ კომპლექსებისათვის დამახასიათებელია „ფრანცისკის“ ტიპის რკინის ცულები (ტაბ. II-A, B, C) მილისებრი ყურით და ფრთისებრი დაქანებული ფხით.² წებელდური კომპლექსისათვის დამახასიათებელია ერთწილადი (IV საუკუნემდე) და განსაკუთრებით ორწილადი მშვილდსაკინძები, უმეტესად ჯვრისებრი მშვილდით³ (ტაბ. III). ასევე ტიპურია მისთვის მასრაგახსნილი, ალისებრპირიანი, ქედანი შუბისპირები (ტაბ. IV, A, B, C)⁴ და ორღესული მახვილები.⁵ ხშირი და მრავალრიცხოვანია სხვა ინვენტარიც: მინის ჭურჭელი, მძივები, აბზინდები, საყურეები და სხვ., მაგრამ ისინი უმეტესად იმპორტული ან „საერთაშორისო“ ტიპისაა.⁶ მ. ტრაპშის, ი. ვორონოვის და სხვა „აფხაზურ პოზიციაზე“ მყოფ მკვლევართა მტკიცებით, ნივთიერი კულტურის ჩამოთვლილი „წებელდური“ ელემენტები, თითქოს დამახასიათებელია მხოლოდ აფსილთა (ან აბაზგ-აფსილთა) განსახლების სივრცისათვის. აი, რას ბრძანებს ვ. ჯაფარიძე „წებელდური კულტურის“ I ელემენტის შესახებ საქართველოს ძეგლებზე: „ვფიქრობთ, ამგვარი ჭურჭლის პარალელების არარსებობა დასავლეთ საქართველოს ძეგლების შეუსწავლელობითაც აიხსნება“, ყოველ შემთხვევაში, იგი სრულებით არ გვხვდება ნამოსახლარებზე, რასაც ახსნა სჭირდება. ჩვენთვის მაინც ცნობილია ამგვარპირიანი ჭურჭლის რამდენიმე ცალის პოვნის შემთხვევა ბუკისციხიდან (დაცულია ჩოხატაურის მუზეუმში); სოფელ ლიას სამარხებიდან (ნანილობრივ გამოქვეყნებულია დ. ნითლანაძის მიერ) და ერთი, დათარილების მხრივ საეჭვო – ვარდციხიდან.⁷ აქ არ შეიძლება ხაზგას-

¹ Трапш М. М. დასახ. ნაშრომი. XIV-1, XV-1, XVI-2. გვ. 214-216; მისივე. труды. IV. ტაბ.-1, 2 და სხვ.
² იქვე. დასახ. ნაშრომი ტაბ. V-2, XXI-7.
³ „წებელდის კულტურის“ ეს დეტალები ჩამოთვლილი აქვს მ. ტრაპშს. იხ. труды. т. 3. გვ. 214-216; Амброз К. Проблемы раннесредневековой хронологии... СА. №2. 1971. ნახ. 4.
⁴ Трапш М. М. დასახ. ნაშრომი. ტაბ. V-10, II, VI-14, VII-12, 13; Воронов Ю. Тайна... ნახ. 29.
⁵ იქვე. ტაბ. VI-15, XI-9; Воронов Ю. Н. დასახ. ნაშრომი. ნახ. 32.
⁶ იქვე. ტაბ. VII-1; XI-1; XIV-3; XVI-1 (მინის ჭურჭელი); XVIII-10-12; XIX-14-21; XIV-7-9 (მძივები).
⁷ ვ. ჯაფარიძე. წებელდური კულტურის ზოგიერთი საკითხისათვის. გვ. 82; შემდგომში, თუ არ ვცდებით, ავტორმა იგი ელინისტური ხანისად მიიჩნია –

მით არ აღინიშნოს მათი ერთთავად სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარეობის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუკისციხის ურეკის¹ ქურჭელი ზოგადად შეიძლება ნებელდურის სინქრონულიც იყოს, ხოლო ლიას სამაროვანისა, ქრონოლოგიურად ნებელდური სამარხების ადრეულ ჯგუფს უნდა უკავშირდებოდეს.²

სამარხეულ მასალას ეკუთვნის ბოლო წლებში ციხისძირის სამაროვანზე №2 ორმოსამარხში აღმოჩენილი ძაბრისებრპირიანი დოქი.³ სამარხეული კომპლექსი ორნილადი ბუდეაბმული რკინის მშვილდსაკინძისა და ოვალურჩარჩოიანი „ენაგრძელი“ ერთნილადი აბზინდის მიხედვით, IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტი დოქების აღმოჩენის ყველაზე სამხრეთი პუნქტია, რითაც თითქოს დაფიქსირდა ნებელდური კერამიკის ისტორიულ ეგრისში (ლაზიკაში) გავრცელების სამხრეთი საზღვარი. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი კერამიკის აღმოჩენის ჩრდილოდასავლეთი პუნქტი სოჭის რაიონშია, ასევე სამარხეულ კომპლექსში. ვფიქრობთ, ეს აღმოჩენაც ექცევა კოლხეთ-ეგრისის ეთნოკულტურულ-პოლიტიკურ საზღვრებში.⁵

ყოველივე ზემოთქმული ემთხვევა ვ. ჯაფარიძის დაკვირვებას, რომ „ნებელდური კულტურის“ ძირითადი არეალის (კოდორის ხეობა) გარეთ აშკარად ამ კულტურასთან დასაკავშირებელი კომპლექსები (იგულისხმება რომ ნამყვანია კერამიკა – სახელდობრ, ძირითადად დოქები), ვფიქრობთ, მხოლოდ სამარხებს უკავშირდება. ასეთებია მაგ., გალისა და სოფ. სომხური ათარას კომპლექსები; ასევე ოჩამჩირე-გიენოსის დოქები.⁶ ამგვარად, ამ მონაცემებითაც ნებელდური კერამიკის მთელი რიგი აღმოჩენები სცილდება „აფსილთა“ პოლიტიკურ-ეთნიკურ საზღვრებს, რომელთაც უკავშირე-

იხ. ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი. თბ. 1989. გვ. 19.

¹ ურეკის დათარიღების ვარიანტი „შემოგვთავაზა“ ვ. ლექვიანაძემ, რომელსაც ცალკე განვიხილავთ ქვემოთ.

² ვ. ჯაფარიძე. ნებელდური კულტურის ზოგიერთი საკითხისათვის. გვ. 82.

³ ნ. ა. ინაიშვილი. ციხისძირის ახ. ნ. I-VI სს. – არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1993. ტაბ. XXXIII. გვ. 86-88.

⁴ ნ. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ. 1979. გვ. 42, 45.

⁵ Воронов Ю. Н. Древности Сочи и его окрестностей. 1979. ნახ. 40-4.

⁶ ვ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 82.

ბენ ი. ვორონოვი და სხვა მკვლევრები „ნებელდურ კულტურას“ ასევე (და უფრო აშკარად) სცილდება აფსილთა განსახლების „ნებელდური კულტურის“ მეორე მთავარი ელემენტი, რკინის „ფრანცისკისებრი ცულები“. ამას აღიარებდა, ისევე როგორც მის ადგილობრივ გენეზისს, მ. ტრაპში. თუმცა საკმაოდ „თავისებური ფორმით“. კერძოდ, „Вне Абхазии в других районах Западного Кавказа (საქართველო სადაა? – ნ. ა.) топоры близкие по всей форме к цебельдинским встречены единичными экземплярами“.² ვ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „ნებელდური კულტურის“ წრის გარეთ მისთვის ცნობილია ამგვარი ცულების აღმოჩენები ჩხარში, ლეჩხუმში, ზუგდიდის რაიონში, აჯამეთში, ვანში, ვარდციხეში და სხვ.³ ამ ფაქტებს ჩვენ დავუმატებდით: ნოქალაქევი,⁴ ოჩხომური⁵ (2 ც.), ქუბერი,⁶ გეგუთი, სვირი, ფარნალი (აჯამეთი),⁷ პატარა ჯიხაიში, ხონი,⁸ ურეკი,⁹ ციხისძირი, ვერნები,¹⁰ სოჭის მიდამოები,¹¹ ასე რომ, ამ ტიპის ცულის გავრცელების არეალი უფრო მყარ, სრულ სურათს იძლევა, იგი მთელ ისტორიულ ეგრის-ლაზიკას მოიცავს, აფსილეთ-აბაზგეთია-

¹ Анчабадзе З. В. Очерки этнической истории... გვ. 41.

² Трапш М. М. Культура Цебельдинских некрополей. т. 3. გვ. 215. აღსანიშნავია, რომ თითქმის სრულიად ნებელდური კომპლექსები აღმოჩნდა 1998 წ. ფიჭვნარის სამაროვანზე. – იხ. ამირან კახიძე, მაილ ვიკერსი – ინგლის-საქართველოს ერთობლივი ექსპედიცია ქობულეთ-ფიჭვნარში. 1998. გვ. 177, 178, 179.

³ ვ. ჯაფარიძე. ნებელდური კულტურის ისტორიის საკითხისათვის... გვ. 82; Артилакვა В. Е. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976. ტაბ. 21-22.

⁴ დ. ლომიტაშვილი, ბ. ლორთქიფანიძე. ნოქალაქევი ე. წ. „ნებელდური“ ცულებისა და დოქების რაობისათვის. „ძეგლის მეგობარი“. 2. 1993. გვ. 31-32.

⁵ ვ. გოგაძე. ოჩხომურის გათხრები 1986 წ. (ხელნაწერი).

⁶ ქეთევან ჩართოლანი. სვანეთის ადრეფეოდალური ხანის სამარხები (სადიპლომ ნაშრომი). თბ. 1991. ტაბ. X.

⁷ ქუთაისის მუზეუმი. 5537/1-127 და სხვ. უმეტესად უნომრო და უპასპორტოა.

⁸ ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – 4510.

⁹ Хоштария Н. В. Археологическое исследование Уреки. მცკა I. თბ. 1955. გვ. 63-64.

¹⁰ ნ. ა. ინაიშვილი. ციხისძირის ახ. წ. I-VI საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1993. ტაბ. XXXII-7.

¹¹ Воронов Ю. Н. Древности Сочи... ნახ. 52-2-4.

ნად. მაშ „ნებელდური კულტურის“ ეს დეტალიც არ აღმოჩნდება მხოლოდ ნებელდა-აფსილეთისათვის დამახასიათებელი.

ახლა ვნახოთ რა სურათს ქმნის მ. ტრაპშის მიერ გამოყოფილი ნებელდის კულტურის მესამე ელემენტი, ჯვრისებრი მშვილდსაკინძები. იგი გავრცელებულია მთელს საქართველოში: მცხეთა, ურბნისი, სანთა, ყონთო, გურჯაანი, ავლევი, მოდინახე, ნოქალაქევი, ნებელდა, ბიჭვინთა.¹ დასავლეთ საქართველოში მათი გავრცელების არეს ბოლო წლებში შეემატა ციხისძირის ამფორა სამარხი 17,² სვანეთი,³ აღმოჩენილია სოჭის მახლობლად,⁴ რამდენიმე უპასპორტო ეგზემპლარი დაცულია ქუთაისის მუზეუმში.⁵ მართალია, ნებელდური ჯვრისებრი მშვილდსაკინძები, ისე როგორც სხვა რეგიონთა ნაწილი, ზოგჯერ თავისებურია (ტაბ. III), დეტალები განსხვავდება, მაგრამ არის ეგზემპლარები, რომლებიც თითქმის მთელს საქართველოში ერთნაირია. მაგალითად, I ჯგუფის, III სერიის, II ვარიანტის ჯვრისებრი მშვილდსაკინძები.⁶

რაც შეეხება ალისებრ, მასრაგახსნილ, ქედიან შუბისპირებს,⁷ ანალოგიური შუბისპირები, გარდა ნებელდური სამაროვნებისა, აღმოჩენილია სვანეთში, ლენჯერის სამარხში (ტაბ. IV-),⁸ ბუკისციხის სამარხში (ტაბ. IV-),⁹ ოჩხომურში (ტაბ. V),¹⁰ ბანძაში,¹¹ ქუთაისში,¹²

¹ ნ. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა... გვ. 14-16; მისივე — ქვემო ავლევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ. 1988. ტაბ. VIII-19, III-21, ტაბ. XXX-2-8.

² ნ. ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XXXIX-3.

³ ქეთევან ჩართოლანი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. X-1

⁴ Воронов. Ю. Н. დასახ. ნაშრომი. ნახ. 50-1,3

⁵ ქიმ. 5559/A-149 ძვ. №2423 და სხვ.

⁶ ნ. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა... გვ. 14.

⁷ М. М. Трапш. Культура... т. III. ტაბ. XXXIII-3, X 1-5, 6; Ю. Н. Воронов. Тайна... ნახ. 29.

⁸ ქეთევან ჩართოლანი. სვანეთის ადრეფეოდალური ხანის სამარხები... ტაბ. XVII-2, 3.

⁹ ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ინვ. № 4496/6.

¹⁰ ვ. გოგაძე. ოჩხომურის გათხრები. 1986 წ. (ხელნაწერი).

¹¹ ს. მაკალათია. 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. ტფილისი. 1928. მუზეუმის მოამბე. IV. გვ. 182. სურ. 21.

¹² ქიმ. №5404 A-2 1; 5488/2 A-7/2.

სოჩხეთში (ტყიბულის რაიონი),¹ ჩხარში (თერჯოლის რაიონი),² ის-
რითში (ვანის რაიონი).³

ნებელდური ნივთიერი კულტურის სხვა ნაწილი, როგორც აღვ-
ნიშნეთ, უმეტესად „საერთაშორისო“ იერისაა და იმპორტს განეკუ-
თვნება; მაგალითად, რეინული და აღმოსავლეთშავიზღვისპირული
მინის ჭურჭელი, აღჭურვილობა-შეიარაღების დეტალები, მძივები
და სხვ.⁴

მაშ, „ნებელდური კულტურის“ არეალი მაინცდამაინც არ
შემოიფარგლება აფსილთა განსახლების სივრცით, ეს, სხვათა
შორის, იგრძნო „აფსუური“ ისტორიული კონცეფციის პოზიციაზე
მდგომმა ი. ვორონოვმა (და სხვებმაც), განსაკუთრებით მას შემდეგ,
რაც „ნებელდური კულტურის“ ძეგლები საკმაო რაოდენობით აღ-
მოჩნდა მდ. კოდორის ზედა წელზე, მისიმიანთა ქვეყანაში. არადა,
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისიმიანებს მკვლევართა დიდი ნაწი-
ლი, ზოგჯერ აფხაზი მეცნიერებიც კი, სვანებად მიიჩნევდნენ. ამ
აღმოჩენათა შემდეგ კი ვორონოვმა და მისმა მიმდევრებმა გამო-
სავალი სასწრაფოდ იპოვეს, გამოაცხადეს რა მისიმიანები აფხა-
ზურ („აფსუურ“) ტომად,⁵ მაგრამ აქ მოხდა გაუთვალისწინებელი
მოვლენა. ძირეულ სვანეთში, მდ. ენგურის ხეობაში, თავი იჩინა სა-
მარხეულმა კომპლექსებმა, რომლებიც თითქმის ყველა დეტალით
ნებელდური კულტურის ნაწილია.⁶ იგი აღმოჩნდა ჭუბერის ხეო-
ბაში, ქვედა მარღში.⁷ აქ აღმოჩენილი და სრულად გათხრილი სა-
მარხები თავისი მოწყობის წესით, ორიენტაციით, მიცვალებულთა
დაკრძალვით და ინვენტარით ძალიან ახლოს დგას ნებელდურ სამა-
როვანთა მონაცემებთან. კერძოდ, ისინი ორმოსამარხებია, გრძელი
ოვალურ-კუთხოვანი ფორმის, დახრილი ჩრდილო-დასავლეთით,
უფრო დასავლეთი გადახრით. მიცვალებულები დაკრძალული

¹ ქიმ. 5493, 8, 4.

² ქიმ. 5493 A-83-5.

³ ქიმ. 5442 A-34-2.

⁴ Воронов Ю. Н. დასახ. ნაშრომი. სურ. 20, 21, 24, 25.

⁵ იქვე. გვ. 150.

⁶ ქეთევან ჩართოლანი. სვანეთის ადრეფეოდალური ხანის სამარხები. გვ. 27, 28, 32, 25.

⁷ იქვე. გვ. 3, 5, 7, 8.

არიან ზურგზე გაშოტილი, გულხელდაკრეფილი.¹ მათ მკვლევართა ნაწილი ქრისტიანულად მიიჩნევს.²

ასევე სრული დამთხვევაა ქვედა მარლში აღმოჩენილ სამარხეულ ინვენტარსა და ნებელდურ ინვენტარს შორის (ტაბ. VI). ამის ერთ-ერთი უპირველესი მაგალითია ე. წ. ფრანცისკის (ტიპის) მსგავსი რკინის ცული,³ რომელსაც, უფრო მართებული იქნება, თუ ეგრისულს ვუნოდებთ, როგორც ამას გვთავაზობენ დ. ლომიტაშვილი და ბ. ლორთქიფანიძე.⁴

ასევე საერთო ქართველური ტიპისაა აქ აღმოჩენილი ჯვრისებრი მშვილდსაკინძი (ტაბ. VI-7).⁵ ნებელდაში აღმოჩენილი ზუსტი ანალოგი, VI საუკუნის I ნახევრით დათარიღებული, გამოქვეყნებული აქვს ა. კ. ამბროზს.⁶ მსგავსი მშვილდსაკინძები აღმოჩენილია ქართლშიც, თუმცა ისინი ცოტა ადრეული დროით უნდა დათარიღდნენ, კერძოდ, IV საუკუნის II და V საუკუნის I ნახევრით. ისიც უნდა ითქვას, რომ ქვედა მარლის მშვილდსაკინძები შესაძლოა 0,5 საუკუნით დაძველდეს. საერთოდ არის საფუძვლები, რომლის მიხედვითაც ა. კ. ამბროზის ქრონოლოგია ნახევარი საუკუნით უნდა დაძველდეს.

ასევე სრულიად ნებელდური იერისაა ქვ. მალრში აღმოჩენილი ჭურჭლის ყური (ტაბ. VI-1) შემკული წრენერტილებით.⁷ ასეთივე ორნამენტით შემკულია ნებელდურ მშვილდსაკინძთა და აბზინდების ნაწილი.⁸

¹ Воронов Ю. Н. Тайна Цебельдинской далины... გვ. 107-108.
² Анчабадзе З. В. Очерки этнической истории абхазского народа. გვ. 41.
³ ქეთევან ჩართოლანი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XV-2, 3; ნ. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების... ტაბ. XVII-1, 6.
⁴ დ. ლომიტაშვილი, ბ. ლორთქიფანიძე. ნოქალაქევი აღმოჩენილი ე. წ. „ნებელდური“ ცულებისა და დოქების რაოდენობისათვის. „ძეგლის მეგობარი“. 3. 1993. გვ. 22.
⁵ ქეთევან ჩართოლანი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XV-7.
⁶ Амброз А. К. Проблемы раннесредневековой хронологии Восточной Европы. СА. №36 1971 1971. ნახ. 4.
⁷ Воронов Ю. Н. Тайна... ნახ. 15; Ю. Н. Воронов. О. Бгажба. Материалы по археологии Цебельда. Тб. 1985. ნახ. 52-38, 41; М. М. Гунба. „Новые памятники Цебельдинской культуры. Тб. 1978. ტაბ. XLIX-7“.
⁸ Трапш М. М. Культура Цебельдинских некрополей. т. 3. ტაბ. XXXIX-8-9.

მთლად ზუსტი არაა, მაგრამ პარალელები ისევ ნებელდურ მასა-
ლაში ეძებნება ოვალურჩარჩოიან ორწილად, ხორთუმისებრწიან
აბზინდებს ქვედა მარლიდან. მათ ოთხკუთხა ფარაკი აქვთ, რომე-
ლიც (ტაბ. VI-4,6) ინკრუსტირებული იყო მინით ან ფერადი ქვით.¹
მსგავსი აბზინდები განსაკუთრებით გავრცელებულია „ხალხთა
დიდი გადასახლების“ ხანის ძეგლებზე აღმ. ევროპაში, ჩრდილო კა-
ვკასიაში და სხვ.² ასევე „ნებელდური ტიპისაა“ ქვედა მარლში აღ-
მოჩენილი მძივების ასორტიმენტი, როგორც შეწყვილებული, ისე
ინკრუსტირებული მინის მძივები³ ან გახსნილი, დეფორმირებული
ბრინჯაოს რგოლის მსგავს საყურეებზე.⁴ მართალია, დასავლურ
იმპორტს წარმოადგენს, მაგრამ ნებელდურ სამარხთა დამახასია-
თებელია IV-V საუკუნეების დასაწყისის ხალებიანი მინის ჭურჭლის
ფრაგმენტები.⁵

ნებელდაშივე აქვთ ანალოგები ქვედა მარლის სამარხებში აღ-
მოჩენილ იარაღს, მაგ., რკინის დანებს. ისინი ოდნავ მოხრილია და
მოხრის შიგნით აქვს მახვილი პირი.⁶

უფრო რთულია და დამაფიქრებელი ქვედა მარლის მახლობლად
გათხრილი ლენჯერის სამაროვნის მონაცემები. მის იარაღს ნე-
ბელდურ მასალებთან აქვს ანალოგები, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ
(გვ. 40). რკინის შუბისპირები, ალისებრი და ქედიანი,⁷ ანალოგიუ-
რია ნებელდურთან.⁸ რკინის ვადაჯვრიანი მახვილები ასევე ნებელ-

¹ ქ. ჩართოლანი. სვანეთის ადრეფეოდალური ხანის... ტაბ. XV-4, 6; Воронов Ю. Н. Тайны... ნახ. 43.

² Абрамова М. П. Ранние аланы Северного Кавказа. М. 1987. გვ. 128, ნახ. 8, 13.

³ მდნ. ქ. ჩართოლანი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XII-1-3. დასახ. ნაშრომი. ტაბ. 25-9, 23 და სხვ.

⁴ დასახ. ნაშრომი. ტაბ. X-4, ტაბ. XV-10; Гунба М. М. Новые памятники Цебельдинской культуры... ტაბ. XX-6, 11; XXI-7.

⁵ Воронов Ю. Н. დასახ. ნაშრომი. ნახ. 20, 1, 5, 7; შ. ჩართოლანის ახალ-
მშენებლობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში. „ძეგლის
მეგობარი“. 1. 1990. გვ. 27-28.

⁶ ქ. ჩართოლანი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XII. შდრ. Трапш М. М. დასახ. ნაშრომი.
ტაბ. XIX-18, XXI-9, XXVI-2 და ა. შ.

⁷ ქეთევან ჩართოლანი. სვანეთის ადრეფეოდალური ხანის სამარხები... ტაბ.
XVIII-2, 3.

⁸ Трапш М. М. Культура Цебельдинских некрополей. т. 3. XXI-5, 6, XVI-5, 6; М.
М. Гунба. Новые памятники... ტაბ. XXXIX-8.

დაშივეა.¹ ხალხთა დიდი გადასახლების (ან ჰუნთა ეპოქის) მსგავსი ორწილადი, ოთხკუთხაჩარჩოიანი და ოთხკუთხა მოთვალულობის რაკიანი აბზინდი (VII-1, 2).²

ამრიგად, ზემოთ განხილული არქეოლოგიური მასალის სახით გვაქვს აშკარად „აფსილური კულტურის“ გამოვლენა სვანეთში, ენგურის ხეობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავს საფუძველზე კოდორის ხეობაში „პროაფხაზურმა მეცნიერებმა“ მისიმეილები აფსუათა ტომებს მიათვალეს³ (რა თქმა უნდა, აფსილებს აფსუებად მიიჩნევდნენ). „ნებელდური კულტურის“ ძეგლები და, ამდენად, აფსილთა განსახლებაც ნელ-ნელა გაიზარდა: იგი გადავიდა როგორც კოდორის მარცხენა სანაპიროზე, ისე ჩრდილო-დასავლეთით, ახალათონ გუდაუთისაკენ (ატარა არმიანსკაია, შაუმიანოვკა, ქვ. ეშერა, აჩანდარა და სხვ.).⁴ ზემოთ (გვ. 36-40) უკვე განვიხილეთ, რომ „ნებელდური კულტურის“ უმთავრესი ელემენტები – ძაბრისპირიანი კერამიკა,⁵ „ფრანცისკისებური“ ცულები, ჯვრისებრი მშვილდსაკინძები, ალისებრი, ქედიანი შუბისპირები გავრცელებულია თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, მის უმეტეს ნაწილში – ერთადერთი გამონაკლისი უნდა იყოს (ჯერჯერობით?) ზემო იმერეთის ნაწილი. ხოლო „ნებელდური კულტურის“ აშკარა ფაქტებმა, რომელიც აღმოჩნდა სვანეთში, ქვ. მარლსა და ლენჯერში, საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ „ნებელდური კულტურა“ არც მხოლოდ ნებელდურია და არც მხოლოდ აფსილური, მით უმეტეს, „აფხაზ-აფსუა“ მეცნიერთა გააზრებით.

ერთი რამ ცხადია, რაც უფრო ინტენსიურად ხდება დასავლეთ საქართველოს I-VII საუკუნეთა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა, მით უფრო მეტი ფაქტობრივი მასალა წარმოჩინდება და დავრწმუნდებით, რომ „ნებელდის კულტურას“ ბევრად მეტი საერთო აქვს დასავლეთ საქართველოს ნივთიერ კულტურასთან და აქაური ეთნო-კულტურული პროცესები სხვაგვარადაა გასაა-

¹ ქეთევან ჩართოლანი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XVII-1. შდრ. Воронов Ю. Тайна... გვ. 94, ნახ. 32.

² Засецкая И. П. Золотые украшения гуннской эпохи. Л. გვ. 55, 66. ტაბ. VIII.

³ Воронов Ю. დასახ. ნაშრომი. გვ. 150.

⁴ იქვე. გვ. 15. ნახ. 2. არქეოლოგიური რუკა.

⁵ ზოგი ცნობით, ნებელდური კერამიკა აღმოჩნდა 1998 წ. საველე სეზონისას ფიჭვნარში (ატარა).

ზრებელი. სწორედ ერთ ასეთ მომენტს უნდა შევეხოთ ახლა, კერძოდ, „ნებელდის კულტურის“ ეთნო-კულტურული (= ისტორიული) არსისა და ამისათვის არქეოლოგიურ ძეგლთა ქრონოლოგიის დაზუსტებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ნივთიერი მასალის ერთ ჯგუფზე, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში ჩნდება საქართველოს დასავლეთ ნაწილში (განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) და ვფიქრობთ, აქ გარკვეული კულტურულ-პოლიტიკური სიტუაციის ამსახველია. ესაა აღმოსავლურქართული ნივთების აღმოჩენა. ერთ-ერთი ასეთთაგანია მინის კოლბისებრი სანელსაცხებლე, რომელიც აღმოჩენილია აბგიძრახეს 40 სამარხში. მ. ტრაპში მას IV საუკუნის II ნახევრით და VI საუკუნის დასაწყისით ათარიღებდა.¹ ა. კ. ამბროზის მიხედვით კი იგი VI საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება.² ამ სამარხში დაფიქსირებული გახსნილი რგოლისებრი, შუაში თანაბრად შესქელებული საყურე გვაფიქრებინებს,³ რომ სამარხი VI საუკუნით უნდა დათარიღდეს.⁴ სხვათა შორის, ამასვე უნდა მიუთითებდეს ამ სამარხის მძივთა ასორტიმენტი. ესაა მინის ინკრუსტირებულ მძივთა სხვადასხვა სახეობები, როგორც თვლებიანი, ისე ჭადრაკული ან ტალღისებული სახეებით შემკული.⁵ ანალოგიურ მძივთა ასორტიმენტი გვხვდება 46 სამარხში, რომელსაც მ. ტრაპში IV-VI საუკუნეების დასაწყისით ათარიღებს.⁶ ასეთივეა შაპკა // სამაროვანზე აღმოჩენილი სანელსაცხებლეები.⁷ სხვათა შორის, ამბროზი მათ აღმოსავლეთქართულობას აღნიშნავს.⁸ ცნობილია, რომ ანალოგიური სანელსაცხებლეები ხშირია სამთავროს ადრეშუასაუკუნეთა სამარხებში.⁹

¹ Трапш М. М. Культура... გვ. 219. ტაბ. XIX-1.
² Амброз А. К. Проблемы раннесредневековой хронологии... СА №2, 1971, ნახ. 4-11.
³ Трапш М. М. დასახ. ნაშრომი. გვ. 219, ტაბ. XIX-3.
⁴ ნ. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების... გვ. 61-62.
⁵ Трапш М. М. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XIX-14-21.
⁶ იქვე. ტაბ. XXIV-11-17.
⁷ Воронов Ю. Н. Тайна Щельдинской долины... ნახ. 20-19, 20-21.
⁸ Амброз А. К. Проблемы раннесредневековой хронологии Восточной Европы. СА № 36. 1971. გვ. 110.
⁹ ს. უგრელიძე. ადრეულ შუა საუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ. 1967. გვ. 38, 39.



აღმოსავლურქართული (=მცხეთური) წარმოშობის უნდა იყოს აფუშთის 6 სამარხში (ტაბ. VIII), აბგიძრახულ 45 სამარხში აღმოჩენილი ჭვინტიანი, მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძი,¹ ნიბილიუმსა და შაჰკას სამარხებში აღმოჩენილი ანალოგიურივე მშვილდსაკინძები,² T-სებრი ფიბულები, ფესტონურფარაკიანი აბზინდა, ჰერალდიკური ქამრის ბალთა, ო-სებრი ბალთები (2 ც.),³ სასანური საბეჭდავი.⁴ აღმოსავლურქართული ნივთიერი მასალის გამოჩენა ამ დროის აფხაზეთში რომ რეალურია, ამაზე ალბათ მიგვითითებს დ. ერმაკოვის ალბომში დაცული კომპლექსის სურათი, რომელიც აღმოჩენილი ყოფილა სოხუმთან („Находки Сухумския“ – აქვს მას წარწერა). ეს კომპლექსი შედგება ტანშეხორკლილი საწელსაცხებლისა, ჭვინტიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძის, ბრონეულისთავიანი და სხვა ტიპის საკინძების, მძივების და „განტელისებრი“ შესაკრავისაგან (ტაბ. X). სხვათა შორის, ბ. კუფტინს კიდევ შეუტანია ეჭვი მის სოხუმურ წარმოშობაში და ალბომში ფანქრით მიუწერია – „Самтавро?“.⁵ ასეთი აღმოჩენები კი დღეს, ჩვენი აზრით, საეჭვო აღარ უნდა იყოს, რადგან აღმოსავლურქართული ტიპის ნივთების (კომპლექსების) აღმოჩენები მომრავლდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ბიჭვინთაში აღმოჩნდა კომპლექსი, რომელიც შედგება ჭვინტიან, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძის და ჰერალდიკური აბზინდისაგან.⁶ პალიასტომის ტბაში აღმოჩნდა ამფორასამარხი, რომელშიც იყო ჭვინტიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი და ბურთულოვანი ბრინჯაოს საკინძები.⁷ ზოგი ცნობით, V-VI საუკუნეების თავბურთულა ბრინჯაოს საკინძები აღმოჩენილი ყოფილა ლიას სამაროვანზე;⁸ ლეჩხუმის სოფელ უსახელოში აღმო-

¹ Трапш М. М. Культура... ტაბ. XXV-2.
² Воронов Ю. Н. დასახ. ნაშრომი. ნახ. 42-24, 25. ნახ. 38-7, 8.
³ Воронов Ю. Н., Гажба О. Х. Материалы по археологии Цебельды. გვ. 96-25; 97-8, 10; Воронов Ю. Н. Материалы по археологии Абхазии и Санигии (II-VII вв.) МАА. Тб. 1970. ტაბ. 36-17, 38, 38-19.
⁴ Воронов Ю. Н. Тайна... ნახ. 25-32. გვ. 83.
⁵ Ермаков Д. И. Каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции. Тифлис. 1896. №2194.
⁶ ვ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ. 1991. ტაბ. V-5, VIII-4.
⁷ Гамкрелидзе Г. К археологии долины Фасиса. Тб. 1992. ტაბ. 26.
⁸ ვ. ჯავარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი. თბ. 1989. გვ. 110.

ჩენილია ჰერალდიკური აბზინდა,¹ სვანეთის მუზეუმში დაცულია T-სებრი მშვილდსაკინძი,² ნოქალაქევი აღმოჩნდა ო-სებრი ბაღალა, შავი მინის ბეჭდები და სხვ.³ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ რამდენიმე „ნებელდურ სამარხში“: აფუშეთის 20 და იუსტინიანეს ბორცვის 4 და 5 სამარხებში და სხვ. ღია ყავისფერკეციანი, ნაპრიალები „მსხლის“ ფორმის დოქებია აღმოჩენილი.⁴ თავისი ფორმით და დამზადების ტექნიკით, შეფერილობით ისინი მრავალ პარალელს პოულობს როგორც დასავლეთ საქართველოში, მოდინახე,⁵ ძვერი,⁶ ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ურბნისი,⁷ მცხეთა-სამთავრო,⁸ რუსთავი.⁹ მსხლისებრტანიანი მსგავსი დოქები განხილული აქვს ვ. ჯაფარიძეს და ჩვენ თავს აღარ შევანყენთ მკითხველს მსჯელობით.¹⁰ მთავარი ისაა, რომ ნივთიერი კულტურის ამ დეტალითაც „ნებელდური კულტურა“ საერთოს პოულობს დანარჩენ საქართველოსთან. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა ნაწილში, მათ შორის ნებელდაში საკმაოდ აქტიურია აღმოსავლურქართული (იბერიული) ნაკადები, რასაც მის წინა პერიოდში ჰქონდა საფუძველი ჩაყრილი. ჩვენი სამუშაო გეგმის მიხედვით მოვიძიებდით დღემდე უცნობ თუ ნაკლებად ცნობილ, აგრეთვე გამოქვეყნებულ, მაგრამ არასრულ ან არასწორად ინტერპრეტირებულ არქეოლოგიურ მასალას.

¹ ნ. სულავა. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ლეჩხუმიდან. მაცნე. 2. 1988. ტაბ. III-2.

² მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

³ ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I. თბ. 1981. ტაბ. -2, X-5.

⁴ Воронов Ю. Н., Юшин В. А. Новые памятники Цебельдинской культуры в Абхазии. СА. 1973. №16. გვ. 172-191, 186. ნახ. 82, 12, 13, 14; Воронов Ю. Н., Вознюк А., Юшин В. А. Апуштинский Могильник IV-VI вв. н. э. в Абхазии. СА. № 1. 1970. ნახ. 15-2.

⁵ ვ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1975. გვ. 45-50.

⁶ გ. ცქიტიშვილი. „საგვარჯილის“ ორმოსამარხების თხრის ანგარიში (მანქანაზე ნაბეჭდი).

⁷ ლ. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი. თბ. 1964. გვ. 6, 71, 74, ტაბ. XX-2,8; ტაბ. XXXI-1-2,3,4.

⁸ ნ. უგრელიძე. აღრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ. 1967. ტაბ. I, 50.

⁹ ლ. ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი. თბ. 1958. გვ. 103-104, ტაბ. XXV, 2.

¹⁰ ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი. თბ. 1989. გვ. 75-80.



ერთ-ერთი ასეთთაგანია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის ფილების მცირე კოლექციათა ფონდში დაცული „ნებელდური კულტურის“ კომპლექსები, რომელიც შეიცავს საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან ნივთიერ მასალას: კერამიკას, მშვილდსაკინძებს, აბზინდა-ბალთებს, მძივებს, სამკაულსა თუ საკულტო დანიშნულების ტიპის ნივთებს. იგი გათხრილია 1945 წელს ნებელდაში (ოლგინსკოე-ახხაჩარახუ) ი. გრძელიშვილის მიერ. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა 11 სამარხული კომპლექსი (ტაბ. IX-1-17-2-58-43-55). იგი შედგება სამი მშვილდსაკინძის (ბუდეამული მუხლზამბარიანი ორნილადი, ორი ჯვრისებური მუხლზამბარიანი ორნილადი), ხორთუმისებრენიანი, მრგვალჩარჩოიანი ბრინჯაოს აბზინდა, სხვადასხვა ტიპის მძივები, კერამიკის ფრაგმენტი (ყური) და ბრინჯაოს მორკალური საკიდი, რომლის დაბრტყელებული ნყვილი ბოლო „კბილებდაკრეჭილ“, წერტილწრისებრთვლიანი ცხოველის (დრაკონის?) თავს გამოსახავს (ტაბ. IX-6), სანესო-სარიტუალო ტიპის ნივთი უნდა იყოს. სამარხული კომპლექსი, მშვილდსაკინძებისა და აბზინდის მიხედვით, IV-V საუკუნეთა მიჯნის უნდა იყოს. განხილული „დრაკონისებრნი“ ნივთის ანალოგი აღმოჩენილია საქართველოს სხვა ძეგლებშიც. მაგალითად, ლიას სამაროვანზე II საუკუნით დათარიღებულ კომპლექსში¹ ცაგერის რაიონის სოფელ ტვიში გვიანანტიკური ტიპის ნივთებთან ერთად.² მსგავსი რამდენიმე ნივთი დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. ერთი მათგანი აღმოჩენილი ყოფილა სოფელ ვახანის უბან ქვედა ღონლაძეებში,³ ერთიც ბორში.⁴ რამდენიმე ცალის აღმოჩენის ადგილი უცნობია. მსგავსი ჯერჯერობით ერთადერთი საკიდი ნაპოვნია შიდა ქართლის მთიანეთში, „სამხრეთ ოსეთის“ სოფელ ურსძუარში.⁵ ლიას სამაროვნის გამომქვეყნებელი ლ. წითლანაძე იქ აღმოჩენილ მსგავს ნივთს „სკვითურ-სარმატულად“ მიიჩნევს, რაც

¹ ლ. წითლანაძე. არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ლიაში. ძეგლის მეგობარი. 33. გვ. 69-70.
² ნ. სულავა. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში. თბ. 1997.
³ ქუთაისის მუზეუმი. 8207/627.
⁴ იქვე. 5636.
⁵ Пчелина Е. Погребальные комплексы из Сохта, Урдзуар и Рук Юго-Осетии. ИОНИ, XV. 1960.

სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. არც ერთი მსგავსი ნივთი სკვითურ-სარმატულ არქეოლოგიურ მასალაში ცნობილი არაა. როგორც ზემოთ ვნახავთ, განხილულ ნივთთა უმეტესობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, ხოლო ჯერჯერობით ერთადერთი – შიდა ქართლის მთიანეთში.

რალაცნაირად მათი აღმოჩენის გეოგრაფიას ეხმაურება ე. ნ. ბრინჯაოს ჭვირული ბალთები (I-IV სს.), მათი ძირითადი ნაწილი აღმოჩენილია რაჭა-იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოში. ზოგი მონაცემით, აფხაზეთში 8 ცალი ყოფილა აღმოჩენილი.¹ ვფიქრობთ, ზემოთ განხილულ „დრაკონისებრთავიანი“ საკიდების და ჭვირული ბალთების ფაქტები მიუთითებს, რომ აფხაზეთი კულტურის მთელი რიგი დეტალებით დანარჩენი ქართული კუთხეების ანალოგიურია.²

და ეს ყველაფერი იმ ფონზეა, როცა აფხაზმა „ისტორიკოს-არქეოლოგებმა“ ცალკე გამოუშვეს „აფსილური“ ნებელდის კულტურა“. ჩვენ კი „ნებელდური კულტურის“ საკმაო ფაქტები მოვიძიეთ და დავაფიქსირეთ დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებშიც. ერთი რამ უტყუარია, „ნებელდის კულტურა“ არაა მხოლოდ აფსილური არქეოლოგიური კულტურა: იგი ვრცელდება აბაზგების, აფშილების, ლაზთა და, რაც მთავარია, სვანთა (მისიმიანთა) განსახლების რაიონებშიც; მისი ცალკეული და საკმაოდ მნიშვნელოვანი ელემენტები ვრცელდება თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. რაც მთავარია, ნებელდური კულტურის ქრონოლოგია, II-VII საუკუნეები, მთლად არ ემთხვევა აფსილთა წერილობით წყაროებში მოხსენიების ხანას I-VIII საუკუნეებს,³ მით უმეტეს, რომ

¹ მანანა ხიდაშელი. ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბ. 1972. გვ. 87, 92, 93, 96, 99.

² ნოე აფხაზავა. კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. „ოსთა საკითხი“. გორი-თბილისი. 1996. გვ. 66-68.

³ უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორიტეტული მკვლევარი ქალბატონი მ. ინაძე „ნებელდური კულტურის“ მხოლოდ მ. ტრაპიშვილს ენიჭებოდა ინტერპრეტაციას იძლევა, სადაც, გარდა არასწორი ეთნოკულტურული ინტერპრეტაციისა, ძალიან მოძველებულად გამოიყურება ძველთა ისტორიულ-არქეოლოგიური ქრონოლოგია და ტოპოგრაფია. კერძოდ, ეს არქეოლოგიური მასალა II-V საუკუნეებით ვეღარ დათარიღდება. მას, სულ ცოტა, ერთნახევარი საუკუნე უნდა დაემატოს, ე. ი. გავრცელდეს დროში VI საუკუნემდე.

გვიანი კომპლექსები ჩვენთვის საეჭვოა VII საუკუნის II ნახევარი-
თაც თარიღდებოდეს (ამაზე ქვემოთ ვიმსჯელებთ). ამასთან, როგორც
გორც ქვემოთაც განვიხილეთ, VI-VII საუკუნეთა, ზოგჯერ უფრო
ადრეც, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში
ქართლური (=იბერიული) ელემენტები მძლავრობს. აქ უადგილო
არ იქნება გავიხსენოთ ადგილი პროკოპი კესარიელის ნაშრომიდან,
რომელიც ეხება ხოსრო I-ის პოლიტიკას; ხოსროს მიერ კოლხეთის
დაპყრობის შემდეგ „იბერიაც ხომ მომავალში უშიშრად ეპყრებო-
და, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი
განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ“.¹ აქ კარგად ჩანს ამ
დროის ქართველთა ეთნიკური ერთიანობის თვითშეგნება. აქ ისიც
უნდა ითქვას, რომ ნივთიერი კულტურის ისეთ დანატოვრებში, რო-
გორცაა, მეცნიერული გაგებით, „არქეოლოგიური კულტურა“ ხში-
რად ეთნიკურობა არ აისახება ხოლმე. მოვუსმინოთ მკვლევართ:
„... археологические культуры (крупные общности археологического
материала, выявляемые территориально и разграничиваемые на кар-
те) далеко не всегда совпадают с общностями этническими народами,
племенными группами. А ведь не совпадают даже в своих границах,
что уже и говорить о содержании“.² ეს, მით უმეტეს, გასათვალისწი-
ნებელია ანტიკური, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების მასალა-
ზე მომუშავე არქეოლოგთათვის, რადგან ამ ხანებს წინ უსწრებდა
რთული კულტურული და ეთნიკური პროცესები, რომელთაც მრავალ-
გვარი და ხშირად „საერთაშორისო“ იერის ნივთიერი მასალა
შექმნეს. ხშირად ნაიშალა ან დეფორმირდა „ეთნო-პოლიტიკური“
საზღვრები. ასე მაგალითად, გვიანანტიკური ხანისათვის საკმაოდ
რთულია ეთნო-კულტურული (და ამდენად პოლიტიკურიც) საზღ-
ვრის გავლება ქართლის – იბერიის სამეფოსი მეზობელ სომხეთთან
და ალბანეთთან მხოლოდ არქეოლოგიური (ნივთიერი) მასალის მი-
ხედვით. ასევე ძნელია მხოლოდ არქეოლოგიური მასალით, ვთქვათ

ასეთი დათარიღება საკმაოდ საფუძვლიანად შეიმუშავა ა. ამბროზმა. იხ.
ამის შესახებ მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის
საკითხები. მაცნე. 2, 1992. გვ. 51; Амброз А. К. Проблемы... СА №2-3. 1971.
გეორგიკა. ტ. 2. გვ. 93-94.

² Клейн А. С. Археологический источник. Л. 1978. ამავე აზრისაა С. А. Арюти-
нов. Народы и культуры, развитие и взаимодействие. М. 1989. გვ. 41-49.



მოჭიქული კერამიკა (და ზოგი სხვაც), ეთნოპოლიტიკური საზღვრები გაავლოს მკვლევარმა XI-XIII საუკუნეების წინა აზიის ქვეყნებს შორის და სხვ. არქეოლოგიური მასალა ყოველთვის კომპლექსში უნდა იყოს სხვა ისტორიულ ფაქტებთან – წერილობითი წყაროები, ლინგვისტური მონაცემები (ტოპონიმია, ეთნონიმია) და სხვა. აკი სწორედ ენობრივი მონაცემების მოშველიებით დავდექით მყარად აფშილთა ქართველურ (მეგრულ) ენოვნების პოზიციაზე.

ახლა გვსურს შევჩხოთ „წებელდის კულტურის“ არქეოლოგიური ქრონოლოგიის ზოგიერთ დეტალს. მას ნაწილობრივ შევჩხოთ ზემოთაც (გვ. 42-50).

წებელდის ზემოთ განხილული მასალა მიგვითითებს, რომ იქაურ არქეოლოგიურ კომპლექსთა უახლესი თარიღი უმთავრესად VII საუკუნის I ნახევრითა და შუა წლებით განისაზღვრება. ამ კომპლექსში არ გვაქვს VII საუკუნის II ნახევრით – მით უმეტეს, VIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ნივთიერი მასალა. ამ დროის არქეოლოგიური კომპლექსები თუ ცალკეული ნივთები საკმარაოდენობითაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოს რიგ რეგიონებში და აფხაზეთის მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე.¹ სხვათა შორის, ამას ფაქტობრივად აღიარებდა თავის დროზე თვით ი. ვორონოვიც: „Наиболее поздний материал из могильников Цебельды не выходит за пределы VII в. Здесь, по видимому, пока не найдено ни одного захоронения рубежа VII-VIII вв.“² ამის სასარგებლოდ მეტყველებს ალბათ ისიც, რომ VI საუკუნეზე გვიანდელი მონეტები „წებელდურ სამარხებში“ აღმოჩენილი არაა.³ თუმცა ი. ვორონოვი მაინც შეეცადა შეეცვალა წებელდური თარიღები და „გადმოექაჩა“ ისინი VIII საუკუნეში.⁴ ამის საფუძველი მას მისცა უფრო ადრეულ კომპლექსთა თუ ნივთთა გადმოთარიღებამ – გაახალგაზრდავებამ; კერძოდ, მან ერთწილადი ბუდეაბმული მშვილდსაკინძების არსებობის ხანა IV საუკუნის

¹ ნ. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ. 1979. გვ. 126-127. ტაბ. XIX.

² Воронов Ю. Н. Тайна... გვ. 152.

³ იქვე. გვ. 88.

⁴ Воронов Ю. Н. Восточное Причерноморье в железном веке. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. М. 1984. გვ. 34.



ბოლომდე „გადმოქაჩა“, ხოლო ორნილადი ბუდეაბმული მშვილდ-საკინძები IV საუკუნითა და VI საუკუნის დასაწყისით განსაზღვრულა აქ ი. ვორონოვი იყენებს ვ. ლექვინაძის მიერ „გადათარიღებულ“ ურეკის კომპლექსსაც. ამის შესახებ ჯერ კიდევ 17 წლის წინ ვნერდით ერთნილად ბუდეაბმულ, ორნილად ბუდეაბმულ და ჩახრილ ბუდეაბმულ მშვილდსაკინძებთან დაკავშირებით: „... მათი ქრონოლოგია, შესაბამისად, III, IV და V საუკუნეები, ძალაში რჩება და ვ. ლექვინაძის მიერ შემოთავაზებული თარიღი ურეკის მშვილდ-საკინძებისა (რომელსაც ი. ვორონოვი იზიარებს) არგუმენტაციას მოკლებულია“.²

რამდენადაც ურეკული მასალა და საერთოდ ვ. ლექვინაძის ნაშრომები აქტიურად ფიგურირებს „აფხაზ“ და სხვა საქართველოსადმი არც თუ სიმპათიით განწყობილ მკვლევართა ნაშრომებში, გვსურს შედარებით სრულად შევხვით ურეკის კომპლექსს.

დავინყოთ ვ. ლექვინაძის დასკვნით, ურეკის სამარხეულ კომპლექსში ნამყვანი მაღალმხატვრული ნივთები ჩრდილოშავიზღვისპირული წარმოშობისაა.³ კომპლექსის თარიღი IV საუკუნის ბოლო და V საუკუნის დასაწყისია,⁴ მკვლევართა შემოთავაზებულ III საუკუნის მინურულისა და IV საუკუნის დასაწყისის ნაცვლად.⁵ აქვე გვსურს მოვიტანოთ მის მიერ შემოთავაზებული ერთი არგუმენტი, რომელიც „ტიპურია“ ამ მკვლევართათვის „... уже само местонахождение могильника на берегу моря говорит о том, что обитатели этого района в IV в. вполне могли быть выходцами из северокавказского побережья Черного моря“⁶ და რომ „говорить

¹ იქვე. გვ. 26.

² ნ. აფხაზავა. ქვემო აღევი ადრეულ შუასაუკუნეებში. თბ. 1988. გვ. 59.

³ Леквинадзе В. А. Богатое погребение конца IV века из Уреки (Грузия). СА №4, 1975. გვ. 207.

⁴ იქვე. გვ. 205.

⁵ Апакидзе А. М. Археологические памятники позднеантичного периода из Уреки. ССМ XIV-В. 1947. გვ. 110, 124. Хоштария Н. В. Археологическое исследование Уреки. Мსკა. I. 1955. გვ. 51-66; რ. ფუთურიძე. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. მსკა II. თბ. 1959. გვ. 63-64.

⁶ Леквинадзе В. А. დასახ. ნაშრომი. გვ. 207

ო том, что рассмотренный инвентарь отражает в познеантичной Колхиде «избыток золота», никак нельзя“.¹

უფრო მეტიც, ავტორს მიაჩნია, რომ ურეკულ „სამარხს“ კავშირი არა აქვს ლაზებთან, თუმცა ისიც მოეხსენება, რომ უსახელო ავტორის პერიპლუსის (V ს.) და პროკოპი კესარიელის (VI ს.) მიხედვით, ეს ქვეყანა ლაზთა საგამგეოა, მაგრამ „если урекский могильник и является лазским, то он не связан с царями и группирующимся во-круг них знатью, могилы которых надо искать возле Археополиса“.² ამ ფონზე უცნაურად ჩანს ვ. ლექვინაძის სტატიის ბოლო ფრაზა: „Рассмотренный погребальный инвентарь отражает социальную дифференцию Восточного Причерноморья, о которой в письменных источниках не приводится никаких конкретных данных“.³ ყოველივე ზემოთქმულის და სტატიაში 15 გვერდზე ჩატარებული „კვლევის“ შემდეგ დასკვნა საოცარია, მაგრამ, ალბათ, ლოგიკურიც ყოველგვარი პრინციპის, მათ შორის მეცნიერული პრინციპის არმქონე მკვლევარისთვის.

ახლა რაც შეეხება თვით სამარხეული კომპლექსის შემცველ ნივთიერ მასალას. ავტორი წინასწარ აცხადებს, რომ მან კომპლექსში შემავალი ნივთების ნაწილი, რომელიც ქუთაისში ეგულებოდა, უყურო ქოთანს და მინის ჭურჭლის ფრაგმენტები ვერ აღმოაჩინა (1973 წელს).⁴ ჩვენ კი ზემოაღნიშნულ მინის ჭურჭლის ნატეხებს და ქოთანს მივაგენით ქუთაისის მუზეუმში.⁵ გარდა ამისა, ვ. ლექვინაძე მის მიერ განხილულ ურეკის წელშეზნეკილ ამფორას მხოლოდ ჩრდილო შავიზღვისპირეთის მასალებში უძებნის პარალელს, თანაც იზიარებს მსგავს ამფორთა მხოლოდ ი. ზეესტის დათარიღებას, კერძოდ, IV-VII საუკუნეებს.⁶ უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის ამფორთა დათარიღების სხვა ვარიანტებიც არსებობს, რასაც ავტორი „რატომღაც“ არ აცნობს მკითხველს; კერძოდ, ახ. წ. II-III საუკუნეებით

¹ Апакидзе А. М. დასახელებული ნაშრომი. გვ. 208.
² იქვე- გვ. 207.
³ Леквинадзе В. А. დასახ. ნაშრომი. გვ. 208.
⁴ იქვე- გვ. 194.
⁵ იხ. ქიმ. 5716/A-301 ქოთანს; ამფორის ნატეხები და მინის ჭურჭლის ფრაგმენტები 5729/A-301.
⁶ Леквинадзе В. А. დასახ. ნაშრომი. გვ. 195.

ათარილებს კრუგლიკოვა გორგოპიაში ნაპოვნ მსგავს ამფორებს, აგრეთვე III-IV საუკუნეებით, რასაც მკვლევართა მოზრდილი ნაპოვნის საფუძველი იზიარებს.² აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არქეოლოგი ვ. ჯაფარიძე სრულიად უკრიტიკოდ იღებს ვ. ლექვინაძის შემოთავაზებულ ურეკის მასალის თარიღსა და ინტერპრეტაციას,³ რაც უბრალოდ გვაოცებს ამ დონის მკვლევრისაგან. ჩვენ ნელშეზნექილი კოლხური ამფორების და, კონკრეტულად, ურეკული ამფორის უფრო ადრეულ თარიღს ვიზიარებთ, ჯერ ერთი, კომპლექსის სხვა ნივთთა თარიღის გათვალისწინებით და იმიტომაც, რომ ამ ტიპის ამფორათა ადგილობრივ წარმოშობაზე სერიოზული აზრი არსებობს.⁴

ავტორი შემდეგ განიხილავს რკინის დასაკეც სკამს, რომლებიც დამახასიათებელია მთელი რომაული ხანისათვის,⁵ მაგრამ ვ. ლექვინაძე რატომღაც უთითებს მხოლოდ IV-V საუკუნეებით დათარიღებულ ფაქტებს⁶. კომპლექსის მომდევნო მნიშვნელოვანი ნაწილია გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი მძივები, რომელთა მისთვის სასურველ დათარიღებას ვერ იჩემებს ვ. ლექვინაძე⁷. აქ უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მასალიდან ჩრდილოშავი ზღვისპირული არც ერთი არაა.

იგივე ითქმის საკიდებიან ოქროს ბროშზე, რომლის ოვალურ ოქროს ბუდეში სამფენიანი აქატი ზის.⁸ საინტერესოა, რომ მისი უშუალო პარალელები ისევ საქართველოს ტერიტორიაზე, ციხისძირშია აღმოჩენილი; ესაა ოქროს აგრაფი, რომელიც შემკულია მთის ბროლის ინტალიოთი. ბუდეს ოვალური კოლოფის მოყვანილობა აქვს, რომლის ზედაპირი შემკულია ორ „მძივისფერ მავთულს

¹ Кругликова. И. Т. Боспор в позднеантическое время. М. 1966. გვ. 150.

² Н. В. Хоштария. Археологическое исследование Уреки. გვ. 59-61; Р. Путьридзе. Колзидские амфоры эллинистического и позднеантического времени. Тезисы докладов посв. итогам полевых археологических исследований в 1970 году. Тб. 1971. გვ. 197; ნ. ინაიშვილი. ადრეშუასაუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხიდან. სდსმ X. თბ. 1981. გვ. 124-127.

³ ვ. ჯაფარიძე. ვარციხის ნაქალაქარი. თბ. 1989. გვ. 45-59.

⁴ Р. В. Путьридзе. დასახ. ნაშრომი. გვ. 198.

⁵ Kazimierz Majewski, Kultura w Bulgarii. Wroclaw-Warzawa-Krakow. 1969. Ric. 1984.

⁶ Леквинадзе В. დასახ. ნაშრომი. გვ. 195-196.

⁷ იქვე. გვ. 196-197.

⁸ Леквинадзе В. А. Погребение конца IV века... ნახ. 4 გვ. 197.

შორის მოქცეული უწვრილესი, ორმაგი მავთულისაგან შედგენილი ფართო ზნულით. ბუდეზე მირჩილულია აყყურული სალტე, შეშვული სტილიზებული ლოტოსის ყვავილის გამოსახულებებს შორის მოქცეული თაღებით.¹ მკვლევარი ნ. ინაიშვილი მის პარალელებს რომში, დურა ევროპაში და ციხისძირის მახლობლად ურეკში ხედავს და საბოლოოდ, რომ „ციხისძირის აგრაფის მსგავსი მედალიონები მეტწილად ახ. წ. III საუკუნეს განეკუთვნება; ციხისძირის აგრაფის თვალბუდე კი, ჩვენი აზრით, ინტალიოს თანადროული ჩანს და ამიტომ ახ. წ. II საუკუნით უნდა დათარიღდეს² აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აგრაფის საკიდი ჯაჭვების წნულის მსგავსი წნულები დამახასიათებელია უმეტესად II საუკუნისათვის.³ ურეკის კომპლექსის შემდგომი ნივთი არის საყურეები (2 ც.),⁴ რომლის ანალოგებს ვ. ლექვინაძე პალესტინაში კარმალ-შეიხის IV საუკუნის სამარხში ხედავს; მაგრამ ხედავს საყურეთა სტილისტურ ერთობას ურეკულსავე ზემოთ განხილულ ბროშთან. ამავე დროს, განსახილველ საყურეს ბევრი საერთო აქვს ციხისძირის განძის საყურებთან.⁵ მსგავსი, ოღონდ ოთხსაკიდიანი საყურეები ცნობილია გვიანრომაული ხანის ბალკანეთიდან.⁶ ამდენად, ჯერჯერობით განსახილველი კომპლექსის თარიღი უმეტესად III საუკუნის ფარგლებში ექცევა.

შემდგომში, კომპლექსის და „სადაურობის“ განმსაზღვრელი ნივთების მნიშვნელოვანი ჯგუფი არის 4 მეტ-ნაკლებად სრული ვერცხლის მშვილდსაკინძი.⁷ მათგან სამი უეჭველად ერთნილადი ბუდეაბმული მშვილდსაკინძია. უკვე ეს ქმნის ეჭვს IV საუკუნეში გადათარიღებისას. ამასთან ზოგი მათგანი ვ. ლექვინაძის მიერ გამოქვეყნებულ ტაბულაზე არც თუ ზუსტადაა გადმოცემული; კერძოდ, ნახ. 1-2 მშვილდსაკინძის მშვილდი განივკვეთში მრგვალი კი არა

¹ ნ. ა. ინაიშვილი. ციხისძირის ახ. წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1993. გვ. 21.

² იქვე. გვ. 25.

³ M. S. Rusen, J. Kubera. Nasrylnik greke w okrese hellenistycsnymi mrymskim. Warszawa 1972. გვ. 155, 254, 255. ტაბ. XXXVIII-XI.

⁴ B. A. Леквинадзе. დასახ. ნაშრომი. გვ. 199. 8.

⁵ ნ. ა. ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. IV, 3, 5.

⁶ Kazimierz Majewski, Kultura w Bulgarii... ტაბ. 193.

⁷ B. A. Леквинадзе, Богатое погребение — ნახ. I. გ. ე. ჯ. 3.

რვანახნავაა.¹ ამასთან, არც ნახატზე და არც ტექსტში ხაზგასმული არაა, რომ 1-2 და მშვილდსაკინძთა ბუდისასაბმელის ზედა ნაწილი ვერტიკალურად ბრტყელია,² რაც, ვფიქრობთ, გარკვეული გენეტიკური ნიშანია და ყველა მშვილდსაკინძს არ ახასიათებს. ჩვენთვის ანალოგიური ფიბულა, ჯერჯერობით ერთადერთი, ცნობილია 37 სამარხიდან, სადაც იგი კომპლექსშია ურეკულისავე მსგავს მშვილდხვიებიან, ერთნილად მშვილდსაკინძებთან.³ ამ სამარხის შემსწავლელი მ. ტრაპში მას II საუკუნის მინურულითა და III საუკუნის I ნახევრით ათარილებდა,⁴ რაც, ვფიქრობთ, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოა. ვ. ლექვინაძე ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ „სპირალურ“ ორნამენტზე, ხვიებს კი არც ახსენებს, წერს, რომ „Такие фибулы по круглым сечением спинки были известны лишь в Абхазии, где их датируют III-V вв.“⁵ ჩვენს მიერ აქცენტირებულ მშვილდსაკინძებს კი საერთოდ არ ახსენებს.

ურეკულ კომპლექსში არის სამი ბეჭედი. ორი ოქროსია, ერთი კი ვერცხლის. ყველა ისინი ერთი სტილისა და ფორმისაა.⁶ მათგან ერთს წაკვეთილკონუსისებრი თვალბუდის ცალ მხარეს აზის „კოპი“. ამ ბეჭედს ვ. ლექვინაძე ადარებს სამთავროს სამაროვნის ვითომ კოპებიან ბეჭედს, რომელთაც V-VI საუკუნეებით ათარილებს.⁷ თუმცა, მისი აზრით, ურეკულთან ახლოს დგას არმაზისხევის IV საუკუნის ბეჭედი.⁸ მაგრამ ავტორი არც მთლად ზუსტია იდენტიფიკაციისას. ჯერ ერთი, სამთავროს სამაროვნის „კოპებიანი ბეჭედები“... და მისი ანალოგიურნი პერეშჩებინას განძიდან, ფორმით და სტილით განსხვავებულნი არიან და თარიღებიან VI-VII საუკუნეებით.⁹ ვ. ლექვინაძის მიერ მითითებული არმაზისხევიური

¹ მისი ინვენტარის ნომერი 12-57-:10. იხ. 6. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების... ტაბ. VI-9.

² ნ. ა. ნიაიშვილი. დასახელებული ნაშრომი. ტაბ. VI-9, 10-A.

³ Трапш М. М. Культура цебельдинских некрополей... ტაბ. XVII-6.

⁴ Трапш М. М. დასახ. ნაშრომი გვ. 180.

⁵ Леквинадзе В. А. დასახ. ნაშრომი. გვ. 199.

⁶ იქვე. გვ. 200. ნახ. I K.

⁷ Леквинадзе В. А. დასახელებული ნაშრომი. გვ. 201.

⁸ Мичега I. 1958. გვ. 119-121. ნახ. 13, 16, 20. таб/ XCVII-1, 5.

⁹ 6. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა... გვ. 96-97. საერთოდ კი კოპებიანი ბეჭედები ჩნდება III-IV საუკუნეიდან. ისინი აღმოჩენილია არმაზისხევში, ურბნისში, არაგვის

ბეჭედი კი სრულიად განსხვავებული ფორმისაა; იგი ერთნილადაა, ხოლო თვალბუდე რგოლის გამსხვილებითაა მიღებული; კროში მხოლოდ ერთ მხარეს აქვს; ამასთან ეს „კოპი“ სრულიად განსხვავებული ფორმისაა – „შვერილიანია“. ¹ იგი III საუკუნით თარიღდება. ² ამავე დროისაა, ანალოგთა მიხედვით, ურეკის „სამარხში“ აღმოჩენილი „მხრებჩაგრეხილი“ და გახსნილ „რგოლს“ შორის ჩამჯდართვალბუდიანი ბეჭდები. ანალოგები მათაც III საუკუნის მასალაში ეძებნება. ³ ამ შემთხვევაშიც ვ. ლექვინაძის ცდა მაინცდამაინც IV საუკუნეში მოუძებნოს ურეკულ ნივთებს ანალოგები არც თუ წარმატებულია; ისინი კარგად თავსდებიან III საუკუნეში. ურეკულ კომპლექსში შემავალი არც სხვა ნივთებია მაინცდამაინც IV საუკუნისა და მით უმეტეს, ჩრდილო შავიზღვისპირული; მაგალითად, მინერალის საკიდი ავეაროზი, ⁴ ყურსაჩიჩქნი და ხამანწყის „კოვზი“. ⁵ თვით ავტორიც დარწმუნებით ჩრდილო შავიზღვისპირულობას ორ სამაჯურს „აბრალებს“. ესაა რკალგახსნილი ოთხკუთხაგანიკვეთიანი ოქროს სამაჯურები. ერთი მათგანის ბოლოები შემკულია ქვებით. უნდა ითქვას, რომ სტილისტურად და ფორმით „შეუმკობელ“ სამაჯურთან ძალიან ახლოს დგას გონიოს განძის წყვილი სამაჯური, თუმცა ეს უკანასკნელი განიკვეთში 8 წახნაგაა. ⁶ ეს და ზოგი სხვა დამთხვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ურეკი, ციხისძირი და გონიო გვიანი კოლხეთის – ლაზიკის მნიშვნელოვანი რეგიონია.

შემდეგ ვ. ლექვინაძე განიხილავს ექვსწახნაგა ბალთებს, რომლებიც ინკრუსტირებულია და შემკულია „კრენდელური“ ორნამენტით. ავტორი სხვადასხვა მანიპულაციით ცდილობს, რომ ურეკ-

ხეობაში; ლ. ქილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი. 1964. სურ. 34, 37; რ. რამიშვილი. ახალი აღმოჩენები. „ძეგლის მეგობარი“. 39. გვ. 13, 14.

¹ მცხეთა. I ტაბ. XCVII-4 a, 5 a.

² რომაულ სამყაროში კოპებიანი ბეჭდები უკვე II საუკუნიდან ჩნდება – Higgins R. A. Greek and Roman Jeweller. London. 1961. Lig. 33. p. 191.

³ მცხეთა. I ტაბ. XII-3.

⁴ Леквинадзе В. А. დასახ. ნაშრომი. ნახ. 6-2. ასეთი ავეაროზი აღმოჩენილია თხოთის მთაზე – ნ. მირიანაშვილი. მცხეთა-არმაზისხევში. მცხეთა I. გვ. 71-72. ტაბ. I, VI-30, 32. სამარხი II საუკუნისაა.

⁵ Леквинадзе В. А. იქვე, ნახ. 8-თ.

⁶ ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაშვილი. გონიოს განძი. თბ. 1980. გვ. 35. სურ. XV-XVI.

ში აღმოჩენილი „ფიბულა-ბალთა“ IV-V საუკუნეებით დაათარიღდა და მაინცდამაინც ხალხთა დიდი გადასახლების ხანას დაუკავშირდა. თუმცა კარგად იცის, რომ „В расположенной рядом с Колхидой Иберии инкрустированные перегародчатые изделия и походящие на них вещи известны уже в погребениях конца II-III вв. н. э.“¹ რაც მთავარია, ორნამენტის ეს სახე გავრცელებული ყოფილა რომაულ ხანაში, განსაკუთრებით კი III საუკუნეში.² უნდა გავიხსენოთ, რომ არმაზისხევური ტიხრული ინკრუსტიციით შემკული ნივთების უმეტესობაც დაახლოებით ამ დროით თარიღდება: ვ. ლექვინაძე კი ცდილობს ურეკული ნივთები მაინცდამაინც ხალხთა დიდი გადასახლების ხანის (IV საუკუნის ბოლო – V საუკუნე) ჩრდილოშავიზღვისპირულ მასალებს დაუკავშიროს. ჩვენთვის ცნობილ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ ჩრდილო-შავიზღვისპირეთის ნივთიერ მასალაში ურეკულ მონაპოვრებს ზუსტი ანალოგები არა აქვს.³ სხვათა შორის, ამავე აზრის ბრძანდებიან უკანასკნელ ხანებში ამ პრობლემებზე მომუშავე ი. ბაჟანი და მ. შჩუკინი. მათ პრინციპულად არ გაიზიარეს ურეკის მონაპოვრების ვ. ლექვინაძისეული დათარიღება.⁴

ამრიგად, ვ. ლექვინაძის მიერ შემოთავაზებული ურეკული კომპლექსის თარიღი, IV-V საუკუნეების დასაწყისი, არ შეეფერება ფაქტობრივ-მეცნიერულ მონაცემებს. არც მისი ჩრდილოური წარმოშობაა ჭეშმარიტებასთან ახლოს. კომპლექსში შემავალი ნივთების ნაწილი, მაგ., ნელშენეჩილი ამფორა, ერთწილადი ბუდეაბმული, მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძები და სხვ. აშკარად ადგილობრივი, დასავლეთ-ქართული წარმოშობისაა.⁵ მასალის დანარჩენი ნაწილი რომაულ-ინტერნაციონალური სტილისაა.⁶ აქვე უნდა აღვნიშნოთ,

¹ Леквинадзе В. А. Богатое погребение... გვ. 203.

² Ruxer V. S., Kubozak J. Nasrylnik Grecke... ნახ. 28ც. ფ. 3. გვ. 1513, 154.

³ Заседская И. П. Золотые украшения гунской эпохи. Л. 1975. ტაბ. I-VIII და სხვ. Gyula Sasrlo, the ant of the Migration Period. Budapest. 1974.

⁴ Бажан И. А., Шукин М. Б. К вопросу о возникновении полихромного стиля клязонне эпохи великого переселения народов. Археологический сборник, №30. 1990, გვ. 92.

⁵ Отар Лорткиპანიძე. Население Грузии. Тб. 1989. გვ. 282; 6. აფხაზავა. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ. 1979. გვ. 8-20.

⁶ Ruxer M. S., Kubezak J. Nasrylnik grecki wokresie hellenistycnymi. Warszawa. Poznan. 1972. tabl. IX, XXII და სხვ.

რომ ვ. ლექვინაძემ ამ კომპლექსთან ერთად არ განიხილა ურეკში იმავე წელს (1942 წ.) აღმოჩენილი ქოთანის, ქუთაისის მუზეუმში მოთავსებული "ვიპოვეო". ჩვენ კი მოვიპოვეთ (ქიმ. 5716/-301). ესაა მოყავისფრო-მონითალო-მოშავო თიხისაგან ტლანქად ნაკეთები (ზედაპირი უხეში, მოუსწორებელი აქვს) ქოთანი მომრგვალებული მუცლით, ოდნავ გამოყვანილი დაბალი ყელით, სუსტად გადაშლილი პირით და ბრტყელი ძირით.¹ ჩვენი აზრით, ვ. ლექვინაძის მიერ ამ ქოთნის მიუკვლეველობა ქუთაისის მუზეუმში განპირობებული იყო იმით, რომ ურეკულ არქეოლოგიურ კომპლექსში არ გამრავლებულიყო ადგილობრივი წარმოშობის ნივთები. სამაგიეროდ განხილული კომპლექსის მის მიერ შემოთავაზებული თარიღი უფრო სარწმუნო რომ ყოფილიყო ავტორმა მასთან ერთად განიხილა 1948 წელს აღმოჩენილი ნივთების ნაწილი, კერძოდ, ორყურა მინის ბოთლი და ლითონის ჭურჭელი,² თუმცა მათ ერთ კომპლექსად ჩათვლა (1942 წელს აღმოჩენილებთან) ძალიან საეჭვოა, თანაც რატომღაც არ გამოუქვეყნებია მასთან ერთად ნაპოვნი მინის კოლბისებრი სანელ-საცხებლე³ ან ნუშისებრი ფორმის გრანატის სამი თვლით შემკული უმბონისებრი ოქროს ბალთა,⁴ ან 1949 წელს აღმოჩენილი ვერცხლის ორწილადი ქამრის საკიდი ბალთები (2 ც.)⁵ და სხვ. საქმე ისაა, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთი IV-V საუკუნეებით «ვერ» თარიღდება; განსაკუთრებით ვერცხლის ორწილადი ბალთები, რომლებსაც პირდაპირი ანალოგები არმაზისხევის პიტიახშოთა სამაროვნის II-III საუკუნეების კომპლექსებში მოეძებნებათ.⁶

ამრიგად, ვფიქრობთ ზემოთ მოტანილი ფაქტებიც მეტყველებს იმას, რომ ვ. ლექვინაძის მიერ «გადათარიღებულ-გადაზარებულ» ურეკული კომპლექსის (1942 წ.) თარიღი არც ერთი ნიშნით არ გადმოვა IV-V საუკუნეების დასაწყისში. იგი უნდა დარჩეს თავის «ძველ ადგილას», როგორც ათარიღებდნენ მას აღმოჩენნი და პირველშემსწავლელნი – III საუკუნე. ამასთანავე კომპლექსის არც ერთი ნივთი ე. წ. ჩრდილოური წარმოშობის არაა, რაც ასე სწაღია

¹ ქიმ. 5716/A-301.

² Леквинадзе В. А. Богатое погребение... ნახ. 9, 10.

³ Хоштария Н. В. Археологическое исследования Уреки. მსკა. I. 1955. ტაბ. XVII-1.

⁴ ბალთა ინახება აჭარის მუზეუმში, შეძენილია ტრაქტორისტ შემილოვისაგან 1948 წ. 1157.

⁵ Хоштария Н. В. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XVII-2.

⁶ მცხეთა I. ტაბ. XXXIX-2ბ 1-4, 5.

ან გარდაცვლილ ვ. ლექვინაძეს. საერთოდ კი ურეკში სხვა წლებსა და სხვა კომპლექსების კუთვნილ ნივთთა შორის მართლაც არის IV საუკუნის და გაცილებით გვიანდელი ნივთებიც. მაგ., კ. მაჩაბლის მიერ შესწავლილი ლითონის ჭურჭელი.¹ ასევე ოზურგეთის მუზეუმში დაცულია ურეკში 60-იან წლების დასაწყისში აღმოჩენილი ამფორა, რომელიც VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება.²

ამგვარად, ურეკის 1948 წელს გამოვლენილი კომპლექსის გადათარილება IV-V საუკუნეების დასაწყისით და სხვა ძეგლთა, ამ შემთხვევაში ნებელდურ კომპლექსთა ქრონოლოგიის ამის მიხედვით გამართვა არ არის სწორი.³ ნებელდურ კომპლექსთა თავის დროზე ა. კ. ამბროზის მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგია ძირითად დეტალებში მართებულია; კერძოდ, მან ნებელდის ყველა ორწილადი ბუდეაბმული მშვილდსაკინძი IV საუკუნეს და შემდგომ ხანას მიაკუთვნა.⁴ სხვა საქმეა, რომ, ჩვენი აზრით, ნებელდის ტიპის კომპლექსები მხოლოდ VII საუკუნის შუა წლებამდე უნდა თარიღდებოდნენ. ამ საუკუნის II ნახევრის ელემენტების აქ მოძიება ჩვენ გვიჭირს.

მთავარი ისიცაა, რომ ვფიქრობთ ზემოთ ნაწილობრივ მაინც შევძელით გვეჩვენებინა, რომ ვ. ლექვინაძე არც თუ მთლად დელიკატური მეთოდებით იკვლევდა საქართველოს არქეოლოგიის და ისტორიის პრობლემებს, მაგრამ იგი ი. ვორონოვთან შედარებით „ობიექტურ“ მკვლევრად ჩანს. ახლა გვსურს მოგიტანოთ მაგალითები ი. ვორონოვის კვლევის ხერხებისა: ასე მაგალითად, მას მოაქვს აგათია სქოლასტიკოსის ცნობა მისიმიელთა შესახებ: „Когда Сотерых (византийский посланник – Ю. В.) пришел в страну мисимиан, они были подданными царя колхов, так же как апсилиныцы. Но язык у них (с колхами – Ю. В.) разный, так же как и нравы. Живут же они севернее народа апсилиев и несколько

¹ Кити Мачабели. Позднеантичная торевтика Грузии. Тб. 1974. ტაბ. 10. გვ. 45-48.
² ამფორა დაცულია ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. იგი ხერსონესის VIII-IX საუკუნეთა ამფორების ანალოგიურია – იხ. Якобсон А. Л. Раннесредневековой Херсонес. МИА №63. М. 1959. ნახ. 160.
³ Воронов Ю. Н. Восточное Причерноморье в железном веке. М. 1984 (ავტორეფრატი). გვ. 26-28.
⁴ Амброз А. К. Проблемы раннесредневековой хронологии Восточный Европы. СА. №2, 1971. ნახ. 4. 5 და სხვ.



восточнее...¹ ვფიქრობთ, კონტექსტით (თუ გნებავთ, ტექსტითაც) აშკარად ჩანს, რომ საუბარია მისიმიელთა და აფსილთა შესახებ ბიზანტიელი ავტორი მათ ახასიათებს და სწორედ მათ ენათა (მისიმიელთა და აფსილთა ენების) სხვაობაზეა საუბარი და არა კოლხთა და აფსილთა. ი. ვორონოვი ტექსტის ასეთ უკუღმართ ინტერპრეტაციას იმიტომ გვთავაზობს, რომ მან მრავალი ისტორიული მასალით, არქეოლოგიური, ნარატიულ წყაროთა, ენათმეცნიერულით იცის და მოტანილი ტექსტითაც კარგად ჩანს, რომ აფსილები და კოლხები (=ლაზები) მონათესავე ხალხია, ამიტომ აბნევს იგი მკითხველს და სჩადის ზემოთ მოტანილ გამიზნულ სიყალბეს. მისი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში ვხვდებით ასეთ წინადადებას: „... частично исследован путь по Ингурскому ущелю (дорога мисимиан)“², ე. ი. მისიმიანთა ქვეყანა ენგურის ხეობაშია? არა, ბატონო: ყველა წყაროს მიხედვით, მისიმიელები კოდორის ხეობის ზედა წელის მცხოვრებნი არიან. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ აგათია სქოლოსტიკოსის მიხედვით ციხე ტიბელოსი მისიმიელთა და აფსილთა ქვეყნის საზღვარზეა.³ ტიბელოსი = ნებელდას და კოდორის ხეობის შუა წელზე ქვემოთაა. იგი, ე. ი. ბატონი ი. ვორონოვი, აქაც გვაბნევს. მისი ამ თვისებების შესახებ თითქმის ოცი წლის წინ აღნიშნა დასავლეთ საქართველოს სიძველეთა ცნობილმა მკვლევარმა ბატონმა ვ. ჯაფარიძემ საკმაოდ ფართოდ; ჩვენც მივუთითეთ მის მიერ ჩადენილ ზოგ უმთავრეს უწესობაზე, რასაც გავიმეორებთ: „ავტორი ხშირად არ ერიდება დილეტანტიზმს და „აკრძალულ“ ხერხებსაც კი, კერძოდ, ვორონოვის მიხედვით, აკად. გ. მელიქიშვილი წერს: „Помещение ... древней (мифической) колхиды на Риони является продуктом позднего осмысления...“ იხ. Воронов Ю. Н. და სხვა ნაშრომები (ესაა „Тайна Цebelьдинской долины...“ გვ. 139). აქ სინამდვილეში უნდა იყოს „Помещение политического центра древней (мифической) Колхиды на р. Риони является, несомненно, продуктом позднего осмысления, когда этот центр на самом деле переместился сюда“. იხ. Меликишвили Г. К истории древней Грузии. Тб. 1959, გვ. 213. ვფიქრობთ, თვალნათლივ ჩანს გამოყენებული

¹ Воронов Ю. И. Тайна Цebelьдинской долины... გვ. 147.
² Воронов Ю. И. Тайна Цebelьдинской долины... გვ. 33.
³ აგათია სქოლასტიკოსი. გეორგიკა. ტ. III. ტფილისი. 1936. გვ. 160. Агафии. О парствовании Юстиниана. Перевод статьи и примечания доктора исторических наук Левченко М. В. М. Л. 1953. გვ. 118.



ლიტერატურის გაყალბება. სხვაგან ი. ვორონოვი, ამტკიცებს რა რომ ვახტანგ გორგასალს არ შეუერთებია აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ე. ი. აფშილეთი, „იმველიებს“ „ქართლის ცხოვრებას“.

„Отрывок из „Жизни Грузии“, на основании которого могут быть сделаны эти выводы, относится ко времени значительно более позднему, когда под Абхазией („Апхазети“) понималась вся Западная Грузия (46, 31). Согласно этому отрывку, Вахтанг захватил „крепость до Цихе-Годжи“, т. е. подошел к Цихе-Годжи не с запада а с востока“. გვ. 145. სინამდვილეში „ქართლის ცხოვრება“ (ტ. I. თბ. 1955. გვ. 150-157) მოგვითხრობს, რომ „ვახტანგმა დარიალის გზით ილაშქრა ოსეთში, მოარბია პაჭანიკეთი და ჯიქეთიც, დაუდო ზავი ოსებს, აქ მყოფმა თავისი და მირანდუხტი და გათავისუფლებული ტყვეები „წარმოგზავნა გზასა დარიალისას და თვით სპითა დიდითა ქართლისათა წამოვიდა გზასა აფხაზეთისასა (ეს ჩრდილო კავკასიიდან კოდორის ხეობაზე, ნებელდაში გადმოსასვლელი გზაა - ნ. ა.)... და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე...“¹ აქედან აშკარაა, რომ ვორონოვის სურვილის საწინააღმდეგოდ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვახტანგ გორგასალი სწორედ დასავლეთიდან მისდგომია ციხე-გოჯს. ლიტერატურისა და ისტორიულ წყაროთა ასეთი გაყალბება ი. ვორონოვს სჭირდება, რათა ქართველთა კვალი წაშალოს აფხაზეთში და მთელს დასავლეთ საქართველოში...“² ამას ვწერდით ჩვენ ჯერ კიდევ 30 წლის წინ.

ახლა აღარ მიგვაჩნია საჭიროდ გავაგრძელოთ მსჯელობა ი. ვორონოვის და მსგავს „მკვლევართა“ მოღვაწეობაზე. ერთი რამ ცხადია, გარკვეული პოლიტიკური მიზნებით პროვოცირებულ მეცნიერთა ჯგუფები ყოველთვის ეწეოდნენ და ეწევიან საქართველოს და საერთოდ ისტორიის ფალსიფიკაციას.

¹ ვ. ჯაფარიძე. ნებელდური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის. სას. 1979. გვ. 78-89.

² ნ. აფხაზავა. ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა... გვ. 19. სქოლიო 68.

დასკვნა

ზემოთ განხილულის საფუძველზე მიღებული კვლევის შედეგად გვსურს ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი დასკვნა, თუ რა ეთნიკური ფიზიონომია ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში I-VIII საუკუნეების მანძილზე აფსილთა (აფშილთა) სახელით ცნობილ ეთნიკურ ერთეულს. ეთნონიმი აფსილი, მკვლევართა უმეტესობის მიხედვით, ქართველური ენობრივი წარმოებისაა; იგი ამ ფორმით არსებობდა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოს აბეშ-ლ-ა. ლინგვისტურად ამ ეთნონიმს არავითარი კავშირი არა აქვს დღევანდელ აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუასთან“. „აფსუა“ ეთნონიმი თითქოს ამ ფორმით – „აბზოა“ ფიგურირებს პლინიუს უფროსისავე ნაშრომში, სადაც ნახსენებია „აფსილიც“.¹ მაგრამ საქმე ისაა, რომ „აფსილი“ ნახსენებია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, დღევანდელ აფხაზეთში, ხოლო „აბზოა“ ჩრდილო კავკასიის ველზე. აფსილთა სახელი ახ. წ. I საუკუნეებში რომ ქართული ფორმით, ქართული წარმოებით დაფიქსირდა ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში ამ ტომის ქართველურობის ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტიცაა. არაქართული ეთნიკური წარმომავლობის ტომი თავის სახელს თავისი „ეროვნული“ ფორმით დააფიქსირებდა, რადგან მათ პირდაპირი, უშუალო კონტაქტი ჰქონდათ რომაულ-ბერძნულ სამყაროსთან. ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, სრულად დადასტურდება დამატებითი ისტორიული ფაქტებით, უფრო ზუსტად, ლინგვისტური მასალით. საქმე ეხება ალან-ოსურ ენაში დაფიქსირებულ მეგრული წარმოშობის ლექსიკურ ელემენტებს, რომელსაც ენათმეცნიერი ვ. აბაევი განსაზღვრავს როგორც თითქმის „სუბსტრატულს“. ოსთა წინაპარ ალანთა და ამ მეგრულენოვანი ეთნოსის (ვისგანაც შეითვისეს ოსებმა მეგრელიზმები) შესაძლო კონტაქტის სივრცის ძიებამ მიგვიყვანა ფაქტობრივად

¹ თვით ეთნონიმის უპირველესი და უძველესი სწორი ფორმა უნდა იყოს „აფსილი“ და არა „აფსილი“, რაც ჩანს მისი ადრეული ვარიანტიდან „აბეშლა“ და ქართული წყაროებიდანაც „აფშილა“ და ა. შ.




უეჭველ დასკვნამდე, რომ ოსურში მეგრული „სუბსტრატული“ ლექსიკა უნდა დაფიქსირებულიყო მათ წინაპარ ალანთა მდინარე ყუბანზე ბინადრობისას კოდორის ხეობაში შეღწევის შედეგად, სადაც მოხდა მათი კონტაქტი აფშილებთან. „მეგრელიზმები“ ოსურში აფშილთაგანაა შესული. სვანურენოვანი მისიმიელების დამორჩილების (ნან. ასიმილაციის?) შედეგად ოსურ ენაში ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი სვანური ენობრივი პლასტი წარმოიქმნა. უფრო მეტიც, საქართველოს ამ ნაწილში, კოდორის ხეობის ზემონელზე თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობდა ქვეყანა ალანი, რაც ზემოაღწერილ პროცესთა შედეგია. ამდენად, აფსილები მეგრულენოვანი, ქართველური ტომი იყო. ამასვე მეტყველებს ისტორიული აფსილეთის ტოპონიმიკა იმ წერილობით წყაროსთან ერთად (აგათია სქოლასტიკოსი), სადაც მინიშნებულია აფსილთა ენობრივი ერთობა კოლხებთან (=მეგრელებთან).

აფსილთა ქართველურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირზე მიგვანიშნებს როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე მთელი საქართველოს შესაბამისი ეპოქის არქეოლოგიური მასალა, ე. წ. „აფსილური ნებელდური კულტურა“ თავისი გენეზისით კოლხურ კულტურაში პოვებს სათავეს, ამასთან, იგი მოიცავს არა მხოლოდ აფსილებით დასახლებულ ტერიტორიას, არამედ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს: სვანეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, ბარის იმერეთი, მთელ აფხაზეთს და ზოგ მოსაზღვრე რაიონსაც ჩრდილოდასავლეთით.


აფსილთა და, საერთოდ, ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ქართველურობაზე მიგვითითებს არა მხოლოდ „არქეოლოგიური კულტურები“, არამედ ნივთიერი კულტურის ისეთი ცალკეული მონაცემები, რომლებიც თავისი ფუნქციით „სანესო-სარიტუალო“ ხასიათისაა. ასეთად ჩვენ მიგვაჩნია ბრინჯაოს ჭვირული ბალთები და „დრაკონისებრთავიანი“ ბრინჯაოსავე საკიდები, რომლებიც დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული I-V საუკუნეთა მანძილზე.

საბოლოოდ ვფიქრობთ, სურათი საკმაოდ ნათელია; ყველა ისტორიული ფაქტობრივი მონაცემით, I-VII საუკუნეთა მანძილზე კოდორის ხეობაში მცხოვრები აფსილთა (აფშილთა) ტომი ქართველური, მეგრულენოვანია.




II A


II B



II C




Պատկերները
 միայն օճակներն են
 և մուտքի մասերը
 պատկերված են
 առանձին




I թղթի զինվորների գնդապետի կցեր


IV A




IV B




IVC




V







1








2






1




2





X



ტაბულაჰის აღწერილობა

- I ნებელდური ტიპის დოქი ბუკისციხის კომპლექსიდან
(ჩოხატაურის მუზეუმი)
- II A ცული სვირიდან (ქუთაისის მუზეუმი)
- II B ცული ხონიდან (ქუთაისის მუზეუმი)
- II C ცული გეგუთიდან (ქუთაისის მუზეუმი)
- III „ჯვრისებრ“ მშვილდსაკინძთა განვითარების სქემა
- IV A შუბისპირი ბუკისციხის კომპლექსიდან
- IV B ორლესური მახვილი და „ქედიანი“ შუბისპირები ლენჯერის
სამაროვნიდან (სვანეთი)
- IV C სამარხეული კომპლექსი ვარციხიდან
- V სამარხეული კომპლექსი ოჩხომურიდან (ე. გოგაძის მიხედვით)
- VI სამარხეული კომპლექსი ქვედა მარლიდან
- VII აბზინდა ლენჯერის სამაროვნიდან
- VIII არქეოლოგიური მასალა „ნებელდის კულტურის“ სამაროვნიდან
- IX არქეოლოგიური მასალა ახაჩარაზვა-ოლგინსკოედან
- X არქეოლოგიური კომპლექსი დ. ერმაკოვის კატალოგიდან

Noe Apkhazava

THE ETHNIC SITUATION OF LATE CLASSICAL AND EARLY
MEDIEVAL ABKHAZIA ACCORDING TO WRITTEN
SOURCES AND ARCHAEOLOGICAL MATERIAL

Summary

The ethnic identity of the Apsilae is one of the controversial and involved questions in Georgian historiography. It survives in historical written sources and in the Georgian family name Apshilava. This ethnonym figures actively through the 1st-8th centuries in the north-western part of Georgia. Strabo, Appian, Dion Cassius know only one people – the Colchians – on the territory of Colchis, Western Georgia. Now, according to Gaius Plinius Secundus (*Naturalis historia*) the inhabitants of Colchis include: Heniochi, Ampreutes, Laz, Colchians, Phthirophagi, Sanes, Apsilae, Saniges, Melanchleae, Coraxae; there also are “regions” of Meskhi, Svans and Ceuritices. Approximately the same sequence of tribes (ethnoses) is depicted by Arrian (2nd cent. AD) in his *Periplus euxini*, according to which from Trapezus to ancient Lazica (=Nicopsia) there resided: the Colchians, Sanes, Macrones, Heniochi, Zidrites, the Laz, Apsillae, Abascoi, Saniges, and Dzilkes. Claudius Ptolemaios, almost contemporary of Arrian, knows nothing about the Apsilae and Abasgoi in Colchis, while he is aware of the Laz. Good material to ascertain the habitat of the Laz is provided by a 5th-cent. anonym: “From Dioscurias or Sebastopolis to the river Apsaros there formerly resided people called Colchians and now with an altered name of Laz (Arrian, *Periplus...*, p. 88).”

My purpose is to arrive at a general conclusion regarding the ethnic physiognomy of the ethnos populating the north-western part of Georgia in



the 1st-8th cent., known under the name of Apsillae. In the opinion of unbiased, objective researchers, the ethnonym Apsillae (var. Apshilae) is of Kartvelian linguistic origin. Linguistically this ethnonym has also no relation with the self-designation "Apsua" of present-day Abkhazians. The ethnonym "Apsua", in almost the same form "Abzoa", figures in Pliny the Elder's work, where "Apsillae" is also mentioned. But "Apsillae" is used in reference to the present-day territory of Abkhazia, while "Abzoa" are in the North Caucasian plain. That the name of the Apsillae was recorded in Byzantine-Roman sources in Georgian form in the 1st cent. A.D. is a strong argument in favour of the Georgian provenance of this tribe or ethnos. The same is indicated by the lexical elements of Megrelian origin recorded in the Alan-Ossetic language. Megrelian substrate vocabulary must have become recorded in Ossetic while their Alan ancestors resided on the Kuban river, as a result of their penetration into the Kodori valley and establishing contacts with the Apsillae. In the same way, as a result of subjugating the Svan-language Missimians, a fairly large Svan language layer arose in Ossetic. In the upper reaches of the Kodori valley almost throughout the Middle Ages there existed the country of the Alan, which was the result of the above processes. Thus, the Apsillae were a Megrelian-language Kartvelian tribe. Agathias points to the linguistic unity of the Apsilae with the Colchians (=Megrels. N.A.). The archaeological Artefacts of the corresponding period of Georgia point to the close links of the Apsilae (Apshilae) with the Kartvelian world. The so-called "Apsilae Tsebelda culture" is rooted in "Colchian culture". At the same time it comprises not only the cited territory but a large part of Western Georgia: Svaneti, Samegrelo, Guria, lowland Imereti, and entire Abkhazia.

It is not only the materials of the Tsebelda culture that point to the Georgian provenance of the Apsillae and generally the population of ancient Abkhazia but also such evidence of material culture of ritual type as "bronze openwork buckles" and "dragon-head" bronze pendants that were widespread in Western Georgia in the 1st-5th cent.

According to all historical-archaeological and factual data, the tribe or ethnic entity of the Apshilae (Apsilae), residing throughout the 1st-7th cent. in the Kodori valley, was Kartvelian, speaking the Megrelian language.

საკიებლები

პირთა საკიებელი

ა

აბაევი ვ. 37-39, 71
 აგათია სქოლასტიკოსი 27, 29-33,
 41(სქ.), 68, 69, 72, 75
 ალექსეევა ე. 35
 ამბროზი კ. 43, 44, 50, 53, 58 (სქ.),
 68
 ანასტასი აპოკრიხიარი 34
 ანასტასი ხუცესმონაზონი 21
 ანდრია მოციქული 35
 ანჩაბაძე ზ. 8, 11, 22, 23, 43, 44
 აპიანე 16, 74
 არიანე (იხ. ფლავიუს არიანე)
 აფშილავა 7, 74

ბ

ბაჟანი ი. 66
 ბერძენიშვილი ქ. 10, 42
 ბლაჟბა ო. 43

გ

გაიუს პლინიუსი სეკუნდუსი (იხ.
 პლინიუს უფროსი)
 გამყრელიძე თ. 8, 10
 გარაყანიძე ი. 32
 გასვიანი გ. 9, 30
 გვანცელაძე თ. 10
 გიორგი III, ერთიანი საქართველოს
 მეფე 36
 გოგაძე ე. 73
 გრიგოლი (ლაზთა პატრიკიოსი და
 მაგისტროსი) 21
 გრძელიშვილი ი. 42, 56
 გუნბა მ. 43

დ

დიონ კასიოსი 16, 74

ე

ევსევი კესარიელი 26
 ეპიფანე კონსტანტინოპოლელი 35
 ერმაკოვი დ. 54, 73

ვ

ვახტანგ გორგასალი 28, 70
 ვახუშტი ბატონიშვილი 29, 33, 36,
 39
 ვოლკოვა ნ. 13
 ვორონოვი ი. 11, 42, 43, 47, 49, 59,
 60, 68-70

ზ

ზეესტი 61

თ

თამარის ისტორიკოსი 35
 თეოდოსი განგრელი 21, 28, 29, 34,
 35
 თიანე (მისიმიელი წარჩინებული) 33

ი

ინაიშვილი ნ. 63
 ინალ-იფა შ. 11
 ინაძე მ. 9, 12, 16, 20, 23, 26, 44,
 57 (სქ.)
 ინგოროყვა პ. 10, 20, 21, 24, 29, 30-
 32, 41 (სქ.)
 იპოლიტე რომაელი 26

იულიანე (აფსილთა მეფე) 22, 32
იუშინი ვ. 44

კ

კეჭყამაძე ნ. 10, 19-21
კისლინგი 22
კლავდიოს პტოლემეაიოსი 19, 20, 74
კრუგლიკოვა 62
კუზნეცოვი ვ. 35
კუფტინი ბ. 42, 54

ლ

ლავროვი ლ. 13, 14
ლეთოდანი დ. 9, 21
ლექვიანაძე ვ. 60-68
ლომთათიძე ქ. 13, 14
ლომიტაშვილი დ. 50
ლომოური ნ. 9, 22, 28
ლორთქიფანიძე ბ. 50
ლორთქიფანიძე მ. 9

მ

მარი ნ. 25
მარინე (აფსილთა შორის უპირვე-
ლესი კაცი) 32
მაქსიმე აღმსარებელი 34
მაჩაბელი კ. 68
მელიქიშვილი გ. 8, 15, 22, 69
მემნონი 18
მიბჩუანი თ. 30
მითრიდატე 16
მილერი 42
მირანდუხტი (ვახტანგ გორგასლის
და) 70
მუსხელიშვილი დ. 21, 30, 33, 34
მჭედლიძე გ. 25

ნ

ნებიერიძე გ. 24
ნიკოლოზ დვალი 40

პ

პლინიუს უფროსი (გაიუს პლინიუსი)
სეკუნდუსი) 7, 17-20, 25, 71, 74,
75
პროკოპი კესარიელი 27, 28, 29, 35,
58, 61

რ

რატიანი ზ. 10, 14

ს

სიმონი (მოციქული) 35
სტარბონი 15, 16, 74

ტ

ტიგლათფილესარ I 41
ტიმოსეტენე 18
ტრაიანე 22
ტრაპში მ. 11, 42-44, 47, 48, 53, 57
(სქ.), 64

უ

უვაროვა პ. 42

ფ

ფლავიუს არიანე 10, 18, 20, 22, 27,
74
ფოფხაძე ნ. 25
ფსევდო სკილაქს კარიანდელი 15,
24

ლ

ლლონტი ა. 24

ყ

ყაუხჩიშვილი ს. 9, 30

შ

შამბა მ. 43, 44
შჩუკინი მ. 66

**ნ**

ნითლანაძე დ თუ ლ. 45, 56

ხ

ხადე (მისიმიელი წარჩინებული) 33
ხოსრო I 58
ხოშტარია-ბროსე მ. 9

ჯ

ჯაეახიშვილი ივ. 8, 25
ჯანაშია ს. 8, 20, 25, 38, 39
ჯაფარიძე ვ. 43, 45-47, 55, 62, 69
ჯუანშერი 28

კ

კეროდოტე 15, 16

გეოგრაფიულ სახელთა საკივალი**ა**

აბაზგია (აბაზგთა სამეფო) 8, 29,
47, 48
აბასკოსი (მდ.) (იხ. ფსოუ, იგივე
მძიმთა)
აბგიძრახე 53
აბგიძრახუ 43
ადლერი 13
აველევი 48
აზია 19, 28
აზიის სარმატია 19
აზოვის ზღვა (მეოტიდის ტბა) 15,
16, 18
ათონი 52
აკამფსისი (მდ.) 17, 24
ალანდა (სოფ.) 34
ალანის ქვეყანა\ალანია\ალანი (იხ
ოსეთი) 33, 35, 36, 39, 40
ალბანეთი 58
ალრახუ 43
ამზარა 29
ამტელი 29
ანაკოფია 29
ანტემუნტი (მდ.) 18
არმაზისხევი 64, 67
არქეოპოლისი (იხ. ნოქალაქევი)
ასტელოფო (იხ. კოდორი)

ათარა არმიანსკაია (იხ. სომხური
ათარა)
აფსაროსი (მდ.) 17, 20, 21, 23, 74
აფსუა (სოფ.) 13, 14
აფუშთი 54
აფშილების სამთავრო (აფშილეთი,
აფსილეთი, აფსილის მხარე) 7,
8, 21, 27-29, 33, 41(სქ.), 48, 70,
75
აფხაზეთი 7-9, 13-17, 28, 30, 33, 36,
38, 39, 41-43, 47, 54, 57, 59, 64,
70-72, 74, 75
აფხაზთა ქვეყანა 21, 22
აქელუნტა, იგივე შახე (მდ.) 26, 27
აღმოსავლეთ საქართველო (საქარ-
თველო აღმოსავლეთ) 55, 59
აჩანდარა 52
აჭარა 72
აჭყვა (მდ.) 24
ახალი ათონი 29
ახაჩარახვა\ახაჩარახუ 56, 73
ახაცარახუ 43
აჯამეთი 47

ბ

ბანძა 48
ბატისი (მდ.) 17

ბეღია 36
ბზიფი (მდ.) 29, 33
ბზიფის ხეობა 29
ბიჭვინთა 15, 48, 54
ბორი 56
ბუკისციხე 45, 46, 48, 73
ბუქლოოსი\ბოკულეს ციხესიმაგრე
34

ბ

გალი 46
გალის რაიონი 7, 22
გეგუთი 47
გვანდრა 33
გიენოსი (იხ. ოჩამჩირე)
გინი მდ. 17
გირკანის ზღვა 18
გლავეკი 17
გონიო 65
გორგობია 62
გუდაუთა 52
გულრიფში 8
გუმისთა 29
გუმისთის ხეობა 21
გურია 25, 72, 75
გურჯაანი 48

დ

დარიალის ხეობა 70
დასავლეთ საქართველო 10, 15-17,
19, 24, 25, 36, 42, 43, 45, 48, 52,
54, 55, 57-59, 69-72, 74, 75
დვალეთი 40, 41
დიგორის თემი 40
დიოსკურია 17-21, 27, 74
დრაკონი (მდ.) იხ. კოდორი
დურა 63

ე

ეა 17
ეგერთა ქვეყანა 28

ეგრისის (ლაზიკის) სამეფო 8, 9, 18,
21, 22, 27, 28, 33, 35, 46, 47, 63,
74

ეგრისის ქვეყანა 33
ეგროპა 28, 51, 63
ეგქსინის პონტო 18, 29
ეკრეტის ქვეყანა 19
ენგური (მდ.) 49
ენგურის ხეობა 52, 69

ვ

ვანი 47, 49
ვარდციხე 45, 47, 73
ვახანის უბანი 56
ვერნები 47

ზ

ზელენჩუკი (მდ.) 12
ზემო იმერეთი (იმერეთი ზემო) 52
ზუგდიდის რაიონი 47

თ

თერჯოლის რაიონი 49
თუსუმესი (ციხე) 21

ი

იბერია (იბერიის სამეფო) 17, 19,
58, 66
იმერეთი 57, 72, 75
იმერეთი ზემო (იხ. ზემო იმერეთი)
ისისი (მდ.) 17
ისრითი 49

კ

კავკასია 16, 17, 25, 47
კავკასიის ქედი 15, 16, 18, 21, 29,
35, 36, 41
კარმალ-შეიხი (ბაჩოს ვკითხო რამ-
დენად სწორად წერია) 63
კასპიის ზღვა 18, 25



კელასური\კოდორი/კორაქსი/ხრი-
სოროა (მდ.) 17, 18, 21
კერგიტიკის მხარე 17, 18
კინგი 17, 18
კირკეა 17
კლიჩი (მდ.) 33, 34
კოდორი (მდ.) 12, 17, 18, 21, 28, 29,
33, 34, 49
კოდორის ხეობა 20, 21, 27, 28, 30,
35-39, 41, 46, 52, 69, 70, 72, 75
კოლიკა (პონტოს ერთ-ერთი მხარე)
18
კოლხეთი (კოლხიდა\კოლხთა სამფ-
ლობელო) 9, 15-20, 22, 23, 25,
46, 58, 61, 65, 66, 69, 74
კოლხეთის დაბლობი 16, 22
კორაქსის (კროახის) ხეობა (იხ. კე-
ლასური)
კჩანეი 17

ლ

ლაზიკის სამეფო (იხ. ეგრისის სა-
მეფო)
ლაზისტანი 22
ლენჯერი 48, 51, 52, 73
ლენჯუმი 47, 54
ლიას სამაროვანი 45, 46, 54, 56
ლიხთიმერეთი (იხ. დასავლეთ სა-
ქართველო)

მ

მალთაყვა (მდ.) 24
მარამბა 43
მატია 17
მალრი (მდ.) 17
მაჭარის ხეობა 42
მეოტიდის ტბა (იხ. აზოვის ზღვა)
მისიმინთა ქვეყანა\მისიმინთა მხა-
რე\მისიმინთეთი 31, 33-35, 39, 49,
68, 69
მოდინახე 48, 55

მოსკოვი 43
მოქვი (სოფ.) 21, 28, 35
მოქვისწყალი (მდ.) 21
მუქლოოს მხარე 34
მცხეთა 48, 55
მიძიმთა (მდ.) (იხ. ფსოუ, იგივე აბას-
კოსი)

ნ

ნიკოფსია 18, 74
ნოქალაქევი 47, 48, 55, 61

ო

ოგლინსკოე (იხ. ნებელდა)
ოდიში 36
ოზურგეთი 68
ოსეთი\ოვსეთი (ალანი) 34, 70, 72
ოჩამჩირე (გიენოსი) 28, 46
ოჩხომური 47, 48, 73

პ

პალესტინა 63
პალიასტომის ტბა 54
პატარა ჯიხაიში 47
პატანიკეთი 70
პენი (მდ.) 17
პენი (ქ.) 17
პეტრა 28
პირინეის მთები 18
პიტიუნტი 17
პონტოს ზღვა 36
პონტოს მხარე 18, 19

რ

რაჭა 40, 41, 57
რიონი (მდ.) 15-18, 19
რიონი (ფაზისი) 15-17, 25, 69
რიპეის მთები 18
რომი 63
რუსთავი 55

ს

საკენი (მდ.) 33, 34
 სამეგრელო 72, 75
 სამთავრო 53-55, 64
 სამცხე 57
 სანთა 48
 სანივთა სამთავრო 26, 27
 საქართველო 7, 10, 25, 40, 41, 43,
 45, 47, 48, 53, 55, 56, 60, 62, 68,
 70, 72, 74, 75
 საქართველო აღმოსავლეთი (იხ.
 აღმოსავლეთ საქართველო)
 საქართველო დასავლეთი (იხ. და-
 სავლეთ საქართველო)
 სებასტოპოლისი (დღ. სოხუმი) 8,
 15, 17-20, 22, 26, 28, 33, 54, 74
 სებასტოპოლისის ციხე 17
 სვანთა ქვეყანა\სვანეთი 20, 33, 36,
 37, 40, 48, 49, 52, 55, 73, 75
 სვირი 47
 სივანთა ტერსი (მდ.) 17
 სოი 13
 სომხეთი 58
 სომხური ათარა (სოფ.) 46, 52
 სოჩხეთი 49
 სოჭი 13, 46-48
 სოხუმი (იხ. სებასტოპოლისი)
 სურია\სურიუმი (მდ.) 17
 სუფსა (მდ.) 24
 სქიომარის ციხე 35

ტ

ტერსი
 ტვიში 56
 ტიბელეოსის ციხე (იხ. ნებელდა\
 ნიბილე)
 ტინდარიდა 17
 ტრაპეზუნტი 17, 18, 74
 ტრაქეა 29
 ტყიბულის რაიონი 49

უ

ურბნისი 48, 55
 ურეკი 46, 47, 60, 62, 63, 65-68,
 ურსძუარი 56
 უსახელო 54

ფ

ფაზისი (იხ. რიონი) 18
 ფაზისი (ქ.) 19
 ფარნალი 47
 ფსოუ (მდ.) (იხ. აბასკოსი, იგივე
 მძიმთა) 26
 ფუსტა 35

ქ

ქართლი 50, 58, 70
 ქვ. ეშურა 52
 ქვედა მარღი 49-52, 73
 ქვედა ღონლაძეები 56
 ქვემო ქართლი 57
 ქლუხორის გადასასვლელი 34
 ქუთაისი 48, 56, 61, 67, 73

ლ

ლალიძეა 12, 21

ყ

ყარაჩაი-ჩერქეზეთი 13
 ყონთო 48
 ყუბანი (მდ.) 13, 35, 36, 38, 39, 72,
 74

შ

შავი ზღვა 13, 15, 18, 22, 25, 60
 შავიზღვისპირეთი 9, 61, 66
 შაკვას სამარხი 54
 შაუმინაოცკა 52
 შახგირევესკოე (სოფ.) 13, 14

შახე (მდ) (იხ. აქეუნტი)
შიდა ქართლი 36, 40, 56, 57

ნებელდის მხარე 20
ნიბილიუმის ციხე 42, 54
ნინა აზია 59



ჩ

ჩოხატაური 45, 72
ჩრდილოეთ კავკასია 13, 14, 35, 36,
40, 51, 59, 70, 71, 75
ჩხალთა 33
ჩხალთის ხეობა 29
ჩხარი 47, 49

ც

ცაგერი 56
ციხე-გოჯი 70
ციხისძირი 46-48, 62, 63, 65
ცხუმი 28

ძ

ძვერი 55

წ

წებელდა, ძველი ოგლინსკოე (წი-
ბილე, წებელთა, წიბილოსი, წი-
ფელთა) 27-30, 42-44, 48, 50,
55, 56, 59, 68-70, 73, 75

ჭ

ჭოროხი (მდ.) (აფსარი) 15, 23, 25
ჭუბერი 47
ჭუბერის ხეობა 49

ხ

ხოზი (მდ.) 17, 19
ხონი 47
ხორიენტი (მდ.) 17
ხრისორთა (იხ. კელასური)

ჯ

ჯავახეთი 57
ჯიქეთი 70
ჯიხახორა 21, 28

კ

კერაკლეა (მდ.) 17, 18

ქონიურ სახელთა საკიეპალი

ა

აბაზას ტომი ყარაჩაი-ჩერქეზეთში
13
აბაზგი|აბაზი|აბასგი|აბასკი 8-11,
13, 19-23, 26, 28, 29, 33, 35, 42,
43, 45, 57, 71, 74
აბეშლა 41
ადილეური ტომები 8-10, 12, 23, 35

ალანები (ალან-ოსები) 21, 34-41,
70-72, 75
ამპრეტები 17, 18, 74
აფსარი 8, 24(სქ.)
აფსუა (იხ. აფხაზი)
აფშილი|აფშ-ილი|აფსელი (აფსილი,
აბეშლა, აფსილელოთა ტომი)
7-13, 15, 17-23, 25-33, 37, 39,
41-43, 45-47, 49, 57, 58, 68, 69,
71, 72, 74, 75

აფხაზი (აფსუა, აბზოა, აფხაზქი, აფშელქი) 7-14, 22, 23, 25, 26, 28, 38, 39, 49, 52, 71, 75
 აშხარელები 12, 13
 აშხარუა
 ახაიელები 19

ბ

ბერძნები 23
 ბრუქები 35
 ბსილაე (იხ. აფშილები)

ე

ეგრისელები 33
 ეთიოპი 26

ზ

ზანები 16

ი

იმერლები 23

კ

კერკეტები 19
 კოლხები 15-18, 20, 30, 31, 68, 69, 72, 74
 კორაქსები 18, 74
 კორახ-აბსილთა ტომი 31

ლ

ლაზები 9, 12, 17-23, 27, 28, 31, 33, 57, 61, 69, 74

მ

მაკრონები 18, 74
 მანრალები 19
 მეგრელები (მეგრულენოვანი ეთნოსი) 9, 16, 22, 23, 27, 31, 36, 38, 39, 71, 72, 75

მელაანხლენები\მელენხლენები 18, 74
 მესხები (მოსხები) 16-18, 74
 მისიმიელები 27-34, 39, 41(სქ.), 49, 52, 57, 69, 72, 75
 მუშუანი (იხ. სვანები)

ო

ოსები (იხ. ალანები)

რ

რომაელები 23

ს

სალტიები (იხ. ფთიროფაგები)
 სანები\სანიგები\სანიკები 17-20, 22, 26, 74
 სარმატები
 სვანები 9, 16-18, 26, 27, 30, 31, 34, 38, 39, 49, 57, 74
 სკვითური ტომები 25, 26
 სუანოკოლხები 19

ტ

ტაპანთელები 13(სქ.), 14(სქ)

ფ

ფთიროფაგები 17, 18, 74

ქ

ქართველები 58
 ქართველური ტომები

ყ

ყარაჩაელები 36

შ

შანიცომუ (იხ. სანები\სანიგები)

ნ

ჩარგასი ტომები 25
ჩერქეზები 9, 10

ძ

ძიდრიტები 18, 74
ძილქები 19

ჭ

ჭანები 16

ჯ

ჯიქები 26

ჰ

ჰენიოხები 17-19, 26, 74

76.
n 32/619
ABKHAZETI Series



1

NOE APKHAZAVA

**THE ETHNIC SITUATION OF LATE CLASSICAL AND EARLY
MEDIEVAL ABKHAZIA ACCORDING TO WRITTEN SOURCES AND
ARCHAEOLOGICAL MATERIAL**

ARTANUJI PUBLISHERS
TBILISI 2010

გამომცემის კოორდინატორი

ნესტან პაპაური

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი

ვიოლა ტულუში

ილია ხელაია

თამთა ჯანაშია

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17^ა.

25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.

www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge

აზნაზეთის სერია

1

